მასწავლებელი

№5(54),2018

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე, მანანა სეხნიაშვილი, მაია ჯალიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ნათია ფურცელაძე, თამთა დოლიძე, ლელა კოტორაშვილი, ნინო კაპანაძე, ქეთევან კობალაძე, მარიამ გოდუაძე, ანა ჯანელიძე, მალინა საჯაია ნესტან რატიანი, დავით ბოლქვაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

WWW.TPDC.GE

რაზე ვსაუბრობ დღეს ყველაზე ხშირად? თუ ამაზე დავფიქრდები, ერთ-ერთი პირველი სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე და, საზოგადოდ, განათლების საკითხები გამახსენდება.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა, თანამედროვე მასწავლებელი? – ეს ის კითხვებია, რომლებსაც ძალიან ხშირად გავიგონებთ, როცა განათლების საკითხებზე ვმსჯელობთ.

განათლების ექსპერტების, სპეციალისტებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა პასუხები თითქმის ერთნაირია. თითოეული მათგანი უპირობოდ მოითხოვს, სკოლამ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც მათ მომავალი ცხოვრებისთვის მოამზადებს, საკუთარი შესაძლებლობის დანახვაში დაეხმარება და ცვლილებების ეპოქაში თავიანთ ადგილს აპოვნინებს.

აქვს თუ არა ხარვეზები ქართულ საგანმანათლებლო სისტემას? თავად სისტემა თუ ეხმარება სკოლას ისეთი გარემოს შექმნაში, რომელიც ცოდნის მიღებასთან ერთად საჭირო უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს? არის განათლება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და გვაქვს მოწესრიგებული სასკოლო გარემო?

ცხადია, ხარვეზები გვაქვს და ეს უნდა ვაღიაროთ.

ვაღიაროთ, რომ არ გვაქვს სისტემის ერთიანი ხედვა, არც ინფრასტრუქტურული რესურსების სიუხვით გამოვირჩევით, კვალიფიციური მასწავლებლებისა და დირექტორების ნაკლებობაცაა და ვერც სახელმძღვანელოებით მოვიწონებთ თავს. მიუხედავად მრავალგზის გაცხადებული პრიორიტეტულობისა, განათლება მაინც ვერ გახდა ქართული საზოგადოების მთავარი ღირებულება, რადგან ცოდნა ვერ გახდა ჩვენს საზოგადოებაში წარმატების, ღირსებისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის საფუძველი.

ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფომ რესურსები დაიშურა განათლების რეფორმისთვის, მაგრამ მისი შედეგები ჯერ სათანადოდ არ შეფასებულა. შეფასება კი ნათლად დაგვანახებდა რეფორმის სუსტ და ძლიერ მხარეებს და, რაც მთავარია, დაგვანახებდა, რა გვაქვს გასაკეთებელი უპირველესად.

ბევრია სალაპარაკო ჩვენი, მასწავლებლებლების პროფესიონალიზმზეც, რომელიც ბოლო ხანს ყველაზე იოლი გასაკრიტიკებელი გახდა, ამ პროფესიაში ახლი ადამიანების მოსვლაზეც, საუნივერსიტეტო პროგრამებზეც, მშობლებისა და სკოლის ურთიერთობაზეც, მაგრამ, როგორც განათლების ერთი მკვლევარი ამბობს: „რეცეპტები განათლების სისტემაში არ მუშაობს. ყოველი ცვლილება არსებული პრობლემებისა და პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ უნდა მოხდეს. ჩვენს განათლების სისტემაში საკმაოდ ბევრი რეფორმა განხორციელდა. ვფიქრობ, ახლა საჭიროა სისტემის დაბალანსება, გაჯანსაღება და შეცდომების გამოსწორება“.

რესურსი

4 მაია ფირჩხაძე
გაკვეთილი-საუბარი როგორც კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირების საშუალება

კომუნიკაციური კომპეტენცია ძირითადად საუბრის, დიალოგის გზით ყალიბდება, ამიტომ საუბრისა და დიალოგის ორგანიზაცია ისტორიის გაკვეთილის აუცილებელი ატრიბუტია.

11 მაია ჯალიაშვილი
გაკვეთილის დრამატურგია

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საგაკვეთილო დრამატურგიისა დაკავშირებულია იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროსთან, რომელსაც პედაგოგი ქმნის. მოსწავლეც და მასწავლებელიც თანაბრად უნდა გრძნობდნენ თავს დაცულად. გაკვეთილი უნდა იყოს ერთგვარი კომფორტული სივრცე, რომელიც მათ პროფესიული და სულიერი ზრდის შესაძლებლობას მისცემს.

17 ნათია ფურცელაძე
მეგობრებთან ერთად წაკითხული წიგნი

მთავარი სირთულე მოსწავლეთა წიგნამდე მიყვანაა. ამ დროს ჩნდება კითხვა: როგორ წავაკითხოთ ბავშვებს ტექსტი ისე, რომ თვითონაც მოუნდეთ, რომ ეს მათთვის ვალდებულებად არ იქცეს?

პრობლემა

31 ნინო კაპანაძე
აგრესია ბავშვებში ანუ როგორ გადავარჩინოთ მერცხლის ბუდეები

ბავშვები კონკრეტული ეპოქისა და კონკრეტული რეალობის შვილები არიან. მათი ბუნებრივი სწრაფვაც ამ რეალობაში თავის დამკვიდრებაა. როცა გარემო აგრესიით არის გაჟღენთილი, ბავშვების თამაშებშიც, რომლებიც ერთგვარი სამზადისია ზრდასრულ ცხოვრებაში შესასვლელად, აგრესია აირეკლება.

განათლების ფსიქოლოგია

14 ქეთევან ოსიაშვილი
რამდენად კარგად ესმით ბავშვებს გარშემო მყოფების

როგორც ჩანს, მოზარდები არცთუ ურიგოდ ერკვევიან იმაში, რა შეიძლება სწყინდეს და სტკენდეს გულს პედაგოგს, თანატოლს თუ მშობელს, თუმცა უმეტესად არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათ გულისტკენა აარიდონ.

34 ქეთევან კობალაძე
გაცნობიერებული მშობლობა ანუ როგორ გავხდეთ საკუთარი შვილების საყრდენი

მშობლები ხშირად აშკარად არ გამოხატავენ აგრესიას, მაგრამ მათი მანიპულაციები ძალიან დახვეწილია და ბავშვებში დანაშაულის განცდას აღძრავს, რაც მათ პიროვნული განვითარების საწყის ეტაპზე ღრმა იარებს უტოვებს.

37 მარიამ გოდუაძე
ემოციური ინტელექტის გავლენები სკოლაში

კვლევებით დასტურდება, რომ სოციალურ-ემოციური სწავლება არ არის მოსწავლის ძვირფასი დროის არააკადემიური მიმართულებით ამაო ხარჯვა, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსწავლეების აკადემიური მოსწრება იზრდება, მათი სოციალური და ემოციური უნარები უმჯობესდება, ცუდი ქცევა და აგრესია მცირდება.



გამოცდილება

8 | მანანა სეხნიაშვილი
ჰეშმარიტების გასალები სწორედ აქ არის
საერთაშორისო ტენდენცია ასეთია: ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან განათლება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადადის. ეს მოდელი ფოკუსირებულია იმაზე, რისი გაკეთება შეეძლება მოსწავლეს მოდულის ან პროგრამის დასრულების შემდეგ.

24 | ლელა კოტორაშვილი
რამდენიმე მხიარული აქტივობა ქართულის გაკვეთილისთვის
პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბავშვის აღქმა და დასწავლის უნარი სხვადასხვაგვარია: ზოგს აუდიალური მეხსიერება აქვს, ზოგს – ვიზუალური, ზოგს კი – კინესთეტიკური. აქტივობა, რომელზეც უნდა გიამბოთ, სამივე უნარს ააქტიურებს.

მასწავლებლის საკითხავი

54 | დავით ბოლქვაძე
ვახშამი გადაღლილ მასწავლებელთან
პაულ ლომანი სკოლიდან ნებით არ წასულა – აიძულეს. მას შემდეგ, რაც სცადა, მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალა არაორდინარული კუთხით ეჩვენებინა, თამამი კითხვები დასვა და მოსწავლეებს მათზე დაფიქრება სთხოვა.

რესურსი

21 | თამთა დოლიძე
ტერმინების ტყვეობაში: ტრენინგი
ტრენინგის ეფექტიანობას მონაწილეთა მოტივაცია, ტრენერის კომპეტენცია და თავად ტრენინგ-მოდული განსაზღვრავს. მის გასაზომავად ყოველთვის საჭიროა იმის ცოდნა, რა მიზანი აქვს ტრენინგზე მოსულ ადამიანს: სიახლეები უყვარს, ცოდნას იაქტიურებს და იმდიდრებს, თვითშეფასების სურვილი ამოძრავებს თუ კარიერული წინსვლისა.

40 | ანა ჯანელიძე
პროფესიული სწავლის თემი – სკოლამდელი და დაწყებითი განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ეფექტური გზა
პროფესიული სწავლის თემის წარმატებული მუშაობისთვის მნიშვნელოვანია თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთკავშირის დამყარება, განსაკუთრებით კი კვლევებში მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს როგორც სკოლის/ბაღის თანამშრომლების, ასევე მკვლევრების პროფესიულ განვითარებას.

44 | მალინა საჯაია
კარგად სწავლის სწავლა შესაძლებელია
გაითვალისწინეთ ის, რაშიც უკვე მიაღწიეთ წარმატებას და გააცნობიერეთ, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი. თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ. თუ გექნებათ შესაბამისი გარემო და მოტივაცია, ნებისმიერი რამის სწავლას შეძლებთ.

48 | ნესტან რატიანი
ცოცხალი ხარ? მაშ, გახსოვდეს სიკვდილი!
ნაწარმოების სწორად გაგებას, როგორც წესი, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური კონტექსტის გათვალისწინება სჭირდება სხვა, ასევე მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად. როცა ქართველი მწერლის წიგნს ვკითხულობთ, ამ ასპექტებზე იშვიათად ვფიქრობთ, რადგან ისინი საკმაოდ ნაცნობია ჩვენთვის. საქმე მაშინ რთულდება, როდესაც უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს ვეცნობით.



მაია ფირჩხაძე

გაკვეთილი-საუბარი როგორც კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირების საშუალება

> კომუნიკაციური კომპეტენცია ძირითადად საუბრის, დიალოგის გზით ყალიბდება, ამიტომ საუბრისა და დიალოგის ორგანიზაცია ისტორიის გაკვეთილის აუცილებელი ატრიბუტია.

ცოდნის გადაცემასა და ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლებასთან ერთად ეროვნული სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. ისინი სასწავლო მიზნების მიღწევაშიც ეხმარება მოსწავლეს და სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასაც უწყობს ხელს, ამ გზით კი იქმნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდის ცოდნით შეიარაღებას, თვითრეალიზებასა და სათანადო ადგილის დამკვიდრებას თანამედროვე სამყაროში.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიის სწავლების დროსაც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება, რადგან ის პიროვნული პოტენციალის განახლება-განვითარების, გადაწყვეტილებების მიღების, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების, უწყვეტი განათლების პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვანი პირობაა.

კომუნიკაციური კომპეტენცია ძირითადად საუბრის, დიალოგის გზით ყალიბდება, ამიტომ საუბრისა და დიალოგის ორგანიზაცია ისტორიის გაკვეთილის აუცილებელი ატრიბუტია. აქ გაკვეთილი-საუბარი განიხილება არა უბრალოდ როგორც პედაგოგიური მეთოდი და ფორმა, არამედ როგორც ურთიერთობის უნივერსალური საშუალება, შემოქმედებითი ურთიერთობის ფორმა მასწავლებელსა და სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებს შორის. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს ისტორიული ცოდნის რაოდენობას, მთავარი საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, პოზიციის არგუმენტირება, ჯგუფელების პასუხების შეფასება და თვითშეფასებაა. გაკვეთილი-საუბრის დროს, კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირებასთან ერთად, აქტიურდება მოსწავლეთა შემეცნებითი, ანალიტიკური და განმაზოგადებელი უნარებიც, ხდება მასალის უკეთესად გააზრება და ისტორიული ცოდნის გაღრმავება-გაფართოება.

გაკვეთილი-საუბარი ძირითადად მოიცავს სამ კომპონენტს: **ა)** პრობლემის დასმას; **ბ)** პრობლემის გადაჭრას, ახსნას, განხილვას და **გ)** პრობლემიდან სწორი გამოსავლის პოვნას, რაც თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს (თუმცა ევრისტიული საუბრით მიზნის მიღწევა – შემეცნების გზით პრობლემის არსის დანახვა – მთლიანად მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული).

გაკვეთილი-საუბარი, როგორც წესი, გაკვეთილის დაწყებისთანავე იწყება. ამ დროს შესავალი-საუბარი ერთგვარი კითხვა-პასუხია, რომლის მიზანია, მოსწავლეებს განამტკიცებინოს მასალა არსებული ცოდნის მობილიზების, სისტემატიზაციისა და განზოგადების გზით. საუბარი საშუალებას გვაძლევს, დაისვას დიაგნოსტიკური კითხვებიც, რომელთა მეშვეობითაც მეტ–ნაკლებად ზუსტად დავადგენთ მოსწავლეთა ცოდნის დონეს და ახალი მასალის მიღებისთვის მზაობას.

გაკვეთილი-საუბარი დიდ ინტერესს იწვევს რთული თემების შესწავლის დროსაც, რადგან მოსწავლეთა მოტივაცია ამ დროს გაცილებით მაღალია:

- ახალი მასალის ახსნისას მოსწავლეები და მასწავლებელი თანამშრომლობენ,

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ეძებენ ასოციაციებს დასახელებულ თემაზე, სვამენ მათთვის სანტერესო კითხვებს, გამოაქვთ დასკვნები, მათი არც ერთი რეპლიკა არ რჩება უპასუხოდ. ამდენად, ასეთი საუბარი ამტკიცებს პედაგოგიური ურთიერთობის ფორმებს, ავლენს ყველა ორგანიზაციული საკითხის დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს;

- სასურველია, დიალოგი/საუბარი ძალადაუტანებლად წარიმართოს იმ კითხვების საფუძველზე, რომლებიც მოსწავლეს აინტერესებს.

ისტორიის გაკვეთილზე სასწავლო საუბარი-დიალოგის ძირითადი ფორმებია:

- მასწავლებელი – მოსწავლე;
- მასწავლებელი – მოსწავლე;
- მოსწავლე – მოსწავლე;
- მოსწავლე – მოსწავლე.

სასკოლო პრაქტიკაში გაკვეთილი-საუბრის ყველაზე გავრცელებული ფორმაა *მასწავლებელი-მოსწავლე*, რომლის დროსაც აქტიურდება ცოდნაც და ადვილდება ცოდნის გადმოცემა და შემოწმებაც.

რით განსხვავდება გაკვეთილი-საუბარი ტრადიციული გაკვეთილისგან?

ტრადიციული გაკვეთილისა და გაკვეთილი-საუბრის ალგორითმი:

კრიტერიუმი	ტრადიციული გაკვეთილი	გაკვეთილი-საუბარი
მასწავლებლის როლი	გაკვეთილის მთავარი წარმმართველი	გაკვეთილისთვის მიმართულების მიმცემი
მოსწავლის როლი	არ არის მთავარი მონაწილე	გაკვეთილის მთავარი მონაწილეა
ურთიერთობის ფორმა	ძირითადად ავტორიტარული	დემოკრატიული (მასწავლებელი „მოკავშირეა“)
სწავლების მეთოდები	ძირითადი ფორმაა მონოლოგი (მასწავლებლის ახსნა-განმარტება, თხრობითი სტილი და ა.შ.)	არსებითი ფორმაა დიალოგი-საუბარი (დისკუსია, როლური თამაში და სხვ.)
გაკვეთილის ეფექტიანობა	ყოველთვის არ არის ეფექტიანი	გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით და წარმატებული შედეგებით
ურთიერთობის ფორმა: მასწავლებელი-მოსწავლე	ოფიციალური	თანამშრომლობითი, ეფუძნება კონსტრუქტივიზმს
სწავლის მოტივაცია	კარგი შეფასების მიღება, რაც ძნელად მისაღწევია	შემოქმედებითი და ინტელექტუალური ზრდა, მაღალი ინტერესი

განსავითარებელი უნარები:

კომუნიკაციური, თანამშრომლობითი, ინფორმაციის ტრანსფორმაციის, ლოგიკური აზროვნების

გაკვეთილი-საუბრის პრაქტიკული მაგალითი:

თემა: ძველი ეგვიპტე
კლასი: VII

გაკვეთილის მიზანი:

- გააცნოს მოსწავლეებს ძველი ეგვიპტის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები;

> მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან, რაღგან ინფორმაციის ხარისხიანად დამუშავებას, სანდოობის განსაზღვრას და, ამასთან, ახალი ინფორმაციის შექმნას სწორედ ზემოაღნიშნული უნარები უზრუნველყოფს.

- განუვითაროს რუკასთან, ისტორულ წყაროებთან, ისტორიულ ტექსტთან, სახელმძღვანელოსთან მუშაობის უნარები;
- ხელი შეუწყოს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ფორმირებას;
- მოსწავლეებმა თავად დაუსვან კითხვები ტექსტს;
- ლოგიკურად და სწორად გადმოსცენ ინფორმაცია, განუვითარდეთ განზოგადების უნარები;
- განუვითარდეთ მეტყველების კულტურა.

ძირთადი რესურსები: ისტორიის სახელმძღვანელო და სასწავლო რუკა „ძველი შუამდინარეთი“ (ან მსოფლიოს ფიზიკური რუკა)

გაკვეთილის ტიპი: ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი

გაკვეთილის ფორმა: გაკვეთილი-საუბარი

გაკვეთილის გეგმა: **ა)** ორგანიზაციული ნაწილი; **ბ)** თემის აქტუალიზაცია; **გ)** მიზნის ერთობლივად განსაზღვრა; **დ)** ახალი მასალის შესწავლა; **ე)** ცოდნის განმტკიცება; **ვ)** რეფლექსია

გაკვეთილის ძირითადი დეტალები:

N1 – მასწავლებლის საქმიანობა: თემის აქტუალიზაცია: რა თემაზე ვსაუბრობთ დღეს? რა იცით ეგვიპტის შესახებ? **მოსწავლეთა საქმიანობა/პასუხები:** იქ პაპირუსებია; ფარაონებია; პირამიდებია; მუმიებია, – და ა.შ.

N2 – მასწავლებლის საქმიანობა: მიზნის ერთობლივად დასახვა: რისი გაგება გინდათ ეგვიპტის შესახებ? რას შეისწავლიდით მის შესახებ? **მოსწავლეთა საქმიანობა:** სად მდებარეობდა ძველი ეგვიპტე? პაპირუსი რისგან კეთდებოდა? ფარაონები ვინ იყვნენ? რა საქმიანობას ეწეოდნენ ეგვიპტელები? როგორი ბუნება იყო? – და ა.შ.

N3 – მასწავლებლის საქმიანობა: ახალი მასალის შესწავლაზე გადასვლა: საიდან იციან მეცნიერებმა წარსულის ამბები? როგორ შეისწავლიან მათ? **მოსწავლეთა საქმიანობა:** ისტორიული წყაროების გაცნობა.

N4 – მასწავლებლის საქმიანობა: ისტორიული წყაროების შესწავლის ორგანიზება; **მოსწავლეთა საქმიანობა:** წყაროებზე მუშაობა წყვილებად. მოსწავლეები ერთმანეთს ეკითხებიან წყაროს ტექსტის შესახებ.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიის სწავლების დროსაც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება, რადგან ის პიროვნული პოტენციალის განახლება-განვითარების, გადაწყვეტილებების მიღების, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების, უწყვეტი განათლების პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვანი პირობაა.

N5 – მასწავლებლის საქმიანობა: ეგვიპტის ადგილმდებარეობის გაცნობა, კლასთან საუბარი; **მოსწავლეთა საქმიანობა:** რუკასთან მუშაობა. ნილოსი და მის ნაპირზე არსებული ქალაქების გაცნობა.

N6 – მასწავლებლის საქმიანობა: ეგვიპტის შესახებ ისტორიულ წყაროებზე მუშაობა ეგვიპტის კლიმატისა და ბუნებრივი პირობების შესახებ. წყაროს ტექსტის მიხედვით კითხვების მომზადება; **მოსწავლეთა საქმიანობა:** წყაროზე მუშაობა: ა) ტექსტის გაცნობა; ბ) ყოველ ნაწყვეტში ძირითადი სიტყვის პოვნა; გ) ტექსტისთვის კითხვის დასმა; დ) ძირითადი დასკვნების ამოწერა რვეულებში.

N7 – მასწავლებლის საქმიანობა: დოკუმენტის შესახებ საუბრის ორგანიზება; **მოსწავლეთა საქმიანობა:** მოსწავლეები სწავლობენ კითხვების დასმას და მათზე პასუხის მოძიებას: ეგვიპტის ბუნება არსებით გავლენას ახდენდა ეგვიპტელების ცხოვრებაზე.

N8 – მასწავლებლის საქმიანობა: რატომ ჩამოყალიბდა ეგვიპტე ერთიან სახელმწიფოდ? (იმისთვის, რომ ამ კითხვას უპასუხონ, მოსწავლეები უსმენენ მასწავლებელს, რომელიც საუბრობს ეგვიპტის გაერთიანების პირობებზე); **მოსწავლეთა საქმიანობა:** შედეგები: ა) სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებებმა ეგვიპტე გააერთიანა; ბ) უფრო სუსტი დაემორჩილა ძლიერ სახელმწიფოს; გ) ეგვიპტის მმართველობა; დ) საბოლოოდ ძვ.წ. III ათასწლეულში ეგვიპტის ერთიან სახელმწიფოდ ფორმირება დასრულდა.

N9 – მასწავლებლის საქმიანობა: განმტკიცება: რატომ უწოდა ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ეგვიპტეს „ნილოსის ნობათი“? (სად მდებარეობდა ეგვიპტე? რომელი მდინარე ჩამოედინებოდა ეგვიპტეში? საიდან მოედინება ნილოსი? რა ხდებოდა წყალდიდობისას? – და ა.შ.); **მოსწავლეთა საქმიანობა:** მდინარე ნილოსი ანოყიერებდა დაბლობს, რაც მიწათმოქმედებას და მოსავლიანობის ზრდას უწყობდა ხელს, სამეურნეო ძლიერება კი სახელმწიფოს ძლიერების საწინდარი იყო.

N10 – მასწავლებლის საქმიანობა: რეფლექსია: იმუშავეთ წყვილებში და გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები. რამე ხომ არ დარჩა გაუგებარი? რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად? **მოსწავლეთა საქმიანობა:** შთაბეჭდილებების გაზიარება.

კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი-საუბარი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა მიერ ისტორიულ ცნებათა გაგების გამოსავლენად და მათი აზროვნების გასააქტიურებლად, არსებული ცოდნის მობილიზაციისთვის და ახალი მასალის გასაანალიზებლად. ის სოციალურად ზრდის მოსწავლეს, კარგ მსმენელად და აქტიურ პიროვნებად აყალიბებს, უვითარებს ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევის უნარს და პიროვნული სრულყოფის გზაზე წარმატებული ნაბიჯების გადადგმაში ეხმარება, ამიტომ ამ ტიპის გაკვეთილები ეფექტიანი და სასარგებლოა.

მანანა სეხნიაშვილი

ჭეშმარიტების გასაღები სწორედ აქ არის

„როცა „კარგი კლასი“ გყავს, ხალისით მუშაობ. მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ბევრ აქტივობას გეგმავ და ახორციელებ. წარმატებით გახარებულს, ხშირად მიფიქრია: „რა მეშველება, ესენი რომ წავლენ? ვინ გამიკეთებს ასეთ პროექტს? ვინ დაწერს ისე, რომ ჩემი სტატიისა თუ იდეის თანაავტორი გახდეს?“

„ჭეშმარიტების გასაღები სწორედ აქ არის, კარგის ძიებას შეალიო მთელი სიცოცხლე“, – ამ სიტყვების ავტორი 24 წლის მურიკოა. ვცდილობ, მისი თვალით ვუყურო სამყაროს.

თაობები იცვლებიან... ჩვენ ვრჩებით...

დამეთანხმებით, როცა „კარგი კლასი“ გყავს, ხალისით მუშაობ. მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ბევრ აქტივობას გეგმავ და ახორციელებ. წარმატებით გახარებულს, ხშირად მიფიქრია: „რა მეშველება, ესენი რომ წავლენ? ვინ გამიკეთებს ასეთ პროექტს? ვინ დაწერს ისე, რომ ჩემი სტატიისა თუ იდეის თანაავტორი გახდეს?“ ასეთი სინანულით გავაცილე სხვადასხვა დროს გიორგი, ქეთი, ლუკა, სალომე, გოგა, პაატა, დიანა... ისინი ჩემი სტატიების გმირები და თანაავტორები არიან.

ყოველი ახალი სასწავლო წელი სიხარულთან ერთად სინანულითაც იწყება. ჩემი გმირები სკოლაში აღარ არიან, ან მათთან აღარ შევდივარ (მე-12 კლასში გეოგრაფია აღარ ისწავლება). ხანდახან სინანული მაბრაზებს კიდეც. მასწავლებლობის პირველ წლებში განსაკუთრებით გამიჭირდა. მეგონა, გიორგის, პაატას, გვანცას, კახას, გუგას და სხვებს ვერავინ შემიცვლიდა. ასე არც არავინ შემიყვარდებოდა და ვერც ვერავინ გამიგებდა. ახლა ისინი უკვე წარმატებული ადამიანები არიან, მათი სიხარული და ბედნიერება მახარებს.

ასე შევდივარ ახალ კლასში და ყველაფერი თავიდან იწყება.

ვიწყებ ჩემი გმირების ძებნას... ძებნას და შექმნას.

ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაშიო. ჩვენც ერთად ვაშენებთ, ვკამათობთ, ვხუმრობთ, შენებით ვტკბებით...

გაკვეთილებსაც კი მათთან ერთად ვგეგმავ. სამოდელო გაკვეთილებიც მათ „მიკარნახეს“.

საერთაშორისო ტენდენცია ასეთია: ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან განათლება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადადის. ეს მოდელი ფოკუსირებულია იმაზე, რისი გაკეთება შეეძლება მოსწავლეს მოდულის ან პროგრამის დასრულების შემდეგ.

ჩვენი თაობა ვასწავლით, როგორც ვიცით და შეგვიძლია. ვსწავლობთ (ტრენინგებს გავდივართ, გამოცდებს ვაბარებთ...) და ვასწავლით.

ერთი რამ კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ენერგიას, ძალასა და ემოციას არ ვიშურებთ. ვშრომობთ, ვიბრძვით, ვბრაზობთ, როცა არ სწავლობენ, ვხარობთ, როცა წარმატებას აღწევენ. ახალგაზრდა თაობას სკოლაში მუშაობა არ უნდაო. არადა, არიან მსურველები. სწორედ მათზე მინდა მოგითხროთ. მათზე და მოსწავლეებზე, რომლებიც მათთან თანამშრომლობით მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს იძენენ. თუმცა არა მარტო ისინი – მეც გამუდმებით ვსწავლობ ჩემი ახალგაზრდა კოლეგებისგან.

ბედმა მარგუნა, მონაწილეობა მიმეღო მასწავლებლის სახლის პროგრამებში, რომლებიც ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობას ითვალისწინებდა. მაძიებლობის პროგრამის შემდეგ დამწყები მასწავლებლის მომზადების პროგრა-

მაში მოვხვდი. ახალგაზრდებმა ახალი სიცოცხლე შემოიტანეს სკოლაში. სწავლებასთან ერთად მუდამ იმის ცდაში ვიყავი, დადებითი კუთხით დაენახათ ჩვენი პროფესია. თავად მე ხომ სკოლაზე უკეთესი ადგილი დედამიწაზე არ მეგულება.

მათთან დღესაც მაქვს ურთიერთობა. მიხარია მათი წარმატება. ყოფილი მაძიებლები თეონა, ნინი და თამარი უკვე წარმატებული მასწავლებლები არიან.

ძალიან მომწონს ახალგაზრდებთან მუშაობა. დამწყები მასწვლებლების პროგრამიდან ყველაზე უფროსი 27 წლის იყო. დღეს ყველა სკოლაში ასწავლის. ჩემი საყვარელი გოგო-ბიჭები... თუმცა ბიჭი ერთი გვყავდა. ისიც უპირობოდ ლიდერად ვაღიარეთ. „თემო მაგარია", – ვამბობდით ერთხმად. თუმცა თითოეული მათგანი გამორჩეული იყო. სოფოს, რომელიც განსხვავებული მენტალობის ბავშვებს ასწავლის, შინიდან სკოლამდე, არცთუ უსაფრთხო გზაზე, რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევს. სკოლამდე რამდენიმე სამსახური გამოიცვალა და აღფრთოვანებული გვიყვებოდა, როგორ იპოვა საკუთარი ადგილი ცხოვრებაში, რომ მასწავლებლობა მისთვის სიამოვნებაა და ახლა ყველანაირად ცდილობს, ბავშვები სკოლაში მიიზიდოს და არ დაკარგოს. მშვენიერი ანუკი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია სხვა სამსახურის პოვნა, მაგრამ თავისი

საერთაშორისო ტენდენცია ასეთია: ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან განათლება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადადის. ეს მოდელი ფოკუსირებულია იმაზე, რისი გაკეთება შეეძლება მოსწავლეს მოდულის ან პროგრამის დასრულების შემდეგ.

პირველკლასელები (ახლა უკვე მესამეკლასელები) ყველაფერს ურჩევნია. ნათია და თინიკო უკვე დედები არიან და მშობლის პოზიციიდან აფასებდნენ საკუთარ ქმედებებს. თინიკომ, რომელსაც უკვე უფროსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა, მაინც მიიღო პროგრამაში მონაწილეობა, რადგან უნდოდა, გაძლიერებულიყო (მისი სიტყვებია).

თემო კი, ჩვენი ჯგუფის ლიდერი, არაქართულენოვან ბავშვებს ქართულ ენას და ბუნებისმეტყველებას ასწავლის. მისი ყოველი გაკვეთილი სიახლისა და კრეატიულობის ზეიმი იყო. სკოლაშიც გაუმართლა, მოვიხიბლე დირექტორითა და კოლეგებით.

მერე იყო სტუდენტების კონსულტირება. სამაგისტრო პროგრამის ორი სტუდენტი პრაქტიკას ჩვენს სკოლაში გადიოდა. ორი სალომე – ორი ახალგაზრდა, რომლებსაც უამრავი იდეა და გეგმა აქვთ. მათმა მოსვლამ სკოლაში ხალისი შემოიტანა. მეც და ჩემი მოსწავლეებიც გამუდმებით ვცდილობდით, გვეჩვენებინა მათთვის, რომ არჩევანში არ შემცდარან, რომ სკოლა საუკეთესო ადგილია ამქვეყნად (ეს ჩემი სიტყვებია).

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში კრედიტების დაგროვება არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. ხშირად გაიგონებთ, რომ მოსწავლე აღარავის ახსოვს და მასწავლებლები მხოლოდ კრედიტებს ითვლიან, რომ სამოდელო გაკვეთილი თუ ნებისმიერი სხვა აქტივობა, რომელიც კრედიტით ფასდება, მხოლოდ მასწავლებელზეა ორიენტირებული.

სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვისა და შეფასების ტრენინგზე ასეთი აქტივობა მოვიფიქრეთ: მონაწილეებს უნდა ჩამოეყალიბებინათ, რა მნიშვნელობა აქვს სამოდელო გაკვეთილს მასწავლებლისა და მოსწავლისთვის. ტრენინგზე ვთანხმდებოდით, რომ მოსწავლე ამ დროს არაერთ უნარ-ჩვევას იძენს. მართალიც არის. სტუდენტების დასწრებამ ჩემი ბავშვები სხვა კუთხით დამანახა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამოუკიდებლად ჩაატარეს გაკვეთილები. ჩემი გადარეულები ისეთი მობილიზებულები იყვნენ, ისე ჩაატარებინეს გაკვეთილი გამოუცდელ მასწავლებლებს, რომ მათი ხელმძღვანელი აღფრთოვანებული დარჩა. ისეთი თანადგომა ვიგრძენით, რომ ჩვენ, უფროსებიც დავფიქრდით ჩვენს ურთიერთობებზე. ახლა უკვე მეათეკლასელები არიან. მსოფლიოს გეოგრაფიის შესწავლას ერთად შევუდექით. კვლავ ერთად ვგეგმავთ მუშაობის პროცესს, ვიკვლევთ, ვაანალიზებთ, დასკვნები გამოგვაქვს. მხიარულად და საინტერესოდ მიედინება ჩვენი ცხოვრება. მე ისევ მყავს სალომე, მაკინე, დიმიტრი, მარიამი, ლუკა... ახლა ისინი არიან ჩემი გმირები, სტატიების თანაავტორები... ცოტა ხანში მათი კვლევის შედეგებს შემოგთავაზებთ.

პარალელურად კი მეშვიდეკლასელებთან მიხდება თავიდან დაწყება, გეოგრაფიის ანბანის სწავლება. ვიცი, რომ მალე ახალი გმირები მეყოლება: ბარბარე, ანანო, თეგი, ანა, ნუცა, ნიკა, ელო... ცოტა დრო გვჭირდება, ცოტაც „ბრძოლა“ და ჩემი გმირები მზად იქნებიან.

ვწერ სიყვარულზე, წარმატებაზე... გგონიათ, მე არ მაქვს პრობლემები? მე არ მიგრძნია იმედგაცრუება და არ მქონია ჩავარდნილი გაკვეთილი? არ მითქვამს, რომ ჩემი ადგილი აქ არ არის? მიგრძნია, მითქვამს, მაგრამ მერე ისევ სიყვარული მძლავრობს და ვიწყებ ბრძოლას სიყვარულისთვის, სიმართლისთვის... ჩემმა მეგობარმა თქვა: სიყვარული აღარ მყოფნის, რომ ვაპატიოო. მომეწონა მისი ნათქვამი, დამაფიქრა... ახლა ვიცი: როცა სიყვარული მყოფნის, ვუგებ და ვპატიობ, წარმატებასაც ვაღწევ და ბედნიერიც ვარ და ვმარცხდები იქ, სადაც სიყვარული არ მყოფნის.

ამიტომ მინდა სიყვარულზე წერა და საუბარი. მინდა, ჩემს ბავშვებს სიყვარული ვასწავლო, დავანახო, რომ როცა გიყვარს, ბედნიერი ხარ, რომ სიყვარულით ყველა დაბრკოლებას გადალახავ, რომ მაშინ მარცხდები, როცა სიყვარული გელევა.

ჩვენც გვიყვარს და ვიბრძვით, ცხოვრებას, პატიებას და ურთიერთპატივისცემას ვსწავლობთ.

„ჭეშმარიტების გასაღები სწორედ აქ არის, კარგის ძიებას შეალიო მთელი სიცოცხლე“, – ამ სიტყვების ავტორი 24 წლის მურიკოა. მე მისი თვალით ვუყურებ სამყაროს.

მაია ჯაღიაშვილი

გაკვეთილის დრამატურგია

> ნებისმიერ საგანში მიღებული ცოდნა, საბოლოო ჯამში, იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მოსწავლე ინტელექტუალურ-ემოციურად გამდიდრდეს, ჩამოუყალიბდეს სამყაროს როგორც ერთიანი სისტემის ესთეტიკური ხედვა, შესაბამისად, გაუჩნდეს მისი გაფრთხილების სურვილი და პასუხისმგებლობა.

გაკვეთილი ისეთივე შემოქმედებითი პროდუქტია, როგორიც ნებისმიერი სხვა რამ, რასაც ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელი ქმნის, რათა სარგებლობა მოუტანოს საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც. სასწავლო პროცესი რთული დინამიკური სისტემაა, რომელსაც მასწავლებლისა და მოსწავლეების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ურთიერთობა ქმნის. იმისთვის, რომ ეს სისტემა ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი იყოს, მას მუდმივი განახლება სჭირდება. ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არაფერია ამ ქვეყანაზე. არც საგაკვეთილო კომპონენტები. იქ, სადაც ადამიანია, წარმმართველია არა განსაზღვრული ერთმნიშვნელოვანი სტრუქტურა, არამედ მრავალმნიშვნელოვანი შემოქმედებითი შესაძლებლობების დაუსაზღვრავი სივრცე, რომელშიც ყოველივე იცვლება და გარდაიქმნება ეპოქისა და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად.

საგაკვეთილო პროცესის როგორც ფენომენის ეფექტიანობას სხვადასხვა კომპონენტი განსაზღვრავს. მათ შორის, რა თქმა უნდა, უმთავრესია მასწავლებლის ინდივიდუალურობა. პედაგოგს მხოლოდ მუდმივი თვითგანვითარება კი არ ევალება, არამედ ისიც, რომ მოსწავლეებსაც უწყობდეს ხელს განვითარებაში. მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ხედვა და უნარები, რომლებიც გამოცდილებას მოაქვს; შეეძლოს არა მხოლოდ თვითმოტივირება, არამედ მოსწავლეთა მოტივაციის ამამაღლებელი მეთოდებისა და ხერხების მოძიებაც დროისა და გარემო პირობების შესაბამისად.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საგაკვეთილო დრამატურგიისა დაკავშირებულია იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროსთან, რომელსაც პედაგოგი ქმნის. მოსწავლეც და მასწავლებელიც თანაბრად უნდა გრძნობდნენ თავს დაცულად. გაკვეთილი უნდა იყოს ერთგვარი კომფორტული სივრცე, რომელიც მათ პროფესიული და სულიერი ზრდის შესაძლებლობას მისცემს. პატივისცემა და აღიარება ყველასთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ჯერ მასწავლებელმა უნდა დაინახოს თითოეულ მოსწავლეში პიროვნება თავისი უნიკალური მონაცემებითა და მიდრეკილებებით, რათა მოსწავლეებსაც გაუჩნდეთ გარშემო მყოფთა მიმართ ამგვარი დამოკიდებულება, ეს კი ხელს შეუწყობს საგაკვეთილო ამოცანების წარმატებით შესრულებას.

საგაკვეთილო დრამატურგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სასწავლო მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობაა. მიზნის შესაბამისად შერჩეული მეთოდები ადეკვატურ გამოძახილს პოვებს და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. ხშირად პედაგოგი სიღრმისეულად ვერ აცნობიერებს ამა თუ იმ სასწავლო მეთოდისა თუ ხერხის შესაძლებლობებს და არაადეკვატურად იყენებს მათ. არადა, ჯერ კარგად რომ გაეაზრებინა ცალკეული მეთოდის თავისებურებები, უკეთესად მოახერხებდა მის გამოყენებას თამამი შემოქმედებითი ვარიაციებისა და მოდიფიცირების გზით.

საგაკვეთილო დრამატურგიას დინამიკასა და ექსპრესიულობას მატებს სხვადასხვა რესურსი, რომლებსაც ხან მასწავლე-

ბელი ქმნის, ხან – მოსწავლე. განსხვავებული, დროისა და ვითარების შესაბამისი რესურსის მოძიება და შექმნა მასწავლებლისა და მოსწავლეების შემოქმედებით პოტენციალს ზრდის. ამაზე ყოველთვის ზრუნავდნენ მასწავლებლები თუ აღმზრდელები – რომ ცხოვრებისეული, ვიზუალური, თვალსაჩინო მასალა სასწავლო მიზნისთვის გამოეყენებინათ. გავიხსენოთ, როგორ აქცია ჭკვიანმა, გონებამახვილმა, მოქნილი აზროვნების მქონე სრულიად უბრალო მასწავლებელმა ბავშვის უნებლიე დანაშაული საგაკვეთილო დრამატურგიის ბუნებრივ, თითქოს წინასწარ დაგეგმილ შესანიშნავ რესურსად. ვგულისხმობ აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ იმ ეპიზოდებს, რომლებშიც მწერალი პედაგოგთა განსხვავებულ სახეებს ქმნის. ერთ შესვენებაზე მოშივებულმა პატარა აკაკიმ შინ შეირბინა და ჯიბეში ცხელი მჭადით შევიდა გაკვეთილზე. მასწავლებელმა დაგვიანებულებთან დააყენა, მჭადიც გამოართვა და მაგიდაზე დადო. სწორედ ამ დროს კლასში ზედამხედველი შემოვიდა. მასწავლებელი არ დაიბნა და „სამხილი“, რომელიც მოსწავლის სასტიკი დასჯისთვის, გაროზგვისთვის, წყალგაუვალი დასტური იყო, შემეცნებითი პროცესის ნაწილად აქცია. გავიხსენოთ ეს მშვენიერი ეპიზოდი, დღემდე რომ არ დაუკარგავს აქტუალობა. ის კიდევ ერთხელ შეახსენებს პედაგოგებს, რომ გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს.

აკაკი წერეთელი გვიამბობს:

„ინსპექტორმა, მართლაც, მჭადს მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა:

– ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!..

ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო.

– რათ მოგიტანიაო?! – მკითხა მრისხანედ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა



მოახსენა, ახლავ გაიგებთო და მკითხა:

– ეს რა არისო?

– მჭადი-მეთქი, – ვუპასუხე კნავილით.

– რისგან კეთდება?

– სიმინდისაგან.

– როდის სთესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს, – და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს სთქვა: – კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანა, ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა, აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად“ („ჩემი თავგადასავალი“).

ამ უცებ მოფიქრებული მახვილგონივრული ხრიკით მასწავლებელმა სამმაგი შედეგი მიიღო: ჯერ ერთი, მჭადი ორიგინალურ სასწავლო რესურსად აქცია, მეორე – ზედამხედველის თვალწინ მოსწავლეს ცოდნის გამომჟღავნების საშუალება მისცა, მესამე – ეს ამბავი სულიერ-აღმზრდელობითი ფუნქციითაც გამოიყენა: „მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გაიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა. – ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატიებია, მაგრამ შემდეგ კი ფრთხილად იყავი, რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო!“

ასეთი ინციდენტები ყოველდღიურობის თანმდევია. ეპოქები იცვლება, მაგრამ ადამიანები თავიანთი სულიერ-მატერიალური მისწრაფებებით იგივენი რჩებიან. ყველა ადამიანი მიისწრაფვის ბედნიერებისაკენ, რომელსაც ფორმულა არ გააჩნია. მოსწავლეები გაკვეთილებზეც იძერწებიან პიროვნებებად, ამიტომ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მასაც აკისრია თავისი წილი პასუხისმგებლობა „ადამიანად ქცევის“ ამ რთულ პროცესში.

მოსწავლეებისთვის გაკვეთილი უნდა იქცეს იმ განზომილებად, რომელშიც ყველა სათავისო ბედნიერებას მიაგნებს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ გაკვეთილის დრამატურგიულ ველში ყველა მოსწავლემ აირჩიოს თავისი როლი. თანაც ეს როლი მუდმივად უნდა იცვლებოდეს. თამაშისკენ ბუნებრივი მიდრეკილება მასწავლებელმა სწავლებისთვის უნდა გამოიყენოს. მან მუდმივად უნდა აკონტროლოს საკუთარი ქცევა, გამოთქმები, შეხედულებები, რათა ერთ მშვენიერ დღეს იარლიყების, შაბლონებისა და სტერეოტიპების ტყვეობაში არ აღმოჩნდეს, საიდან თავის დაღწევასაც დიდი ძალისხმევა, ნებისყოფა და ენერგია სჭირდება.

სასწავლო მეთოდების არჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- საგაკვეთილო პროცესისთვის დაგეგმილი მიზნები;
- კონკრეტული სასწავლო დისციპლინის თავისებურებანი;
- მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი;
- მოსწავლეთა თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა;
- სასწავლო რესურსები და სხვ.

ყველა მეთოდი და სტრატეგია მასწავლებელმა იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ კრიტიკული, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების უნარები.

ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის პროცესი პედაგოგმა სხვადასხვა გზით შეიძლება წარმართოს, მათ შორის – გამოიყენოს ახსნის, ილუსტრირების მეთოდები, მაგრამ ყოველთვის ცდილობდეს, რომ ნებისმიერი პრობლემა მრავალმხრივ, განსხვავებული თვალთახედვით გააანალიზოს, რათა მოსწავლისთვის ეს ცხოვრებისეულ გამოცდილებადაც იქცეს. ნებისმიერ საგანში მიღებული ცოდნა, საბოლოო ჯამში, იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მოსწავლე ინტელექტუალურ-ემოციურად გამდიდრდეს, ჩამოუყალიბდეს სამყაროს როგორც ერთიანი სისტემის ესთეტიკური ხედვა, შესაბამისად, გაუჩნდეს მისი გაფრთხილების სურვილი და პასუხისმგებლობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ღია, გლობალურ საურთიერთობო სივრცეში, რომელშიც ადამიანმა თანაბრად უნდა გააცნობიეროს როგორც „მეს“, ასევე „ჩვენის“ პიროვნულ-ეროვნული იდენტობის საზღვრები.

ქეთევან ოსიაშვილი

რამდენად კარგად ესმით ბავშვებს გარშემო მყოფების

უფროსებისგან, პედაგოგებისა და მშობლებისგან ხშირად გვესმის საყვედურები მოზარდების მისამართით: „ეგოისტები და უგრძნობლები არიან, სულ არ ცდილობენ, სხვას გაუგონ, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ“. ასეთი კომენტარები უცხო არ უნდა იყოს ბავშვებისთვის, რომლებიც ხშირად იქცევიან საყოველთაო გაკიცხვის ობიექტად.

უფროსებისგან, პედაგოგებისა და მშობლებისგან ხშირად გვესმის საყვედურები მოზარდების მისამართით: „ეგოისტები და უგრძნობლები არიან, სულ არ ცდილობენ, სხვას გაუგონ, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ“. ასეთი კომენტარები უცხო არ უნდა იყოს ბავშვებისთვის, რომლებიც ხშირად იქცევიან საყოველთაო გაკიცხვის ობიექტად.

იმის გასაგებად, როგორ ახერხებენ ბავშვები მათ გარშემო და მათთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანების – მასწავლებლების, თანატოლებისა და მშობლების – ემოციებსა და გრძნობებში გარკვევას, ვცადე, გავცნობოდი V-X კლასების მოსწავლეთა აზრებსა და შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე. გამოკითხვა წერილობით ჩატარდა და ანონიმური იყო. მოზარდებს უნდა ევარაუდათ, ბავშვის როგორი საქციელი და გამონათქვამი სტკენთ გულს ყველაზე მეტად მათ თანატოლებს, მასწავლებლებს და მშობლებს. აი, რას ვკითხულობთ მათ ნაწერებში:

ყველაზე მეტად რა სტკენს გულს მასწავლებელს:
„მისი გაკვეთილის, საგნის და პროფესიის უგულებელყოფა“; „ბავშვის ცუდი ყოფაქცევა და უსწავლელობა“; „მისი შრომის დაუფასებლობა“; „მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა მთელი კლასის თანდასწრებით“; „გაკვეთილის გაცდენა და მისი საგნის სიძულვილი“; „მისი დაცინვა და პაროდირება, თუმცა მასწავლებლები ხშირად ცდილობენ, წყენა არ შეიმჩნიონ და უკმაყოფილება დამალონ“; „მასწავლებელზე ჭორაობა თანატოლებსა და მშობლებთან“; „როცა თავისი საქციელის გამო ბავშვი მასწავლებელს ამტყუნებს, ადანაშაულებს“; „გაკვეთილის სისტემატური მოუმზადებლობა“; „უმადურობა“; „როცა ბავშვი არ არის მოტივირებული, უაზროდ იმართლებს თავს და ატყუებს მასწავლებელს“; „ბავშვის ურჩობა, გაუგონრობა და მასწავლებლის თხოვნის გაუთვალისწინებლობა“; „უყურადღებობა, ცუდად სწავლა“; „დავალებების მოუმზადებლობა“; „მოსწავლეებს შორის ჩხუბი და კონფლიქტი“; „როცა ბავშვს შეღავათს უკეთებს და არ უფასდება“; „როცა ვაგრძნობინებთ, რომ არ გვიყვარს“; „უპატივცემულობა და არაფრად ჩაგდება“; „გაკვეთილზე ბავშვების ცუდად მოქცევა და ხმაური“; „უხეშობა, უყურადღებობა, უპატივცემულობა, მასთან უზრდელი ტონით ლაპარაკი“; „მისი სიკეთის დაუფასებლობა“; „ტლიკინი, უყურადღებოდ მოსმენა, საგნისადმი აგდებული დამოკიდებულება“; „მისი პროფესიონალიზმის ეჭვქვეშ დაყენება“; „სხვა მასწავლებლებთან მასზე ჭორაობა და მისი ცუდად მოხსენიება“; „მასწავლებელს სწყინს, როდესაც ბავშვს გაკვეთილი არ აინტერესებს და შრომა წყალში ეყრება“; „სხვა მასწავლებლებთან შედარება და იმის თქმა, რომ ის სხვებზე უარესია“; „ბავშვის არასერიოზული ქცევა სერიოზულ თემაზე საუბრის დროს“; „მასწავლებლისთვის საწყენია, როდესაც ბავშვები არ გამოხატავენ მის მიმართ პატივისცემას, სიყვარულს და მის საგანს არასერიოზულად და აგდებულად ეკიდებიან“; „ენის ტლიკინი, საუბარში ჩაჩრა, შეპასუხება“; „მასწავლებელს სწყინს, როცა მას არაპროფესიონალიზმს და უსამართლობას აბრალებენ“.

ყველაზე მეტად რა სტკენს გულს თანატოლს:
„მასზე ჭორაობა, მის ზურგს უკან ჩურჩული“; „შეურაცხყოფა, დაცინვა, ცუდი სიტყვებით მიმართვა“; „უყურადღებობა“; „ღალატი“; „დამცირება, შერცხვენა, ჩაშვება, უსამართლოდ

რამის დაბრალება“; „როცა თავს აჩვენებ, თითქოს მისი საუკეთესო მეგობარი ხარ, სინამდვილეში კი მის ზურგს უკან ჭორაობ“; „იგნორირება, მასთან მეგობრობის სურვილის უქონლობა“; „მისი შეუმჩნევლობა და მასთან საუბარზე უარის თქმა“; „იმის თქმა, რომ მას მეგობრობა არ შეუძლია“; „ისეთი სალანძღავი სიტყვებით დახასიათება, როგორიცაა დებილი, იდიოტი, სულელი, ჩამორჩენილი, ჩამოუყალიბებელი და ა.შ.“; „ბავშვს სწყინს, როცა თანატოლები ეჩხუბებიან, დასცინიან, უყვირიან, ნერვებს უშლიან, ცუდ სიტყვებს ეუბნებიან, მასზე ჭორაობენ“; „როცა რამე არ გამოსდის და დასცინიან“; „როდესაც რაიმე საიდუმლოს გაანდობ და ჩაგიშვებს“; „საუბარს რომ აწყვეტინებენ და ლაპარაკს არ აცდიან“; „შეცდომის გამო დაცინვა“; „უსიამოვნო, უხეში მოპყრობა“; „ტყუილი, ღალატი“; „მისი ინტელექტის უპატივცემულობა და საკუთარი თავის მასზე მაღლა დაყენება“; „უნდობლობა, ჩხუბი, ღალატი“; „ტყუილი, შეურაცხყოფის მიყენება“; „როცა გვერდით არ უდგებიან“; „მისი ოჯახის წევრების დაცინვა და გაკრიტიკება“; „იგნორი, დამცირება“; „მის გარეგნობასა და შესაძლებლობებზე დაცინვით ლაპარაკი და ჭორაობა“; „მის სისუსტეებზე ყურადღების გამახვილება და დაცინვა“; „ორპირობა, მისი საიდუმლოს გამხელა“; „მისი გრძნობებისადმი უდიერად მოპყრობა“; „როცა მთელი გულით უყვები მეგობარს რამეს, ის კი არ გისმენს და საუბარი სხვა თემაზე გადააქვს, ან უბრალოდ გეუბნება, ამაზე არ იფიქროო; როცა მეტისმეტად მარტივად აღიქვამენ შენს პრობლემებს“; „როცა მთელი გულით ცდილობ, კარგი მეგობარი იყო და ის ამ ყველაფერს არც კი აფასებს, სხვა მეგობრებზე გცვლის უმიზეზოდ“.

ყველაზე მეტად რა სტკენს გულს მშობელს:
„ტყუილი “; „სიჯიუტე“; „ისე რომ ელაპარაკები,

როგორც თანატოლს“; „შვილის ცუდად სწავლა, სიზარმაცე“; „გაუგონრობა“; „როცა შვილი ცუდს ფიქრობს მშობელზე, არ მოსწონს, არ უყვარს ის და ამას არ მალავს“; „როცა ბავშვი სხვის მშობლებს ადარებს საკუთარს და ეუბნება, რომ სხვებს უკეთესი მშობლები ჰყავთ“; „უზრდელობა, ცუდი სიტყვების ხმარება მშობელთან საუბრისას“; „შვილი დედას ან მამას რომ ეტყვის, არ მიყვარხარ და არ მჭირდებიო, ვფიქრობ,

მოზარდები არცთუ ურიგოდ ერკვევიან იმაში, რა შეიძლება სწყინდეს და სტკენდეს გულს პედაგოგს, თანატოლს თუ მშობელს, თუმცა უმეტესად არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათ გულისტკენა აარიდონ.

მშობლისთვის ძალიან გულსატკენი უნდა იყოს"; „ცუდი ნიშნების მიღება"; „არაფრად ჩაგდება"; „როცა ბავშვი არ აკეთებს, რასაც ეუბნებიან და ბევრ დროს ატარებს კომპიუტერთან ან ტელევიზორთან, მშობლებს ძალიან სწყინთ და ბრაზობენ"; „ცუდი ტონით საუბარი"; „მშობლების შენიშვნების და რჩევების გაუთვალისწინებლობა, ურჩობა"; „უპატივცემულობა, ყვირილი, დაუფასებლობა"; „მშობელს ძალიან სწყინს, როცა ბავშვს შეუძლია და არ სწავლობს"; „აზრთა სხვადასხვაობა"; „ნდობის გაქრობა"; „როდესაც ბავშვი აკეთებს იმას, რასაც მშობელი კატეგორიულად უკრძალავდა"; „უზრდელური სიტყვები და საქციელი"; „თუ ბავშვმა გზიდან გადაუხვია, თუ უშვებს ისეთ შეცდომებს, რომლებიც მისთვისვეა ცუდი"; „როცა ვერ გრძნობს სიყვარულს და დაფასებას შვილისგან"; „მშობელს შეიძლება შვილის უპატივცემულო გამოხედვაც კი სტკენდეს გულს"; „უარყოფითი განწყობა ყველაფრის მიმართ, არასერიოზულობა, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა და ინტერნეტში ყოფნა"; „უმადურობა და მშობლის შრომის დაუფასებლობა"; „თუ ბავშვი ისეთ რამეს გააკეთებს, რაზეც მშობელმა გააფრთხილა, რომ არ გაეკეთებინა"; „მშობლის თხოვნის არაფრად ჩაგდება, გაუგონრობა"; „როცა ბავშვი არ უყვება მშობელს, რაც მის ცხოვრებაში ხდება"; „როცა ბავშვისთვის ოჯახი მეორეხარისხოვანია და ამის გამოსწორებას არ ცდილობს"; „როცა ბავშვი ჩაკეტილია და მშობელს არაფერს უყვება"; „როცა შვილი არ აფასებს მშობლის მისდამი სიყვარულს და პატივისცემას".

როგორც ვხედავთ, მოზარდები არცთუ ურიგოდ ერკვევიან იმაში, რა შეიძლება სწყინდეს და სტკენდეს გულს პედაგოგს, თანატოლს თუ მშობელს, თუმცა უმეტესად არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათ გულისტკენა აარიდონ. შესაძლოა, ამის მიზეზი უფროსების მოლოდინებსა და შეფასებებში იმალებოდეს. როდესაც ბავშვი მათგან ყოველდღიურად ისმენს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „შენგან მაინც არაფერი გამოვა"; „შენგან სხვას რას უნდა მოელოდე" – და ა.შ., საეჭვოა, ქცევის შეცვლის სურვილი გაუჩნდეს. ბავშვს, ისევე როგორც ნებისმიერი ასაკის სხვა ადამიანს, სიამოვნებს ქების მოსმენა, ამიტომ კარგი იქნება, თუ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც მოსაწონი და დასაფასებელია და მხოლოდ ამის შემდეგ, თანაც კეთილგანწყობით, მივანიშნებთ იმაზე, რაც ცვლილებას და შემდგომ განვითარებას მოითხოვს.

ნათია ფუჩიცელაძე

მეგობრებთან ერთად წაკითხული წიგნი

ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დავაინტერესოთ ბავშვები კითხვით. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახისა და მასწავლებლის როლი, მაგრამ არანაკლები ძალა აქვს მეგობრების რჩევასა და მათი გამოცდილების გაზიარებას. საკუთარ თავზეც რომ წარმოვიდგინოთ, ხშირად დაგვიწყია ისეთი წიგნის კითხვა, რომელიც ჩვენს მეგობარს მოსწონს. რატომ? პასუხი მარტივია – მის გემოვნებას ვენდობით.

შარშან ჩემი ექვსი მოსწავლე კონკურსში მონაწილეობდა. ამ მოტივით წაიკითხეს „ჰარი პოტერის“ შვიდივე ნაწილი. ბავშვები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მათი განწყობა მთელ კლასს გადაედო. „ჰარი პოტერის“ კითხვა დაიწყეს არა მხოლოდ თანაკლასელებმა, არამედ დამრიგებელმაც. ბევრი საინტერესო თავგადასავალი მოჰყვა კითხვის პროცესს – ერთად ვუყურეთ ფილმებს, მოვაწყვეთ ლიტერატურული კაფე, შევქმენით ტექსტის სიუჟეტთან დაკავშირებული ხელნაკეთი ნივთები. მერე ერთმა მოსწავლემ ლიტერატურულ დღიურში ჩაწერა, „ჰარი პოტერმა“ მე და ჩემს კლასელებს საერთო ენა გვაპოვნინაო. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს შედეგი აღმოჩნდა – წიგნი იქცა თანაკლასელების სასაუბრო თემად, წაკითხულმა ისინი უფრო მეტად გააერთიანა და საერთო ინტერესები გაუჩინა.

ცოტა ხნის წინ მკითხველთა კლუბის შესახებ საზღვარგარეთული გამოცდილების გასაზიარებლად მასალებს ვეცნობოდი და საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი – გერმანიაში არსებობს საბავშვო სამკითხველო კლუბების გაერთიანება, რომლის დევიზია „Mit Freu(n)den lessen“. ამ ფრაზას ორი მნიშვნელობა აქვს: *კითხვა მეგობრებთან ერთად* და *კითხვა სიხარულით*. ვფიქრობ, სწორი მიდგომაა და ამ პრაქტიკის გათვალისწინება ნამდვილად ღირს.

თანაკლასელებთან ერთად კითხვას მართლაც შეუძლია ბავშვების დამეგობრება და გახალისება, მთავარია, ამას მასწავლებელი აცნობიერებდეს. ასეთ დროს ბავშვებს მხოლოდ წიგნიერების კომპეტენცია კი არ უვითარდებათ, ერთმანეთთან ურთიერთობასაც სწავლობენ.

თვის წიგნი

„თვის წიგნი“ – ამ ორ სიტყვას ყველასთვის სხვადასხვა დატვირთვა აქვს, ჩემი მოსწავლეებისთვის კი ნიშნავს აქტივობას, რომელიც უკავშირდება წაკითხულ წიგნ(ებ)ს და ხან კედლის გაზეთის მომზადებას გულისხმობს, ხანაც – მეგობრებთან ერთად კლუბში შეკრებასა და საუბარს. ხანდახან შემაჯამებელი დავალებაც არის, ლიტერა-

> მთავარი სირთულე მოსწავლეთა წიგნამდე მიყვანაა. ამ დროს ჩნდება კითხვა: როგორ წავაკითხოთ ბავშვებს ტექსტი ისე, რომ თვითონაც მოუნდეთ, რომ ეს მათთვის ვალდებულებად არ იქცეს?

> თანაკლასელებთან ერთად კითხვას მართლაც შეუძლია ბავშვების დამეგობრება და გახალისება, მთავარია, ამას მასწავლებელი აცნობიერებდეს. ასეთ დროს ბავშვებს მხოლოდ წიგნიერების კომპეტენცია კი არ უვითარდებათ, ერთმანეთთან ურთიერთობასაც სწავლობენ.

ტურული თამაშიც და სახალისო ვიქტორინაც. კითხვა მოსაწყენ პროცესად რომ არ იქცეს, ფორმას ვცვლით. უცვლელი რჩება მიზანი – ბავშვებმა წიგნი უნდა წაიკითხონ, თანაკლასელებს გააცნონ და შთაბეჭდილებები ერთმანეთს გაუზიარონ.

ჩვენი „თვის წიგნი“ ორი სახისაა: კლასელები თავად ირჩევენ საკითხავს და შემდეგ ერთმანეთს წარუდგენენ ან კითხულობენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ერთსა და იმავე წიგნს.

პირველი უფრო მარტივია. კითხვის სასიამოვნო პროცესად ქცევას თავისუფალი არჩევანი განაპირობებს. როცა მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, მათი მოტივაცია იზრდება. თანაკლასელები ერთმანეთის წიგნებით ინტერესდებიან და კითხვას იწყებენ.

მეორე ვარიანტი მეტ ძალისხმევას მოითხოვს. წიგნების სამყაროში ბავშვებს მრჩეველი სჭირდებათ. ამ დროს ბევრი რამაა დამოკიდებული მასწავლებელზე: მან ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკითხავი მოსწავლეთა ინტერესების, გემოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ისე შესთავაზოს მათ, რომ კითხვის სურვილი გაუჩნდეთ. ცხადია, ყველა ბავშვი ერთნაირად ვერ დაინტერესდება, არსებობს იმის საფრთხეც, რომ მასწავლებლის შეთავაზებული წიგნი არ მოეწონოთ. ეს ბუნებრივია და ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. წაკითხულის არმოწონება უკვე ნიშნავს იმას, რომ მკითხველმა ტექსტი შეაფასა – ეს ხომ გემოვნების ჩამოყალიბების თანამდევი პროცესია. მთავარი ის არის, რომ თანაკლასელები წიგნის გარშემო ერთიანდებიან, ერთსა და იმავე ტექსტს კითხულობენ, თუმცა ყველა თავისებურად აღიქვამს, მხოლოდ მისთვის ნათქვამს პოულობს წიგნის ფურცლებზე. როცა ერთი რომელიმე პერსონაჟის ქცევას განიხილავს, მეორე ხვდება, რაზე საუბრობს პირველი; თუ მესამე კითხვას სვამს, მეოთხე პასუხობს. ხანდახან ისეც ხდება, რომ წაკითხული წიგნის განხილვისას პერსონაჟების მაგალითით ბავშვები ერთმანეთს ეუბნებიან სათქმელს. მთელი ეს პროცესი ტექსტის გააზრებას უფრო საინტერესოს ხდის და ასე ნელ-ნელა ყალიბდება საკლასო გარემო, რომელშიც წიგნის კითხვა პრიორიტეტულია.

ზემოთქმულში შესაძლოა დამეთანხმოთ, მაგრამ მთავარი სირთულე ხომ მოსწავლეთა წიგნამდე მიყვანაა. ამ დროს ჩნდება კითხვა: როგორ წავაკითხოთ ბავშვებს ტექსტი ისე, რომ თვითონაც მოუნდეთ, რომ ეს მათთვის ვალდებულებად არ იქცეს? გაგიზიარებთ გამოცდილებას, გიამბობთ ჩემი მოსწავლეების მიერ ბოლო ხანს წაკითხული წიგნის შესახებ და იმასაც გეტყვით, როგორ გაახალისა მათი ყოველდღიურობა მეგობრებთან ერთად კითხვამ.

„სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“

წიგნების ფესტივალზე ხეტიალისას დიანა ანფიმიადისა და გიორგი ბარბაქაძის ახალგამოცემული წიგნი ჩამივარდა ხელში.

„ერთმა პატარა ბიჭმა, გიორგიმ, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ჯერ ხატვა ისწავლა. მერე დიდხანს, დიდხანს ელაპარაკებოდა დედას ნახატებით.

დედას კი ხატვა არ შეეძლო, სამაგიეროდ, ამბების მოყოლა უყვარდა.

ჰოდა, ასე დაიწერა ეს წიგნი...“

ჯერ ანოტაცია წავიკითხე, მერე ილუსტრაციები გადავათვალიერე და მაშინვე შევიძინე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ თანამედროვე ქართულ საბავშვო ლიტერატურას: ერთი, რომ არაჩვეულებრივი ტექსტები იქმნება დღეს და მეორე – მოსწავლეების დასაინტერესებლად მშვენიერი საშუალებაა.

მოლოდინი გამიმართლდა. წავიკითხე „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ მასწავლებლის, დედის, ბავშვის თვალით... და ძალიან მომეწონა. იმასაც მივხვდი, რომ ჩემი მოსწავლეები დაინტერესდებოდნენ. ვიდრე ბავშვებს წიგნს წარვუდგენდი, დავუკავშირდი მწერალს და ვკითხე, შეძლებდა თუ არა ჩვენს ლიტერატურულ კლუბში სტუმრობას და იმ მოსწავლეებთან შეხვედრას, რომლებიც მის „სახატავ რვეულში ჩაწერილ ზღაპრებს“ წაიკითხავდნენ. დიანა დამთანხმდა.

ამ ამბით გახარებულმა, სკოლისკენ დავიმგზავრე ზღაპრების ფერადყდიანი კრებული და ბავშვებს გავაცანი. ნაწყვეტები ხმამაღლა წავუკითხე, ნახატები დავათვალიერებინე. აღმოჩნდა, რომ რამდენიმეს უკვე წაკითხულიც ჰქონდა. მერე მეხუთე- და მეშვიდეკლასელ

მოსწავლეებს ვუთხარი, რომ მალე ავტორი ლიტერატურულ კლუბში გვესტუმრებოდა და ერთად ვისაუბრებდით „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრების“ შესახებ. ვისაც უნდოდა, შეეძლო წიგნის წაკითხვა და შემდეგ მწერლის ნახვა, მასთან საუბარი, მისი მოსმენა (ოდესმე აუცილებლად დავწერ, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და თანამედროვე ავტორების შეხვედრა, როგორ უმაღლებს მოსწავლეს კითხვის მოტივაციას მწერალთან შეხვედრის მოლოდინი).

მოხდა ის, რასაც ველოდი. უმრავლესობამ თავიდანვე გამოთქვა წიგნის წაკითხვის სურვილი. თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას ჯადოსნური ძალა აქვს, გადაწყვეტილების მიღებასაც ასწავლის ბავშვებს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მგონია.

თუ თქვენი მოსწავლეები სქელტანიანი წიგნების კითხვას ერიდებიან, „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ ამ შემთხვევაშიც დაგეხმარებათ. 60-გვერდიანი კრებული, რომელიც პატარ-პატარა საინტერესო ამბებისგან შედგება, მარტივად, სწრაფად იკითხება და მკითხველს აფიქრებს მეგობრობაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, სიყვარულზე.

„სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ შეგიძლიათ სასწავლო რესურსადაც გამოიყენოთ. მას შემდეგ, რაც ბავშვებს ვეტყვით, რომ ეს ლიტერატურული ზღაპრები დედამ შვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნა, დავძენთ, რომ ავტორმა მკითხველზეც იფიქრა: წიგნში გამოყოფილია 2 გვერდი, რათა მსურველმა ჩახატოს, ჩაწეროს და ამით წიგნის ნაწილი გახდეს. ჩემი მოსწავლეები ძალიან დაინტერესდნენ ამ წინადადებით.

რამდენიმე დღეში პირველი მკითხველებიც გამოჩნდნენ. დაიწყო ემოციების გაზიარების პროცესი. ზოგიერთმა წიგნის შეძენა ვერ მოახერხა და მეგობრებმა სიხარულით ათხოვეს საკუთარი.













„რომელი ილუსტრაცია მოგეწონა? ეს ზღაპარი გაიგე? მწერალს რომ ვკითხო, შეიძლება? გადაწყვიტე, რას ჩახატავ? ზღაპარი უნდა დაწერო? როგორი ამბავია, ეს როგორ მოიფიქრა?" – კითხვები არ ილეოდა. არც პასუხები. მეგობრები ერთმანეთის განცდების თანაზიარნი ხდებოდნენ.

ერთ-ერთ კლასში წიგნის წაკითხვის ყველაზე ნაკლები მსურველი აღმოჩნდა. მოსწავლეს, რომელსაც ის უკვე წაკითხული ჰქონდა, ვთხოვე, შთაბეჭდილება გაეზიარებინა ჩვენთვის. გვითხრა, თავიდან არ ვაპირებდი წაკითხვას, მეგონა, „ზღაპრები" მხოლოდ პატარებისთვის იყო, მაგრამ პირველივე გვერდებმა მიმახვედრა, რომ ეს წიგნი ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაა დაწერილიო. ყველაზე მეტად რომელი სიტყვები მოეწონა, ისიც კი გაგვანდო: „ძველ მეგობარს არაფრის გამო არ აწყენინო, ყველაფერი ძველდება, მეგობარი კი ყოველთვის შენთან რჩება".

მსურველთა რაოდენობა მალე-ვე გაიზარდა. ალბათ, ხვდებით, რატომაც – მეგობრის ნაამბობმა ბავშვები დაინტერესა.

კიდევ ერთი იდეა გაგვიჩნდა – შეგვექმნა ხელნაკეთი წიგნი და სტუმრად მოსული მწერლისთვის გვეჩუქებინა. შევადგინეთ კითხვარი:

1. თქვენი აზრი ამ წიგნის შესახებ;
2. თქვენთვის გამორჩეული ზღაპარი;
3. საინტერესო სიტყვები, ფრაზები;
4. რომელი ილუსტრაცია მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?
5. შეკითხვა მწერალს

ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ხანს ფიქრობდნენ პასუხებზე, როგორი მონდომებით წერდნენ, ხატავდნენ და აბედნიერებდათ იმაზე ფიქრი, რომ მათ ნაზრევს წიგნის ავტორი წაიკითხავდა.

ჩემი ერთი მოსწავლე ორი წლის წინ სხვა სკოლაში გადავიდა. მეგობრებს მოსანახულებლად ესტუმრა. გაიგო, რომ კითხულობდნენ წიგნს, რომლის ავტორსაც მალე შეხვდებოდნენ. მთხოვა, თუ შეიძლება, მეც წავიკითხავ და შეხვედრაზეც მოვალო. სიხარულით დავთანხმდი. წიგნმა მეგობრებთან უფრო მეტად დააკავშირა.

მწერლის სტუმრობამ საოცარი ემოციებით აგვავსო. მთავარი – ბავშვებს უხაროდათ და ეს სიხარული კითხვას მოჰყვა. გარდა ამისა:

- მოსწავლეებმა გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები ავტორს;
- თავისუფლად გამოთქვეს აზრი;
- იმსჯელეს წაკითხულის შესახებ;
- აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდნენ;
- დასვეს კითხვები და მიიღეს პასუხები;
- გაიგეს წიგნის შექმნის ისტორია;
- დიანა ანფიმიადისგან ბევრი საინტერესო ამბავი მოისმინეს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ავტორი მოსწავლეებს ესაუბრა აუტიზმის შესახებ და აუხსნა, რამდენად მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ ადამიანებთან ურთიერთობის გზა;
- აჩვენეს მწერალს საკუთარი ნახატები და ნაწერები;
- იყვნენ ბედნიერები.

მეგობრებთან ერთად წაკითხული წიგნი ჩემი მოსწავლეებისთვის საინტერესო თავგადასავლად იქცა. რაც მთავარია, მათ უნდათ, რომ ასეთი ამბები ხშირად გადახდეთ თავს.

თამთა ჯოღიძე

ტერმინების ტყვეობაში: ტრენინგი

> ტრენინგის ეფექტიანობას მონაწილეთა მოტივაცია, ტრენერის კომპეტენცია და თავად ტრენინგ-მოდული განსაზღვრავს. მის გასაზომავად ყოველთვის საჭირო იმის ცოდნა, რა მიზანი ამოძრავებს ტრენინგზე მოსულ ადამიანს: სიახლეები უყვარს, ცოდნას იაქტიურებს და იმდიდრებს, თვითშეფასების სურვილი ამოძრავებს თუ კარიერული წინსვლისა.

რამდენიმე წლის წინ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ქარიშხალივით შემოიჭრა ცნობა კომპეტენციის დადასტურების შესახებ. ბევრი მასწავლებელი გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ მათ გამოცდას უწყობდნენ, არც პროფესიული გადამზადების თემა ხიბლავდათ („ამდენი წელი უნივერსიტეტში ტყუილად ვისწავლეთ?", „აბა, დიპლომი რა საჭიროა?" და ა.შ.). ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ერთეულებს თუ წაეკითხათ, ტრენინგებისა და სემინარების შესახებაც არაფერი სმენოდათ. პროფესიული განვითარებისკენ მიმავალ ახალგაკვალულ ბილიკებს სამუშაო ადგილის დაკარგვის შიში გაურკვეველი მომავლის ნისლში ხვევდა და მასწავლებელთა რეაქციაც სავსებით ბუნებრივი გახლდათ. თუმცა ტრენინგებისა და სემინარებისადმი დამოკიდებულება, მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან ერთად, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და ახლა აღარავინ კამათობს იმაზე, რომ სწავლა-სწავლება უწყვეტი და დინამიკური პროცესია.

პროფესიული უნარების განვითარების პირველ ეტაპს, ცოდნის შეძენას, ფორმალური და არაფორმალური განათლების სახით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასე თუ ისე ვართმევთ თავს, მაგრამ ცოდნას მიძინება ახასიათებს – თუ ის ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად არ ვაქციეთ და პერიოდულად არ გავიმდიდრეთ, რამდენიმე ხნის შემდეგ შესაძლოა დავიწყებას მიეცეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული უნარები მხოლოდ ცოდნის შეძენით არ შემოიფარგლება და მათ თვითსწავლისა და ყოველი ახალი ინფორმაციის/უნარის საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირების გარეშე ვერ განვივითარებთ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთა შრომის გაუმჯობესებას უკავშირდება. როგორც ვიცით, XXI საუკუნეში მოსწავლეებისთვის საჭიროა ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორებიცაა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება. მასწავლებლებმა სწავლების პროცესში მაღალი დონის სააზროვნო უნარებისა და ქცევითი მოდელების გამოყენება უნდა შეძლონ, რაც სათანადო ინფორმაციითა და უნარ-ჩვევებით მათ აღჭურვას მოითხოვს. პროფესიული გადამზადების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ, მოკლევადიან და კონკრეტული მიზნისკენ მიმართულ აქტივობას კი ტრენინგი წარმოადგენს.

ტრენინგი (ინგ. training – სწავლება) ჩვეულებრივი სასწავლო პროცესისგან იმით განსხვავდება, რომ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემაზე მეტად არსებული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დახვეწასა და პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. სწავლა-სწავლების ზემოაღნიშნული მოდელი დეილ კარნეგის (ამერიკელი მწერალი, ფსიქოლოგი, მასწავლებელი და სოციოლოგი) სახელს უკავშირდება. 1912 წელს სწორედ მან დააფუძნა ტრენინგების ცენტრი, რომელშიც დღემდე იგეგმება და ტარდება სემინარები ისეთ თემებზე, როგორიცაა ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება და თვითრწმენის განმტკიცება. ამერიკელმა სოციოფსიქოლოგმა კურტ ლევინმა კი ტრენინგის ფორმატი სწავლების ფორმის განვითარებას მოარგო და კოლეგებთან ერთად დააფუძნა ტრენინგჯგუფები (1946 წ.), რომლებიც საკომუნიკაციო უნარების დახვეწაზე იყო ორიენტირებული. სწორედ ლევინის ჯგუფმა შეამჩნია, რომ სწავლის ეფექტურობა იზრდება ჯგუფური მუშაობისას გამოვლენილი განცდების თვითანალიზით.

2009 წლიდან საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობით მთელ ქვეყანაში დაიწყო მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, რომლის მთავარ მიზანსაც კვალიფიკაციის დადასტურება წარმოადგენდა. მოგვიანებით მას დაემატა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები, რომლებიც საგანმანათლებლო კადრების კონკრეტული მიზნით (მაგალითად, არაქართულენოვან რეგიონში სწავლებისთვის) გადამზადებას უზრუნველყოფდა. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის შედეგად საგნობრივი და პროფესიული ტრენინგი მასწავლებლებს, კომპეტენციის დადასტურებასთან ერთად, პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის საშუალებასაც აძლევს. თანამედროვე სამყაროს გამოწვევების შესახებ განათლების სფეროს წარმომადგენელთა ინფორმირების თვალსაზრისით, ტრენინგების მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მასწავლებელთა უმრავლესობამ უკვე ბევრი რამ იცის სახელგანთქმულ განმანათლებელთა თუ განათლების თეორეტიკოსთა მნიშვნელოვანი მიგნებების შესახებ. თუმცა ძალიან ცოტას შეუძლია ამ ინფორმაციის სამუშაო იარაღად ქცევა და საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა, ეს ნიუანსი კი ტრენინგის ეფექტს ასუსტებს.

ტრენინგის ეფექტიანობას მონაწილეთა მოტივაცია, ტრენერის კომპეტენცია და თავად ტრენინგმოდული განსაზღვრავს. მის გასაზომავად ყოველთვის საჭიროა იმის ცოდნა, რა მიზანი ამოძრავებს ტრენინგზე მოსულ ადამიანს: სიახლეები უყვარს, ცოდნას იაქტიურებს და იმდიდრებს, თვითშეფასების სურვილი ამოძრავებს თუ კარიერული წინსვლისა. როგორც ვიცით, მოტივაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სწავლის პროცესში ადამიანის ჩართულობის ხარისხს, რაც ტრენინგს წარმატებულ თუ წარუმატებელ სასწავლო პროცესად აქცევს. ამიტომაც არის საჭირო, ტრენერმა შეხვედრის დასაწყისშივე შექმნას პოზიტიური გარემო, მხარი დაუჭიროს თითოეულ დამსწრეს, გაიაზროს მისი მოლოდინი/საჭიროება, აღმოაჩენინოს და დააძლევინოს სირთულეები. ტრენინგის შეფასება და თვითშეფასება სწავლა-სწავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. როგორც მონაწილემ, ასევე ტრენერმა უნდა შეძლონ საკუთარი საქმიანობის შედეგების როგორც საკუთარი, ისე სხვისი თვალით დანახვა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ასეთი მიდგომა აუცილებლად შექმნის ჯანსაღ სამუშაო მოტივაციას, რაც ტრენინგის ეფექტს საგრძნობლად გაზრდის.

მონაწილეებთან კომუნიკაციისა და პროცესის მართვის უნართან ერთად ტრენერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ტრენინგით გათვალისწინე-

> პროფესიული უნარების განვითარების პირველ ეტაპს, ცოდნის შეძენას, ფორმალური და არაფორმალური განათლების სახით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასე თუ ისე ვართმევთ თავს, მაგრამ ცოდნას მიძინება ახასიათებს - თუ ის ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად არ ვაქციეთ და პერიოდულად არ გავიმდიდრეთ, რამდენიმე ხნის შემდეგ შესაძლოა დავიწყებას მიეცეს.

ბულ თემებთან დაკავშირებული სიღრმისეული ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ ტრენერი და ტრენინგის მონაწილეები ხშირად კოლეგები არიან, მან მაინც უნდა არიდოს თავი სპეციფიკური ტერმინოლოგიით საუბარს და მარტივი სასაუბრო ლექსიკა გამოიყენოს. გარდა ამისა, შეკითხვებს ყოველთვის ამომწურავად უნდა უპასუხოს, შეძლებისდაგვარად გაამარტივოს დავალების ინსტრუქცია და ხშირად მიუბრუნდეს პრობლემურ საკითხებს, რაც მსმენელთა ნდობის მოპოვებას გააადვილებს და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. სამუშაო პროცესი დიალოგის რეჟიმში უნდა წარიმართოს, რათა ტრენინგის მონაწილეებმა თავი სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად იგრძნონ. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ტრენერმა აუდიტორია არ უნდა მოაწყინოს და ინოვაციური და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით აათვისებინოს სასწავლო მასალა.

რაც შეეხება ტრენინგზე გამოყენებულ სასწავლო მასალებს, ასათვისებელი ინფორმაცია უნდა იყოს ოპტიმალური ოდენობის, რათა მონაწილეებმა მისი საფუძვლიანად დამუშავება შეძლონ. ის უნდა წარმოადგენდეს ტრენინგის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილზე მუშაობისთვის საჭირო მთავარ რესურსს, ანუ დავალების შესასრულებლად დამატებითი წყაროების მოძიება არ უნდა გახდეს საჭირო. თუმცა მსმენელებმა ტრენერისგან აუცილებლად უნდა მიიღონ საჭირო ინფორმაცია დამატებით რესურსებსა და საგანმანათლებლო აქტივობებზე, რადგან ტრენინგის ერთ-ერთი მიზანი მისი მონაწილეების მუდმივი პროფესიული ზრდის ხელშეწყობაა.

ყველა ტრენინგი, რომელსაც დავსწრებივარ, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, მიღებული ცოდნის/უნარის განმტკიცება და საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა ბევრს არ გამოსდის. ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა ტრენინგის სისტემის მოდიფიკაცია და როგორ შეიძლება გავზარდოთ მისი ეფექტი?

თუ გვსურს, ტრენინგმა ხანგრძლივი შედეგი გამოიღოს, მიღებულმა ცოდნამ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა უნდა გააუმჯობესოს. ჩემი აზრით, ტრენინგი უფრო შედეგიანი იქნება, თუ:

- ტრენინგ-მოდულის პრაქტიკული ნაწილის მოცულობა გაიზრდება, რაც ახალი ინფორმაციის დამახსოვრებასა და განმტკიცებას გააადვილებს;
- საგნობრივ ტრენინგ-მოდულებში ინტეგრირდება მასწავლებელთა ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრაქტიკული კურსი, მაგალითად: დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეების განხილვა; განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასებების თავისებურებები კონკრეტულ საგნებში და სხვა;
- სკოლის დირექტორი/ადმინისტრაცია აქტიურად ჩაერთვება ტრენინგზე მიღებული ცოდნის გააქტიურების პროცესში, მაგალითად, ტრენინგზე მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლებში გაიმართება შიდა სემინარები/ღია გაკვეთილები, სწავლა-სწავლების პროცესი ახალ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმება და ა.შ.;
- ის ნაცნობ გარემოსა და პედაგოგთა ჯგუფში ჩატარდება. სამუშაო ადგილითა და საერთო საქმით დაკავშირებულ ადამიანთა გუნდში ყოველგვარი ინოვაცია, სავარაუდოდ, უფრო სწრაფად და კომპლექსურად დაინერგება.

მასწავლებელთა ტრენინგებს რომ ვგეგმავდე, განმეორებითი ტრენინგის ჩატარებას ვცდიდი. ჯობს, მეორე შეხვედრაც იმავე ჯგუფსა და გარემოში ჩატარდეს. თუ ტრენინგ-მოდულს არ შევცვლით და დამხმარე მასალების მხოლოდ პრაქტიკულ ნაწილს განვაახლებთ, ადვილად გავზომავთ პირველი ტრენინგის ეფექტს და შედეგებსაც გავაუმჯობესებთ. თუმცა, თუ განმეორებითი ტრენინგის განსხვავებულ ფორმატში ჩატარების მიზნით ჯგუფი ხანგრძლივად (დისტანციურად) ითანამშრომლებს, შესაძლოა, ტრენინგის სუსტი მხარე – მოკლევადიანი მიზნები და დროის შეზღუდული ლიმიტი – ზემოაღნიშნულმა მიდგომამ დააკომპენსიროს.

წარმოიდგინეთ თავი განმეორებით ტრენინგზე, რომელიც ერთი სასწავლო სემესტრის ან წლის დასრულების შემდეგ გაიმართება. ამჯერად ტრენერი და მსმენელები ადგილებს გაცვლიან. მასწავლებლები კოლეგებს წარუდგენენ, სულ მცირე, ერთ პროექტს ან ნებისმიერ სხვა საგანმანათლებლო პროდუქტს, რომელიც პირველი ტრენინგის შემდეგ სკოლაში ახალმიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებით განახორციელეს. პროფესიული უკუკავშირი (ტრენერისა, კოლეგებისა) კი ტრენინგის თითოეულ მონაწილეს როგორც ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური შედეგების შეფასებას გაუადვილებს. ჩემი აზრით, ასეთი განმეორებითი შეხვედრები საგრძნობლად გაახანგრძლივებს ტრენინგის ეფექტს, რადგან მასწავლებლები ახალი ცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვაზე იქნებიან ორიენტირებულნი.

ლელა პოტორაშვილი

რამდენიმე მხიარული აქტივობა ქართულის გაკვეთილისთვის

> პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბავშვის აღქმა და დასწავლის უნარი სხვადასხვაგვარია: ზოგს აუდიალური მეხსიერება აქვს, ზოგს – ვიზუალური, ზოგს კი – კინესთეტიკური. აქტივობა, რომელზეც უნდა გიამბოთ, სამივე უნარს ააქტიურებს.

როგორ ვისწავლეთ ზმნისწინები მუსიკის თანხლებით

მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, წა, ამო, ჩამო, შემო, გამო, გადა, გადმო, წამო – ქართულის მასწავლებლები დამეთანხმებიან, რომ ათი წლის ბავშვებს უჭირთ შინაარსს მოკლებული მარცვლების დაზეპირება. გრამატიკის სწავლება ისედაც აქილევსის ქუსლია. ამიტომ მასწავლებლებს ხშირად გვიწევს იმაზე ფიქრი, როგორ გავხადოთ რთული წესები და საკითხები უფრო გასაგები. რამდენიმე წლის წინ რადიოგადაცემას ვუსმინე. ქართულის მასწავლებელი ჰყვებოდა, როგორ ასწავლა ბავშვებს ზმნისწინები რიტმული მოძრაობების გამოყენებით. მისი მონათხრობი ჩემთვის შთაგონების წყაროდ იქცა. საჭირო დროს უცნობი მასწავლებლის გამოცდილება ამომიტივტივდა მეხსიერებაში და საინტერესო გაკვეთილის იდეაც დაიბადა. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბავშვების აღქმა და დასწავლის უნარი სხვადასხვაგვარია: ზოგს აუდიალური მეხსიერება აქვს, ზოგს – ვიზუალური, ზოგს კი – კინესთეტიკური. აქტივობა, რომელზეც უნდა გიამბოთ, სამივე უნარს ააქტიურებს.

გაკვეთილის გეგმა სამი ფაზის გათვალისწინებით ავაგე. წინა დღეს მუსიკა მოვძებნე, მხიარული, რიტმული. გამომწვევ ფაზაზე მუსიკა ჩავრთეთ და მოვუსმინეთ. ბავშვებს მიზანიც გავაცანი - მუსიკა ზმნისწინებისთვის უნდა დაგვეკავშირებინა. მათ გაუკვირდათ და დაინტერესდნენ. შემდეგ დაფაზე ჩამოვწერე თხუთმეტი ზმნისწინი იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც სტატიის დასაწყისშია მოცემული და სიმღერის ტექსტად ვაქციეთ. ბავშვები თავდაპირველად გაუბედავად ამყვნენ, მერე თანდათან გათამამდნენ. მუსიკის ტემპი თავდაპირველად ნელია, შემდეგ თანდათან ჩქარდება. ტემპის ცვლილებამ ბავშვები გაახალისა. მომდევნო ეტაპზე ზმნისწინები დაფიდან გავაქრეთ და ერთმანეთს შევეხიდეთ. რა თქმა უნდა, თავდაპირველად გახსენება გაუჭირდათ, მაგრამ მასწავლებლის მოსმენისას თვითონაც გააქტიურდნენ. რამდენიმე მცდელობის შემდეგ მთელი კლასი ხალისით მღეროდა თხუთმეტ ზმნისწინს, ზოგი აცეკვდა კიდეც.

ამის შემდეგ ცოდნის განმტკიცების – ზმნისწინების შესახებ სავარჯიშოების შესრულების დრო დგება. შეიძლება დავავალოთ საპროგრამო ლიტერატურული ტექსტიდან ზმნისწინიანი ზმნების ამოწერა ან შევთავაზოთ, თავად მოიფიქრონ შესაბამისი ფორმები.

სასურველია, აღნიშნული აქტივობა ერთჯერადი არ იყოს და ის მრავალგზის დავუკავშიროთ სხვადასხვა გაკვეთილს.

გაკვეთილი რომ შედგა, ბავშვების სიხარულიც მოწმობდა, თუმცა ამაში კიდევ ერთხელ მაშინ დავრწმუნდი, როცა წლის შემაჯამებელ ტესტში ორმოცივე მოსწავლემ გაართვა თავი ზმნისწინების შესახებ კითხვას.

ჩემ მიერ აღწერილი აქტივობისთვის შეიძლება გამოიყენოთ საგანმანათლებლო საიტზე kargiskola.ge ატვირთული მეთოდური მასალა – „კითხვისა და წერის ინტეგრირებული სწავლება სიმღერის გამოყენებით“. სიმღერას სახელად „მზე და ცა“ აქვს აუდიოვერსია ვოკალითა და ინსტრუმენტული ფონით, ვიდეოკლიპი სუბტიტრებით თუ

მის გარეშე, კარაოკე – მხოლოდ ინსტრუმენტული ნაწილით, ვოკალის გარეშე. შეგვიძლია, სიმღერა „მზე და ცა“ ზმნისწინების სწავლებისთვის გამოვიყენოთ.

ეს კი ლინკია, სადაც დაწვრილებით გაეცნობით სიმღერის სწავლების მიზნებს – http://kargiskola.ge/teacherintro/songs.php

ზმნიზედებიანი თიხის მედალიონები

ზმნისწინების შემდეგ ზმნიზედების დრო დადგა. როგორც უკვე აღვნიშნე, ათი წლის ბავშვებს გრამატიკული კატეგორიების გარჩევა უჭირთ, ამიტომ ზმნიზედები კეთებით სწავლების დახმარებით შეიყვარეს.

სწავლების მრავალი მეთოდი არსებობს. აქტივობათა არჩევანი თავისუფალია. ჩვენ სწავლა ჯგუფურ მუშაობასა და ლიტერატურულ კაფეს დავუკავშირეთ.

ჯგუფის სახელად ბავშვებს უნდა მოეფიქრებინათ ერთი ზმნიზედა. მათი არჩევანი საინტერესო აღმოჩნდა: ტყეში, მზიურში, პირისპირ, ალმაცერად, ჩქარ-ჩქარა, ფერხთით, დანიაში... თითოეული ჯგუფი არგუმენტირებულად ასაბუთებდა თავის არჩევანს.

მერე თიხისგან მრგვალი ფირფიტები გამოძერწეს და ზმნიზედები დააწერეს. თიხა რამდენიმე საათში გაშრა და გამოვიდა მედალიონები, რომლებიც ლიტერატურულ კაფეში გულზე ჩამოიკიდეს.

გაკვეთილი გამოგვივიდა მხიარული, აქტივობა - საინტერესო და მიზანს მორგებული. ბავშვებმა ზმნიზედების შესახებ ცოდნა გაიმდიდრეს და მათი გაგება გაუიოლდათ. გრამატიკა ლიტერატურულ დღესასწაულს დავუკავშირეთ და ამ კუთხით ისევ გავაგრძელებთ მუშაობას.

ხელნაკეთი ბალიშები

ჩვენი არაფორმალური ღონისძიებები ფორმალურ გარემოში დასწავლილი მეთოდებისგან არის აგებული. ლიტერატურული კაფესთვის, რომელსაც ორ-სამ თვეში ერთხელ ვმართავთ, საგანგებოდ ვემზადებით. გაკვეთილებზე ვსწავლობთ საპრეზენტაციო უნარ-ჩვევებს, ტექსტის შესახებ საუბარს, სხვადასხვა წერით მეთოდს, რომლებსაც შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ვიყენებთ.

წიგნის წარდგენის ფორმად ხანდახან ხელნაკეთ ბალიშებს ვირჩევთ. ერთხელ სოციალურ ქსელში

კითხვა, ურთიერთობა, სიხარული – შეუძლებელია, ყოველივე ამან სკოლა უსაყვარლეს ადგილად არ აქციოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

საბავშვო მწერლის ლელა ცუცქირიძის ბალიში ვნახე, რომელიც მარო მაყაშვილის დღიურის მიხედვით შეეკერა. სწორედ მაშინ გამიჩნდა ბავშვებთან ერთად ბალიშების შეკერვის სურვილი.

ბალიშებისთვის საჭიროა:

- ნაჭერი;
- სილიკონი ამოსავსებად;
- ძაფი;
- მაკრატელი;
- საკერავი მანქანა;
- ნაჭრის საღებავები.

პირველი ნაბიჯი გამოჭრაა. შემდეგ ვხატავთ რომელიმე ეპიზოდს, ან წიგნის გარეკანს, ან ილუსტრაციას, ან საყვარელ ფრაზებს ვწერთ. თავდაპირველად ბავშვებს დახმარება სჭირდებათ, თუმცა მალევე უღებენ ალღოს დავალებას და დამოუკიდებლად ართმევენ თავს.

ერთ ბალიშს ერთი ჯგუფი კერავდა. საქმეს ინაწილებდნენ: ერთად შერჩეულ ნახატს რიგრიგობით ხატავდნენ, მერე კი აფერადებდნენ. კერვითაც ერთად შევკერეთ. ნელ-ნელა დაგვიგროვდა ფერადი ბალიშები, რომლებიც ლიტერატურული კაფეს გასაფორმებლად და წიგნების წარსადგენად გამოვიყენეთ. რამდენიმე მათგანი სკოლის ბიბლიოთეკას ვაჩუქეთ, დანარჩენი კი საკლასო ოთახში დავაბინავეთ.

ეს მეთოდი ამაღლებს წიგნიერების დონეს, ბავშვები ეცნობიან ერთმანეთის საყვარელ წიგნებს, უჩნდებათ წაკითხვის სურვილი და, რაც მთავარია, საკუთარი ხელით შექმნილი ნივთით კმაყოფილების განცდა ეუფლებათ, ერთად ყოფნა და მუშაობა დაუვიწყარ ემოციებს უკავშირდება

კითხვა, ურთიერთობა, სიხარული – შეუძლებელია, ყოველივე ამან სკოლა უსაყვარლეს ადგილად არ აქციოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ზვიად კვარაცხელია

ისასიო გუგელა

წლევანდელ აგვისტოს განმუხურში, ჩემი მეგობრისა და ნათლულის დათო ჭითანავას სახლში ვატარებ. ათი წლის წინ, როცა ამ მხარეს და მთელ ქვეყანას რუსეთის იმპერია ციდან ბომბებს აყრიდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ათი წლის შემდეგ ჩემს სამ ბიჭთან ერთად შავი ზღვის სანაპიროს სამეგრელოს ზოლში არათუ დასვენებას, მშვიდად ღამის გათევას მაინც შევძლებდი. თვითმფრინავის ხმა და მას მიმსგავსებული ღრუბლების გრუხუნი კარგა ხანს შიშსა და ძრწოლას იწვევდა და ახლაც ქვეცნობიერის ფსკერში ჩალექილი ტრავმის ნამცვრევივით წამომახსენდება ხოლმე.

დილა-საღამოს გავდივართ ზღვაზე. მთელი წლის სტრესისა და დატვირთვის შემდეგ ადრე გაღვიძება დიდად არ მეხალისება – სიმშვიდესა და სიგრილეში გამოძინება ჩემს დაწყვეტამდე დაჭიმულ ნერვებს ძალიან წაადგებოდა, მაგრამ ეს ტოროლები სხვა ტალღაზე არიან აწყობილები.

– მამა, მსოფლიოში ყველა ქრისტიანია? – კიბეზე ჩასვლას არ მაცდის, ისე მეკითხება დემეტრე.

– არა, დემკუ, ზოგი ქრისტიანია, ზოგი მუსლიმი, ზოგიც... ყველა არ არის ქრისტიანი.

– კრიშტიანუ რონალდო ქრისტიანია?

მეღიმება: დილიდანვე შემოაგდო ფეხბურთის თემა, მერე, ვიცი, აღარ მოეშვება, არც კითხვები გამოელევა, ამიტომ წინდახედული მამიკოებივით თავს ვიზოგავ და გზაში დაწეულ კითხვებს: „მესი ქრისტიანია?“, „კუნ აგუერო ქრისტიანია?“ – უყურადღებოდ ვტოვებ, სანამ სანდროს საკონტროლო გასრულა – „ზაზა ფაჩულია ქრისტიანია?“ – არ მომიღებს ბოლოს.

სანდრო, ზოგადად, სპორტზე გადარეული ბიჭი არ გახლავთ, უფრო კონკრეტული ფიგურა – ზაზა ფაჩულია ჰყავს ამოჩემებული და ყველა კონტექსტში მის პერსონას იშველიებს. ვთქვათ, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას თუკი იტყოდნენ: „არგენტინა გავარდა!“, „ესპანეთი გავარდა!“, – სანდრო მხარს აუბამდა საყოველთაო ვნებათაღელვას: „ზაზა ფაჩულია გავარდა?“

აივანზე გავდივართ. ნიკოს დიდი ყურსასმენები უკეთია. ეზოს გადაჰყურებს და თავის ნაჩვევ ფლეილისტს უსმენს. ჰო, ათი წლის წინ ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ათი წლის შემდეგ ჩემი უფროსი შვილი განმუხურში რეი ჩარლზს, „ბლუზ ბრაზერსს“ და „არას“ მოუსმენდა. იმიტომ კი არა, რომ ასეთი რამეები არ შეიძლება მოხდეს – უბრალოდ იმიტომ, რომ ომი ისეთი რამეა, ყველაფრის იმედს, სურვილს და, საერთოდაც, მომავლის შეგრძნებას გიკარგავს. არადა, მომავალსაც ისევე უნდა გრძნობდე, როგორც წარსულს. თითქოს უცნაურად ჟღერს, მაგრამ როცა წარსული არ გეხმარება და მომავალი თავისკენ არ გეზიდება, დღეისდღის ცხოვრება აბრს კარგავს. იმ აგვისტოში სწორედ უსუსურობისა და დაუცველობის განცდა გააჩინა იმპერიის ბომბებმა; იმპერიისა, მარტივ სამიზნედ რომ ამოგვირჩია და ჭურვებით დათხრილი მიწით ამოგვივსო თვალები, წინ რომ არ გაგვეხედა. აგვისტო სისხლიანი და საბედისწერო თვეა მეოცეში და ოცდამეერთეშიც, მაგრამ ყველაზე დიდი ომიც აგვისტოში გვაქვს მოგებული - მართალია, ასწლეულების წინათ, მაგრამ მთლად უხსოვარ დროსაც არა.

ზღვამდე არც ისე შორია. ახლო უფრო ეთქმის. ფეხით მივდივართ. გზა იოლად რომ გაილიოს, ათას რამეს ვიგონებთ – სიმღერას, გაქცევ-გამოქცევას, ერთმანეთის პაროდირებას. ბიჭები მშობლებთან ჩემი საუბრისას ნათქვამი მეგრული სიტყვების გამეორებას და შემხვედრი წარწერების – „იყიდება მიწის ნაკვეთი“, „შენდება მრავალფუნქციური სახლი“ – ამოკითხვას ცდილობენ.

ნიკოს აუტიზმი აქვს და ამ ღრიანცელში დიდად არ მონაწილეობს, თავისთვის ყოფნა ურჩევნია და სიმარტოვეს თუ არ გამოგლეჯ, შეიძლება მთელ დღეს არ დაგიძახოს. ორი გზაა: შენ უნდა ეცადო ან მას უნდა დასჭირდე. შენი ცდა მისი ნებისთვის შენი სურვილების თავს მოხვევაა, რაც მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის, მაგრამ აუცილებელია. თამაშ-თამაშ, მისთვის საინტერესო საგნებით უვითარებ (შენთან) ერთად ყოფნის ჩვევებს, ორივე მხარე ხელახლა და ერთხელ კიდევ სწავლობთ ურთიერთობას.

რამდენიმე ამოჩემებული სიტყვა/ფრაზა აქვს, მათ შორის ერთ-ერთი მკვეთრად დადებითი, აღტაცებული მნიშვნელობის მატარებელია. ხშირად არ წარმოთქვამს, მაგრამ როცა ამბობს, ხვდები, რომ რაღაც მოუნდა, მოეწონა, ან შენ მოეწონე.

ნაპირი გამოჩნდა. დილის სიმეჩხრე და სიმშვიდეა. შეზლონგები თავისუფალია, პლაჟი – აუთვისებელი. შლოპანცებში ქვიშა იგრძნობა. დემე და სანდრო ზღვისკენ გარბიან, დედაჩემი მისდევს. ნიკო ჩემთან რჩება, ხელს მკიდებს, შეზლონგისკენ მივყავარ, მაისურს იხდის და ზედ დებს, სათვალეს იხსნის, თვალებში მიყურებს და ეღიმება – წყალში ბევრჯერ შევსულვართ ერთად: აუზზე, მდინარეში, დიდრონ გუბეებშიც შევუთრევივარ, მაგრამ ზღვა მაინც სხვანაირად უყვარს.

– ისასიო გუგელა! – მეუბნება იმ მაგიურ სიტყვებს, თვალებში მიყურებს და დილის გრილ, დაწმენდილ და მზედაცხუნებულ ზღვაში შევყავარ.

კითხვები მასწავლებლებისთვის

ნასტასია არაბული

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

წლობით როგორ შევინარჩუნოთ მონდომება ისე, რომ ყოველი გაკვეთილი საინტერესო და დასამახსოვრებელი იყოს? როგორ ვიყოთ კმაყოფილები დღის ბოლოს, რომ შევძელით ჩვენი რთული მისიის შესრულება და როგორ არ დავკარგოთ მოტივაცია მაშინ, როცა რაღაც არ გამოგვივა?

სწავლება ცოცხალი პროცესია. დადგენილი წესების დაცვასთან ერთად, ის მუდმივად მოითხოვს სიტუაციის მიხედვით მოქმედებას, ინდივიდუალურ მიდგომას და საკუთარ თავზე მუშაობას. საჭიროა განსაკუთრებული ენერგია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, მოთმინება და სურვილი, რომ სწავლების პროცესი წარმატებული გამოვიდეს.

რთული დღეებისთვის შეგიძლიათ ეს კითხვები დაიმახსოვროთ, საკუთარ თავს დაუსვათ და გულწრფელი პასუხები გასცეთ:

მაქვს კი სწავლების ვნება? – კარგ მასწავლებლებს სჯერათ, რომ ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა. მთავარია სწორი მიდგომის პოვნა. კარგ მასწავლებელს უნდა ეტყობოდეს, რომ რასაც ამბობს, მტკიცედ სჯერა და ნამდვილად ცდილობს, გადასცეს ბავშვებს ის, რისიც სჯერა.

სიყვარულია, რასაც ბავშვების მიმართ ვგრძნობ? – მასწავლებლობა რთული საქმეა და ბევრი ენერგიის ხარჯვასთან ერთად დროის უმეტესი ნაწილის ბავშვების გარემოცვაში გატარებას გულისხმობს. კარგ მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვების გაგება, მათთან ერთად გართობა და მათი სადარდებლის შემჩნევა, ბავშვების ნდობის მოპოვება და ამას არა მხოლოდ ვალდებულების, არამედ საკუთარი სიამოვნების, ინტერესის გამოც უნდა აკეთებდეს.

რა ვალდებულებებს გულისხმობს ჩემი სამუშაო ეთიკა? – მასწავლებლობა მხოლოდ სამსახური არ არის, ეს ცხოვრების გზაა. სწავლება ზარის დარეკვასთან ერთად არ მთავრდება. მასწავლებლობა მოიცავს ბავშვების მეგობრის, მრჩევლის, დამკვირვებლისა და გულშემატკივრის როლსაც, მათზე ზრუნვასა და ფიქრს მაშინაც, როცა ფიზიკურად მათთან არ ხარ. რთულია, ყველას არც გამოსდის, მთელი თავისი არსება მიუძღვნას სხვების მომავლის შენებას. თუ გამოგივიდა, ესე იგი, სწორ ადგილას ხარ, სწორად იქცევი.

რა ვიცი? – იმისთვის, რომ ასწავლო, თვითონ უნდა იცოდე, ხოლო იმისთვის, რომ იცოდე, ერთხელ სწავლა საკმარისი არ არის. სწავლა მთელი სიცოცხლე გრძელდება და თუ ამ პროფესიას ხელს ჰკიდებ, მზად უნდა იყო, რომ სულ რაღაც გეკნება სასწავლი, გასაუმჯობესებელი, დასახვეწი და აღმოსაჩენი.

მჯერა თუ არა მუდმივი განვითარების აუცილებლობის? – კარგი მასწავლებელი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აუმჯობესებს მეთოდიკას, კომუნიკაციას, ატარებს ექსპერიმენტებს, რაც წარმატებასთან ერთად წარუმატებლობასაც გულისხმობს და თუ ამ ყველაფრისთვის მზად არ ხარ და სიამოვნებით არ აკეთებ, ადრე თუ გვიან მოგწყინდება.

რას ნიშნავს ჩემთვის კლასში ბავშვების კონტროლი? – წარმატებული მასწავლებელი კლასში ლიდერი და მენეჯერი უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია სიტუაციის კონტროლი, განწყობის დაჭერა, მოსმენა, გაგება და შესაბამისად მოქმედება.

მასწავლებლისა და ბავშვების ურთიერთობა მეგობრული უნდა იყოს, მაგრამ პატივისცემას არც ერთი მხარე არ უნდა კარგავდეს.

უფროსებს ბავშვებთან ურთიერთობისას მტკიცე პირადი დისციპლინა და კონტროლი სჭირდებათ.

კარგი მასწავლებელი ბავშვებს კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად სოციალური უნარების ჩამოყალიბებაშიც უნდა ეხმარებოდეს. მასწავლებელს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მოსწავლეებს გვერდით სჭირდებათ ადამიანი, რომელიც მათზე ზრუნავს, მათ წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს და მათაც ასწავლის ერთმანეთზე ზრუნვას და პირადი თუ გუნდური პასუხისმგებლობის აღებას.

როგორი აურა მაქვს? – კარგ მასწავლებელს კარგი ურთიერთობის დამყარება უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ბავშვებსა და კოლეგებთან, არამედ მშობლებთანაც, რომელთა ჩართულობის გარეშეც სასწავლო პროცესი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი და წარმატებული. მას უნდა შეეძლოს ნდობის მოპოვება და მშობლების თანამზრახველებად ქცევა ბავშვისთვის საუკეთესო მიზნების მისაღწევად. მასწავლებელი ხშირად სამაგალითო ხდება იმ სოციუმში, სადაც ცხოვრობს და მუშაობს, ამიტომ მას მყარი სამოქალაქო პოზიცია და საგანგებო სიტუაციებში სიმართლის მხარეს ყოფნა მოეთხოვება.

როგორ ვაგვარებ კონფლიქტებს? – კონფლიქტების გარეშე არც ერთი სივრცე არ არსებობს. კონფლიქტები ყველგანაა, სადაც განსხვავებული აზრები, მიზნები ან ხედვები შეიძლება შეეჯახოს ერთმანეთს.

მასწავლებლობა ბავშვებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასა და კოლეგებთან კონფლიქტური შემთხვევების გარეშე წარმოუდგენელია და ამ კონფლიქტების დროს უნდა იცოდე, რისი დათმობა შეიძლება და რისი – არა, ვის სჭირდება მხარდაჭერა, ვისთან იყო კატეგორიული და როგორ დადგე არა კონკრეტული სახელების, არამედ სიმართლის მხარეს.

რა არის ის, რაც პროფესიონალად ქცევისთვის მაკლია? – მასწავლებელს სულ უნდა ახსოვდეს, რომ ის არსებობს ბავშვებისთვის, მათი განათლებისთვის, მომავლისთვის, კეთილდღეობისთვის და ამ თავგანწირულ საქმიანობაში მისი მთავარი იარაღები ცოდნასთან ერთად ენთუზიაზმი, მონდომება, ინდივიდუალურობა, პრინციპულობა, მგრძნობიარობა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენების ღრმა ანალიზის უნარია.

რაში მეხმარება იუმორის გრძნობა? – იუმორი ყველას უმარტივებს ცხოვრებას. გამონაკლისი ვერც მასწავლებელი იქნება. მასწავლებლობა სერიოზული საქმეა, მაგრამ არ შეიძლება, საკუთარი თავი მხოლოდ სერიოზულად აღვიქვათ. უნდა შეგვეძლოს სიცილი ჩვენს თავსა და საქციელზე, ვიყენებდეთ იუმორს დაძაბული სიტუაციების განსამუხტად და ცხოვრების მარილად.

1998 წელს პროფესიული სწავლების სტანდარტების ეროვნულმა საბჭომ (the National Board for Professional Teaching Standards (NBPTS) გამოაქვეყნა ვრცელი დოკუმენტი – „ის, რაც ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს და შეეძლოს“. რთულ შემთხვევებში საკუთარ პროფესიაზე ფიქრისას თვითრეფლექსიისთვის ეს დოკუმენტიც შეიძლება გამოდგეს:

http://accomplishedteacher.org/wp-content/uploads/2016/12/NBPTS-What-Teachers-Should-Know-and-Be-Able-to-Do-.pdf

მეგი კავთუაშვილი

პირადი სივრცე ანუ უხილავი საზღვარი მოსწავლემდე

დედამიწაზე რამდენი ადამიანიც ცხოვრობს, იმდენი „პირადი სივრცე“ არსებობს. რეალური თუ ირეალური მანძილი ყოველ ინდივიდამდე სხვადასხვაა. ხილულთან ერთად ადამიანები თავის გარშემო თვალით უხილავ საზღვარსაც ქმნიან.

პირადი სივრცის აღქმა ბავშვობაში ყალიბდება და მისი დარღვევა ადამიანის არაცნობიერში დისკომფორტს, ფორიაქს, შფოთვას და სხვა უარყოფით ემოციებს იწვევს. პირველად სწორედ ბავშვობაში გვაწუხებს, თუ ვინმემ ჩვენს სივრცეში უნებართვოდ შემოაღწია, მით უფრო, თუ სივრცის დამრღვევი ზრდასრულია და განსაკუთრებული უფლებებითაც სარგებლობს, მაგალითად, მასწავლებლის სტატუსით.

თორმეტი წლის გოგონა უგუნებოდ დაბრუნდა სკოლიდან. დედას გაუმხილა, რომ მეექვსე გაკვეთილზე მერხზე ჩამოდებული თავი მასწავლებელმა ხელით ააწევინა და აიძულა, სკამზე გამართული დამჯდარიყო. აი, ასე, ნიკაპზე მოჰკიდა ხელი და ააწევინა.

„მე ისედაც ვუსმენდი მასწავლებელს ჩემთვის კომფორტულ მდგომარეობაში. რატომ შემეხო? ამით ხომ ჩემი პირადი სივრცე დაარღვია!“ – ამბობდა განაწყენებული გოგონა.

დედის ნათქვამი მასწავლებელს სიცილად არ ეყო – ამ მეთოდით მოსწავლეები არაერთხელ წამოეყენებინა მერხიდან. როგორც ამ წერილის წაკითხვის შემდეგ პედაგოგთა ერთი ნაწილი იტყვის, სუნთქვის უფლება აღარ დაგვიტოვონო, ისე თქვა იმ მასწავლებელმაც და ინციდენტი ამით ამოიწურა, თუმცა გოგონას საყვარელი საგნების რეიტინგში იმ მასწავლებლის საგანმა ქვევით ჩაინაცვლა.

ზრდასრულთა მსგავსად, ყველა მოსწავლე თავად განსაზღვრავს, რა არის მისი პირადი სივრცე, სად გადის ზღვარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

როგორ ესმით სკოლაში მოსწავლის პირადი ცხოვრების უფლება? რამდენად იცავენ უფროსები მოსწავლეების პირად სივრცეს?

მაგალითისთვის განვიხილოთ მოსწავლეთა ვარცხნილობის სტილი, რომელიც ხშირად სკოლების შინაგანაწესით განისაზღვრება. გარდატეხის ასაკში მყოფი მოსწავლეების დიდ ნაწილს უფლება არ აქვს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თავისი თმის მდგომარეობის შესახებ.

სასკოლო შინაგანაწესის თანახმად (სკოლების უმეტესობაში ეს ჩანაწერი არსებობს), მოსწავლის ჩაცმის წესი ასეთია: „მოსწავლე უნდა იმოსებოდეს სადად, ასაკის შესაფერისად. დაუშვებელია შეუფერებელი, გამომწვევი, ვულგარული, ავანგარდული ან/და ექსცენტრული ჩაცმულობა. მოსწავლისთვის აკრძალულია მოკლე შარვლის ტარება... აკრძალულია სკოლაში გამოცხადება შეღებილი თმით და მაკიაჟით. ვაჟები უნდა გამოცხადდნენ მოკლედ შეჭრილი თმით“.

რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორმა მეთორმეტეკლასელ მოსწავლე ბიჭს გაკვეთილზე მაკრატლით მოაჭრა გრძელი თმა. მშობელს პრეტენზია არ ჰქონია, ან კი როგორ გაუბედავდა დირექტორს შეწინააღმდეგებას. მოსწავლის ჩივილს ყური არავინ უგდო. ერთი შეხედვით, დირექტორმა გაიმარჯვა, მაგრამ რა იქნება მომავალში? რას მიაღწია ძლევამოსილმა დირექტორმა იმით, რომ უხეშად შეიჭრა 17 წლის ბიჭის პირად სივრცეში, ისარგებლა მისი მოთმინებით, შეაჭრა დიდი ხნის ნაზარდი თმა და მკაცრი დირექტორის სახელი გაიმყარა?

რაც უფრო მკაცრად არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი მოსწავლის პირადი სივრცის ფარგლებში არსებულ ვითარებას, მით უფრო აშკარაა, რომ სასკოლო საზოგადოების ნაწილი მზად არ არის მოსწავლეებთან როგორც ინდივიდებთან ურთიერთობისთვის.

მოზარდები ინდივიდუალიზმისკენ მიილტვიან, ცდილობენ, განსხვავებული სტილი იპოვონ, უფროსების არაკორექტული შენიშვნები კი მათ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. რაც უფრო ღრმად იჭრება მასწავლებელი თუ მშობელი ბავშვის პირად სივრცეში, მით უფრო მძიმე კომპლექსს უტოვებს მას. ეს კომპლექსი კი შეიძლება მოზარდებს მთელი ცხოვრება ახსოვდეთ და გულში ხინჯად ჰქონდეთ, როგორც მე მახსოვს საკონტროლო წერის დროს მერხებს შორის მოსიარულე მასწავლებლის მიერ ჩემი ლამაზი ვარცხნილობის ხელით მოსინჯვა და მწარე კომენტარი: „მაგ „პრიჩოსკების“ კეთებას, გაკვეთილების უკეთ მომზადებაში ხარჯო დრო, ის ჯობიაო“ (ამ სიტყვებმა იმხელა გავლენა მოახდინა ჩემზე, მას შემდეგ უკან შეკრული თმით დავდივარ. სილამაზის სალონშიც კი ისე ვითხოვ თმის დავარცხნას, რომ სალონის კვალი არ მეტყობოდეს).

თუ გვინდა, სკოლაში მოსწავლეები თავს კარგად გრძნობდნენ, უნდა დავუტოვოთ მათ პირადი სივრცე, სადაც იმ ფერის ლაქს წაისვამენ ფრჩხილზე, რა ფერიც სურთ; იმ ტატუს გაიკეთებენ, რაც გაუხარდებათ; ისე შეიჭრიან, გაიზრდიან, შეიღებავენ თუ გადაიპარსავენ თმას, როგორც ესიამოვნებათ; გაიხვრეტენ ან არ გაიხვრეტენ ყურსა და ცხვირს.

დროა, სკოლამ აღიაროს, რომ მოსწავლეთა მანერები, ჩვევები, თავის მოვლის კულტურა, სამოსი, ვარცხნილობა თუ აქსესუარები მათი პირადი სივრცის ნაწილია, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. ისევე, როგორც უფროსები ვექცევით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი.

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს თანაგრძნობა საკლასო ოთახში

გამუდმებით იმაზე ზრუნვისას, რომ მოსწავლეები გამოცდებისთვის მოამზადონ და რაც შეიძლება მეტი ცოდნა გადასცენ, მასწავლებლებს ხშირად ავიწყდებათ ძალიან მნიშვნელოვანი რამ: ღირებულებებზე საუბარი.

საკლასო ოთახში თანაგრძნობის შესახებ პროექტის იდეა მირანდა მაკკერნიმ გამიზიარა, რომელიც 2015 წელს კონფერენციაზე გავიცანი. მირანდა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორია და ასეთი რამ მითხრა: მხატვრული ლიტერატურის კითხვა მოსწავლეებს შესანიშნავად უვითარებს ფანტაზიას, ნამდვილი ამბებისა და ადამიანების გაცნობა და მათზე საუბარი კი – ემპათიას; ასწავლის, როგორ თანაუგრძნონ სხვებს.

თავდაპირველად ჩვენს სკოლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის საპილოტე გაკვეთილი ჩავატარეთ. ემპათიის გასაღვიძებლად და საკითხის უკეთ გასაგებად პატარებს იმაზე ვესაუბრეთ, რა არის ომი, კონფლიქტი და საკუთარი სახლიდან სხვა ქვეყანაში თავშესაფრისთვის გახიზვნა.

ერთ-ერთმა მოსწავლემ მითხრა: „მეგონა, ლტოლვილები ჩვენნაირები არ იყვნენ, ახლა ასე აღარ მგონია“. მეორემ გამანდო, რომ ლტოლვილების შესახებ საუბრისას მიხვდა, რა სასტიკია სამყარო, რომელშიც ცხოვრობს და როგორ შეიძლება, ერთ დღესაც ყველანი საშინელ საფრთხეში აღმოვჩნდეთ.

საპილოტე გაკვეთილის შემდეგ ჩემი სკოლა ახალ პროექტში ჩაერთო. ეს გახლავთ ნაწილი კამპანიისა, რომელიც მიზნად ისახავს, მოსწავლეებს ერთმანეთთან, სკოლასა და გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებაში დაეხმაროს. პროექტის ფარგლებში რამდენიმე მოხალისე მასწავლებელმა მოვუწოდეთ სხვა მასწავლებლებს, ეფიქრათ თავიანთი მოსაწავლეების მეგობრობის უნარის, სტრესის მიზეზების, ბულინგისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და დახმარებოდნენ მათ საჭირო დროს. მეოთხეკლასელებმა ყველაზე მეტი ყურადღება ლტოლვილებს დაუთმეს. ჩვენ გავეცანით თანამედროვე ლიტერატურას ამ თემაზე, ბევრი ვიკვლიეთ და გავაცნობიერეთ, ვინ არიან ლტოლვილები და მიგრანტები, რა პრობლემები აქვთ მათ და რა გამოწვევების წინაშე დგანან.

პროცესმა ჩემს მოსწავლეებზე მყისიერი და ძლიერი გავლენა მოახდინა. შინ დაბრუნებისთანავე უკლებლივ ყველა ესაუბრა მშობლებს, მერე კი მთხოვეს, კლასის კრება ჩამეტარებინა, რომ უფროსებთან ერთად მოეფიქრებინათ, როგორ დახმარებოდნენ ლტოლვილებს. ისინი ამბობდნენ, რომ მანამდე თავს არიდებდნენ ლტოლვილების შესახებ ინფორმაციას, ამიერიდან კი გულწრფელ ყურადღებას დაუთმობდნენ.

სკოლის ადმინისტრაციამ ღია გაკვეთილსაც გაუწია ორგანიზება. მომხსენებლებად საერთაშორისო ორგანიზაციების Amnesty International-ისა და Great Yarmouth Refugee Outreach Support-ის თანამშრომლები მოვიწვიეთ, რომლებიც თემას საფუძვლიანად იცნობდნენ. მოსწავლეებმა მათ ბევრი კითხვა დაუსვეს და ბოლოს, საკუთარი ინიციატივით, წერილები გაუგზავნეს სირიელ ლტოლვილ თანატოლებს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს კიდევ ერთი გამოწვევა დავუსახეთ – დავავალეთ, დილით შინიდან წამოეღოთ მხოლოდ ის ხუთი ნივთი, რომლებსაც ყველაზე საჭიროდ მიიჩნევდნენ და ის ღამე სკოლაში გაეთიათ. მეორე დილით ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ძალიან მძიმე ღამე გადაიტანეს და ეს ნივთები სრულიადაც არ იყო საკმარისი ცხოვრებისთვის. რთული აღმოჩნდა თავად ნივთების არჩევის პროცესიც და ბავშვები მიხვდნენ, რომ ლტოლვილობა წარმოუდგენლად ძნელია. „მე ყოველთვის თანავუგრძნობდი ლტოლვილებს, უბრალოდ, არ ვიცოდი, რა დამერქმია ამისთვის ან როგორ გამომეხატა ეს“, – მითხრა ერთმა მათგანმა.

პროექტი მთელი წელი გაგრძელდა. ჩვენ მას კვირაში სამ საათს ვუთმობდით. ამ ყველაფერმა ძალზე დადებითად იმოქმედა მოსწავლეების ემოციებზე, შეცვალა მათი დამოკიდებულება ერთმანეთისა და ლტოლვილების მიმართ, ისინი უფრო კეთილები, მიმტევებლები გახადა და არაერთ საკითხზე დააფიქრა. წარმომიდგენია, როგორ გაახარა მათმა წერილებმა სირიელი ბავშვები...

სექტემბრიდან პროექტი უკვე სხვა საკლასო ოთახებშიც გადაინაცვლებს.

თარგმნა
ნინია მაჭარაშვილმა

ნინო კაპანაძე

აგრესია ბავშვებში ანუ როგორ გადავარჩინოთ მერცხლის ბუდეები

არდადეგებზე ეზოში ხმაურმა იმატა. ბავშვები სიცხეს გაურბიან და სადარბაზოს აფარებენ თავს. სართულებზე ასაკობრივ ჯგუფებად გადანაწილდნენ. მეორეზე მეხუთე-მეექვსეკლასელი ოთხი ბიჭი ცხოვრობს, მათი ლოკაციაც იქ არის. ხან თამაშობენ, ხან კამათობენ. ჩხუბამდე საქმე არ მიდის. შესაძლოა იმიტომაც, რომ ერთი ენერგიული ბებია სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა სიტუაციის განმუხტვაა საჭირო.

სადარბაზოში მერცხლებს რამდენიმე ბუდე აქვთ. მესამე სართულზე მარტოხელა სანტექნიკოსი ცხოვრობს. მერცხლებთან გამორჩეულად მეგობრობს. ფრინველებმა კიდევ ერთი ბუდის აშენება დაიწყეს. სანტექნიკოსი ყოველ ავლა-ჩავლაზე ბიჭებს მერცხლების გონიერებასა და შრომისმოყვარეობაზე ელაპარაკება. უამრავი ფოტოც გადააღებინა, როცა ბუდეს აშენებდნენ: დააკვირდით, როგორ ელოდებიან, რომ ამოყვანილი კედელი გაშრეს და გამაგრდეს, მერეღა აგრძელებენო... ბუდეში ბარტყებიც გამოიჩეკნენ და დაფრთიანებას ელოდნენ.

ერთ დღეს ხმაური ატყდა. სანტექნიკოსი ბრაზობდა: რომელმა ველურმა და უღმერთომ ჩაიდინა ეს ამბავი, ვინ დაუნგრია ბუდე მერცხლებსო? ბუდე ჩამოშლილი იყო. მერცხლები იქვე ტრიალებდნენ. ერთი ბარტყი დაბლა ეგდო. ხმაურზე ბავშვები მოგროვდნენ. ბიჭები ბარტყის შველას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ...

აღმოჩნდა, რომ ამ სართულზე დაბანაკებული გოგონები „ქალების ჩხუბს“ თამაშობდნენ, ერთმანეთს სათამაშოებს ესროდნენ. ერთი დათუნია ბუდეს მოხვდა და... შემცბარმა სანტექნიკოსმა ბურტყუნით შეიჯახუნა კარი. გოგონების ბებიამ ბავშვებს რისხვა დაატეხა: არ გრცხვენიათ? თქვენ რომ სახლი დაგინგრიონ, მოგეწონებათო? ნახეთ, სულ ჭორფლს დაგაყრით, ბუდე რომ მოუშალეთო.

ყველა გაიკრიფა. „დამნაშავეები“ კიბეზე დარჩნენ. შეშინებულები უყურებდნენ ერთმანეთს, ალბათ, ჭორფლსაც უთვალიერებდნენ...

კვლევები მოწმობს, რომ ბავშვები უფრო და უფრო ხშირად თამაშობენ ძალადობრივ თამაშებს. ეს შეუმჩნეველი არ რჩებათ მშობლებს, მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებს. ეს უკანასკნელნი ამ მოვლენის ფესვებს საზოგადოებაში ხედავენ. დედამიწაზე ომები თითქოს შემცირდა, ცივილიზაცია სწრაფად მიიწევს წინ, მაგრამ ადამიანი თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობს. ის არ არის თავისუფალი შიშისა და საზრუნავისგან - როგორ დაიცვას თავი?

უბრალო ექსპერიმენტი - ტელეარხების ხუთწუთიანი გადათვალიერებაც კი შეგვახსენებს, რომ გადაცემებსა თუ ფილმებში ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით ძალადობას, შანტაჟს, ქუჩის გარჩევებს, ჩაგვრას, კონფლიქტებს, დამცირებას. იგივე ტენდენცია იკვეთება საბავშვო გადაცემებსა თუ ფილმებშიც. ტელევიზიას არც ინფორმაციის სხვა გამტარები ჩამორჩება. ერთი შეხედვით, უწყინარი და ნეიტრალური სარეკლამო ბანერიც კი მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ძალადობის ინსტრუმენტია.

ახდენს თუ არა ასეთი გარემო გავლენას ბავშვებზე? ბავშვები კონკრეტული ეპოქისა

> როგორ უნდა მოიქცნენ უფროსები, როცა ბავშვის თამაშში აგრესიას შეამჩნევენ? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს სპეციალისტები არ იძლევიან, მაგრამ დაბეჯითებით გვირჩევენ, დავაკვირდეთ ბავშვის მიერ არჩეულ აგრესიულ როლებს და ჩავწვდეთ მისთვის ამ თამაშის მნიშვნელობას.



და კონკრეტული რეალობის შვილები არიან. მათი ბუნებრივი სწრაფვაც ამ რეალობაში თავის დამკვიდრებაა. როცა გარემო აგრესიით არის გაჟღენთილი, ბავშვების თამაშებშიც, რომლებიც ერთგვარი სამზადისია ზრდასრულ ცხოვრებაში შესასვლელად, აგრესია აირეკლება.

როგორ უნდა მოიქცნენ უფროსები, როცა ბავშვის თამაშში აგრესიას შეამჩნევენ? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს სპეციალისტები არ იძლევიან, მაგრამ დაბეჯითებით გვირჩევენ, დავაკვირდეთ ბავშვის მიერ არჩეულ აგრესიულ როლებს და ჩავწვდეთ მისთვის ამ თამაშის მნიშვნელობას.

თამაშის დროს აგრესიის გამოვლენა სხვადასხვაგვარად ხდება. ასევე განსხვავებულია ბავშვის მოტივები. ფსიქოლოგებს მაგალითად მოჰყავთ საბავშვო ბაღში ანას და გოგას თამაში: ანა ნაჭრის სათამაშო სახლში შედის, გოგა ფეხებს ურტყამს კედლებს, სათამაშოებს ისვრის შიგნით და ყველანაირად ცდილობს სახლის დანგრევას. როცა სახლი სათამაშოებით ამოიტენება, ანა ყვირილს იწყებს: „მიშველეთ, ვკვდები!“ – და მომაკვდავის სახეს იღებს. ბავშვები ამას რამდენჯერმე იმეორებენ, შემდეგ მათი ფანტაზია სიუჟეტს მკვეთრად ცვლის: როცა სახლი ნასროლი სათამაშოებით აივსება და ანა ყვირილს იწყებს, გოგა უცებ მიატოვებს მნგრეველისა და მოძალადის როლს და გმირისა და მხსნელის როლში გვევლინება. „ნუ გეშინია, მოვდივარ შენს გადასარჩენად!“ – ყვირის ის, ანას თავზე დაყრილი ნივთებისგან ათავისუფლებს და სამშვიდობოზე ხელჩაჭიდებული გამოჰყავს.



როგორც ირკვევა, ბავშვებმა პირველი სიუჟეტი ტერორისტების მიერ სახლების დარბევის შესახებ მოსმენილის შთაბეჭდილებით შექმნეს. ნანახი თუ მოსმენილი ბავშვში სხვადასხვაგვარ შფოთვას იწვევს, რომელთან გამკლავების მოთხოვნილებაც მას ბუნებრივად უჩნდება.

ბავშვებს არ შეუძლიათ, უბრალოდ დაივიწყონ ის, რამაც მათ ნეგატიური ემოციები აღუძრა, მაგრამ არც ამგვარი ფაქტების მიღება ძალუძთ. მათ სჭირდებათ, გადაამუშაონ ახალი ინფორმაცია, დაძლიონ შფოთვა და შეიქმნან განცდა, რომ შეუძლიათ ასეთი სიტუაციისთვის თავის გართმევა. ამ მიზანს ისინი თამაშით აღწევენ.

ბავშვები კონკრეტული ეპოქისა და კონკრეტული რეალობის შვილები არიან. მათი ბუნებრივი სწრაფვაც ამ რეალობაში თავის დამკვიდრებაა. როცა გარემო აგრესიით არის გაჟღენთილი, ბავშვების თამაშებშიც, რომლებიც ერთგვარი სამზადისია ზრდასრულ ცხოვრებაში შესასვლელად, აგრესია აირეკლება.

ამიტომაც თავდაპირველ სიუჟეტში მათ გაიმეორეს საშიში ამბის ის გარეგნული ასპექტები, რომლებიც მათმა ბავშვურმა გონებამ აღიქვა. თამაში დასაწყისში მარტივი და სასტიკია: სახლში ადამიანია, მეორე ადამიანი ანგრევს სახლს და პირველი კვდება. გოგა მონდომებით ასრულებს მნგრეველის როლს. მაგრამ სწორი იქნება, ამ როლის არჩევისთვის ის ერთმნიშვნელოვნად მივიჩნიოთ მოძალადედ?

ჯერ ერთი, ეს არის სიუჟეტური თამაში, რომელშიც პარტნიორების ურთიერთობა შეთანხმებულია. აგრესორს ჰყავს დამხმარე - ნებაყოფლობითი მსხვერპლი. ამჯერად არ ვსაუბრობთ ბიჭი-მოძალადისა და გოგონა-მსხვერპლის როლებზე, რაც თამაშის დამატებითი აზრობრივი ხაზია (ქცევის სოციალური სტერეოტიპების გავლენა).

მეორეც, ბავშვებმა საგანგაშო სიტუაციის გათამაშების შემდეგ თამაშში ახალი შინაარსი შემოიტანეს: სავარაუდოდ, როგორც კი ანამ და გოგამ (ასაკობრივი შესაძლებლობის შესაბამისად) გაიგეს, რა არის ტერორისტობა, რას განიცდის დანგრეულ სახლში მყოფი, რა ცუდად გამოიყურება სიკვდილი, მათ შეძლეს შიშთან გამკლავება. გოგას დისკომფორტი გაუჩნდა ტერორისტული ქცევის და იმ საშინელი სიტუაციის გამო, რომელიც გაითამაშეს. მისმა ფანტაზიამ გამოსავალი მხსნელის როლის მორგებაში იპოვა და ეს გააკეთა კიდეც.

ბავშვებმა თამაშის საშუალებით წარმოსახვაში მიაგნეს საშინელი სიტუაციიდან გამოსავალს. ამ თამაშით გოგამ შეძლო, დაეძლია მოსმენილით აღძრული შფოთვა, მოერგო მოძალადის როლი და ძალადობა ქომაგობითა და სიკეთით შეეცვალა. კარგია, რომ თამაში ფინალამდე ბავშვების სცენარით მივიდა და ისინი შფოთვისგან გათავისუფლდნენ. ამიტომ დაკვირვება და სიტუაციაში ჩაღრმავება უფროსებს ნამდვილად სჭირდებათ. ნაჩქარევი დასკვნები და მენტორული ტონი იშვიათად იძლევა სასურველ შედეგს.

ასე დარჩნენ კიბის ბაქანზე მოთამაშე გოგონები მძიმე განცდებში, როცა მათთან სასაუბროდ ვერავინ მოიცალა. ვინ იცის, რამდენჯერ გაახსენდებათ დანგრეული ბუდის ამბავი და ყოველი ჭორფლის გაჩენას გარდაუვალ სასჯელად მიიჩნევენ, რადგან არავინ დაინტერესდა, რომელ „ქალების ჩხუბს“ თამაშობდნენ ისინი. იქნებ მათაც შფოთვასთან უნდოდათ გამკლავება, სინამდვილეში კი ახალი შფოთვა მოევლინათ (ბუდის დანგრევის, ბარტყის სიკვდილის და ჭორფლის გამო)...

რა თქმა უნდა, მერცხლის ბუდეების გადასარჩენად ბავშვების აგრესიული ქცევის პრევენციაა საჭირო. ფსიქოლოგები გვირჩევენ, სანამ ბავშვის აგრესიულ თამაშებს შევაჩერებთ, შევეცადოთ, ჩავწვდეთ, რა ცოდნას, აზრებსა და ფანტაზიებს ავითარებს ის ამ თამაშში.

- რას განიცდის ახლა ბავშვი?
- რომელი შთაბეჭდილებებით შეიძლება აღძრულიყო ეს განცდები?
- სინამდვილეში ვისთან აიგივებს თავს?
- თავის ფანტაზიას მიმართავს თუ არა იმისკენ, რომ მოძალადის როლი პოზიტიურით ჩაანაცვლოს?
- რამდენად კარგად ახერხებს ამას?
- შეუძლია თუ არა თამაშს, დაეხმაროს ბავშვს ემოციურ სტაბილიზაციაში?
- რას სწავლობს ის ამ თამაშით?
- თამაშის პროცესში უვითარდება თუ არა ურთიერთობის უნარები?

ამ კითხვებზე პასუხების მიგნება და გაანალიზება სწორ გზაზე დაგვაყენებს.

ქეთევან კობაღაძე

გაცნობიერებული მშობლობა ანუ როგორ გავხდეთ საკუთარი შვილების საყრდენი

პირველი ნაწილი

სიუზენ სტიფელმანი (Susan Stiffelman) – ამერიკელი პედაგოგი, განათლების სპეციალისტი, კონსულტანტი და ფსიქოთერაპევტი ოჯახური ურთიერთობების საკითხებში. მართავს სემინარებს სკოლებსა და მშობლებისთვის დაარსებულ ორგანიზაციებში. სიუზენი რამდენიმე წიგნის ავტორია, რომლებიც მრავალ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

> მშობლები ხშირად აშკარად არ გამოხატავენ აგრესიას, მაგრამ მათი მანიპულაციები ძალიან დახვეწილია და ბავშვებში დანაშაულის განცდას აღძრავს, რაც მათ პიროვნული განვითარების საწყის ეტაპზე ღრმა იარებს უტოვებს.

ურთიერთობის ოთხი მოდელი

ადამიანებს შორის ურთიერთობის ოთხი ძირითადი მოდელი არსებობს და ერთმანეთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ამ ოთხი მოდელიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება. ადამიანები პასიურები, აგრესიულები, პასიურ-აგრესიულები ან მტკიცეები და შეუპოვრები (ანუ, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ასერტულები) არიან.

პასიური ადამიანი ხდება მაშინ, როდესაც ჭეშმარიტ გრძნობებს იხშობს და იქმნის ილუზიას, თითქოს ყველაფერი რიგზეა. პასიური ადამიანი ამბობს „დიახს“ და გულისხმობს „არას“. ის სხვების სურვილებსა და მოთხოვნებს საკუთარზე მაღლა აყენებს. პასიურ მშობლებს ეშინიათ შვილების წყენინების და ცდილობენ, თავი მოაწონონ მათ, ამიტომ მუდამ თმობენ და შვილების ნებისმიერ მოთხოვნას აკმაყოფილებენ.

ურთიერთობის აგრესიული მოდელის მიმდევრები მუქარას და დაშინებას მიმართავენ, რათა შვილები საკუთარ ნება-სურვილს დაუმორჩილონ. ზოგიერთ პასიურ დამკვირვებელს ასეთი მოდელი შესაძლოა ეფექტურიც კი მოეჩვენოს, რადგან ამ დროს ბავშვის არასასურველი ქცევა ქრება, მაგრამ ასეთი „გაქრობა“ მომავალში უარყოფით შედეგს იძლევა. ბავშვები აგრესიულ მშობლებთან სიახლოვეს ვერ გრძნობენ – ისინი ხომ შვილებისთვის ემოციურ ასპექტში უსაფრთხოების გარანტები არ არიან.

პასიურ-აგრესიული მშობლები შვილების კონტროლს დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობის ჩანერგვით ცდილობენ. ასეთი მშობლები ხშირად აშკარად არ გამოხატავენ აგრესიას, მაგრამ მათი მანიპულაციები ძალიან დახვეწილია და ბავშვებში დანაშაულის განცდას აღძრავს, რაც მათ პიროვნული განვითარების საწყის ეტაპზე ღრმა იარებს უტოვებს. ასეთი ბავშვები გამუდმებით ცდილობენ მშობლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და საკუთარ გრძნობებსა და სურვილებს გაცილებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. თუ მშობელი ამბობს: „შენ ერთადერთი ბავშვი ხარ ამ ოჯახში, რომელსაც წესიერად სუფრის გაწყობაც კი არ შეუძლია“, – ეს ნიშნავს, რომ ის ცდილობს, შეარცხვინოს შვილი; მაგრამ თუ მან თქვა: „მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს იმაზე ფიქრით, სად გიშოვო ექსკურსიაზე წასასვლელი ფული“, – ბავშვი აუცილებლად იგრძნობს დანაშაულს

> ასერტული მშობლები ადვილად ეგუებიან შვილების დაუმორჩილებლობას, არ ღიზიანდებიან, პირად შეურაცხყოფად არ იღებენ და, რაც მთავარია, ძალის გამოყენებით არ ცდილობენ მათ დამორჩილებას. ასეთი მშობლები გაგებით ეკიდებიან შვილების გამოხატვის თავისებურებებს და არ ზღუდავენ მათ, მაგრამ უწესებენ საზღვრებს და არ ეშინიათ იმისა, რომ ამით შესაძლოა გააბრაზონ.

მშობლების წინაშე. ჩემი აზრით, ეს შვილებთან ურთიერთობის არასწორი ფორმაა.

ასერტული მშობელი გემის კაპიტანია და მართავს შვილის „ცხოვრების ხომალდს". ასერტული ურთიერთობის შემთხვევაში მშობლები ბუნებრივ საზღვრებს აწესებენ საკუთარ თავსა და შვილებს შორის, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს, საკუთარი მოთხოვნები, განცდები და გრძნობები იქონიონ. ასეთი მშობლები არ ამუნათებენ შვილებს, როცა მათი საჭიროებები ერთმანეთს არ თანხვდება. არ არის საჭირო შვილების წინაშე მუდმივად თავის მოწონება და არც იმის შიში ვარგა, ამან ბავშვი არ გაანერვიულოს. მშობლები შესანიშნავად ხვდებიან, რომ თუ შვილების ყველა პრობლემის მოგვარება საკუთარ თავზე აიღეს, ამით ცხოვრების სირთულეების გადალახვას ვერ ასწავლიან და ადაპტაციის უნარს ვერ განუვითარებენ. ასერტული მშობლების შვილებმა იციან, რომ ისინი უყვართ ისეთები, როგორებიც არიან და არა იმიტომ, რომ მშობლების ხათრით ყველაფერს აკეთებენ, რათა დედიკომ და მამიკომ საზოგადოებაში იამაყონ მათი მიღწევებით.

ასერტული მშობლები ადვილად ეგუებიან შვილების დაუმორჩილებლობას, არ ღიზიანდებიან, პირად შეურაცხყოფად არ იღებენ და, რაც მთავარია, ძალის გამოყენებით არ ცდილობენ მათ დამორჩილებას. ასეთი მშობლები გაგებით ეკიდებიან შვილების გამოხატვის თავისებურებებს და არ ზღუდავენ მათ, მაგრამ უწესებენ საზღვრებს და არ ეშინიათ იმისა, რომ ამით შესაძლოა გააბრაზონ.

ეს – რაც შეეხება თეორიულ ასპექტებს. მოდი, ახლა ცოტაოდენი პრაქტიკაზეც ვისაუბროთ. მაშ, ასე: ჩამოწერეთ თქვენი შვილის სახელის გასწვრივ ყველა ის თვისება, რომლებთან გამკლავებაც ყველაზე მეტად გიჭირთ. თუ ამ დავალებას სერიოზულად მოეკიდებით და საქმეში ცენზურას არ ჩართავთ, შესაძლოა, დაახლოებით ასეთი სია გამოგივიდეთ:

მოუთმენელი, თხუპნია, ძალაუფლებისმოყვარე, ეგოისტი, უზომოდ მგრძნობიარე, მოუქნელი, ზედმეტად ფრთხილი, უხეში, ზედაპირული, აგრესიული, მორცხვი, ინფანტილური, მშიშარა, მომთხოვნი, გამომწვევი, უტიფარი, კრიტიკული, ცივი, ჯიუტი, უმადური, ეჭვიანი, კონფლიქტური, უინტერესო, სუსტი, მორცხვი, მფრთხალი, მოუსვენარი, წუწუნა, ფიცხი,

ზოზინა, ყველაფერს ძალიან ნელა აკეთებს და დაწყებული საქმე ბოლომდე არასოდეს მიჰყავს.

ახლა კი უპასუხეთ შემდეგ კითხვებს (რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ისეთებს, რომლებიც თქვენც გეხებათ):

- თქვენი წარსულიდან ვის გაგონებთ ეს ბავშვი? მშობელს? მასწავლებელს? უფროს ან უმცროს და-ძმას? ან იქნებ ყოფილ მეუღლეს?
- როგორ რეაგირებდით, როდესაც ის ამგვარად იქცეოდა? გაერიდებოდით ხოლმე? თავად გადადიოდით შეტევაზე? კამათობდით? ისტერიკას მართავდით? იმალებოდით? ტიროდით? პასიური იყავით თუ, პირიქით, აგრესიული? ან იქნებ პასიურ-აგრესიული?
- როგორი რეაქცია ჰქონდა მას თქვენს წუწუნსა თუ თხოვნაზე? თქვენ გადანაშაულებდათ საკუთარ პრობლემებში? უგულებელგყოფდათ თუ ცდილობდა, თქვენი პრობლემები არაფრად ჩაეგდო? გეუბნებოდათ, რომ ყველაფერი ზედმეტად მიგაქვთ გულთან? ან იქნებ სხვა ფორმით ცდილობდა ზედმეტი წუწუნისთვის თქვენს დასჯას? გეუბნებოდათ, რომ საკუთარი პრობლემები თავად უნდა მოგეგვარებინათ? დანაშაულის გრძნობას ხომ არ გიღვივებდათ? გეუბნებოდათ, რომ მისი ცხოვრება გაცილებით რთული იყო, ვიდრე თქვენი? ან იქნებ დასცინოდა თქვენს ზედმეტ მგრძნობიარობას?
- ახლა დაფიქრდით, ხომ არ ამჟღავნებს თქვენი შვილი არასასურველ თვისებებს, რომლებიც საკუთარ თავს გაგონებთ? და ეს ის თვისებები ხომ არ არის, რომელთა აღიარებაც ძალიან გიჭირთ? თავად ხომ არ აკეთებდით ისეთ რამეებს, რაც ბავშვისთვის მიუღებლად მიგაჩნიათ? რა გრძნობა გიჩნდებათ, როდესაც იმ თვისებებზე ფიქრობთ, რომლებიც თქვენთვის და თქვენი შვილისთვის საერთოა?
- როგორ იქცეოდნენ ადამიანები, რომლებიც ბავშვობაში თქვენზე ზრუნავდნენ, როდესაც არასასურველ თვისებებს ამჟღავნებდით ან არასწორად იქცეოდით? გარცხვენდნენ თუ გაკრიტიკებდნენ? უფრო დამჯერ და-ძმას ხომ არ გადარებდნენ? კუთხეში გაყენებდნენ თუ საკუთარ ოთახში გიშვებდნენ, რომ იქ კარგად დაფიქრებულიყავით იმაზე, რა ცუდი ბავშვი ხართ? ან იქნებ თქვენდამი უპატივცემულობას გამოხატავდნენ? ხომ არ გიყვიროდნენ ან გემუქრებოდნენ? ფიზიკურად ხომ არ გსჯიდნენ?
- რაზე უფრო წუხხართ ახლა, როდესაც ხედავთ, რომ თქვენი შვილიც ასეთივე თვისებებს ამჟღავნებს? რა დასკვნა გამოგაქვთ? იქნებ თქვენი შვილის ქცევამ მოთმინების უნარი გამოგიმუშავათ? ან იქნებ უფრო მოქნილი და ასერტული გაგხადათ?

მინდა გითხრათ, რომ ბავშვის ქცევის სიღრმისეულ მიზეზებში გარკვევა ძალიან რთული საქმეა, ამიტომ თუ ემოციები დუღს და მათთან გამკლავება გიჭირთ, აუცილებლად მიმართეთ კვალიფიციურ სპეციალისტს. მაგრამ თუ გსურთ, საკუთარ შვილს ისე შეხედოთ, როგორც მასწავლებელს და მზად ხართ, გარდაქმნებისა და განკურნების გზას დაადგეთ, გპირდებით, დიდ ჯილდოს მიიღებთ.

ახლა გაგაცნობთ მშობლების მიერ ჩემთვის გამოგზავნილი კითხვების ნაწილს.

კითხვა: „ჩემი ოთხი წლის გოგონას განუწყვეტელ წუწუნს ჭკუიდან გადავყავარ. ვიცი, რომ პატარაა და ყოველთვის ვერ ახერხებს თავისი გრძნობების სიტყვებით გადმოცემას, მაგრამ მისი მოტირალი, წუწუნა ინტონაცია ზოგჯერ საშინლად მაღიზიანებს“.

რეკომენდაცია: იქნებ სცადოთ და ბავშვის წუწუნს უფრო მარტივად შეხედოთ. მისი საქციელი ხომ თავისთავად, განყენებულად ცუდი ან კარგი არ არის; მას ასეთად აქცევს თქვენი აღქმა. აქ იწყება ხასიათების ჭიდილი, ძალაუფლებისთვის ბრძოლა. თუ გსურთ, ბავშვმა რამის კეთება შეწყვიტოს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ეს გაღიზიანებთ, ამით მის უფრო დიდ პროტესტს გამოიწვევთ. რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა ბუდისტურ შეგონებასავით გაიჟღეროს, მაგრამ თუ თქვენ შეძლებთ და მის წუწუნს იარლიყებს არ მიაწებებთ, მაშინ დაახლოებით ასეთი რამის თქმაც უნდა მოახერხოთ: „ჩემო კარგო, მინდა, გავიგო, რა გაწუხებს და შემიძლია, მანამდე დავიცადო, სანამ ნორმალური ხმით არ მეტყვი, რაშია საქმე“. რაც უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევთ შვილს, მით უფრო მალე მოახერხებს ის თავისი სურვილის წუწუნის გარეშე გამოხატვას.

კითხვა: „ჩემი თერთმეტი წლის ტყუპი თვალებს ატრიალებს ან სულაც გამომაჯავრებს ხოლმე, როდესაც რამის გაკეთებას ვთხოვ. ამას მე უპატივცემულობად მივიჩნევ. ჰოდა, რა უნდა ვისწავლო, როცა ასეთ აღმაშფოთებელ ბავშვებთან მაქვს საქმე?“

რეკომენდაცია: მოდი, იქიდან დავიწყოთ, რომ ტყუპის საქციელს პირად შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ. ამ ასაკის ბავშვებს ხშირად არ აქვთ პოზიტიური ქცევის როლური მოდელი. მოზარდები ცდილობენ, ე.წ. გარდატეხის ასაკში შევიდნენ და გაიგონ, როგორ მოახერხონ საკუთარი მშობლებისგან დისტანცირება. სამწუხაროდ, ბავშვები ზოგჯერ ნეგატიურ ქცევას უფრო აქტიურად იღებენ და იმეორებენ, ვიდრე პოზიტიურს. როდესაც თქვენი შვილები არასასიამოვნო მიმიკებით ცდილობენ ემოციის გამოხატვას, ამით მხოლოდ იმას გაჩვენებენ, რომ თქვენი თხოვნის შესრულება არ სურთ, ამიტომ ჯობს, რჩევით შემოიფარგლოთ და თქვათ: „კარგი იქნება, თუ თქვენს სურვილებს მისაღები ფორმით გამოხატავთ და მოახერხებთ, მკაფიოდ გამოთქვათ თქვენი შეხედულებები!“

მარიამ გოდუაძე

ემოციური ინტელექტის გავლენები სკოლაში

ოდესმე განგიცდიათ იმედგაცრუება ნიჭიერ მოწაფესთან ან ოჯახის წევრთან მუშაობისას იმის გამო, რომ სხვებთან ვერ ახერხებდა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას? იქნებ თქვენს კლასშიც მჯდარა ლამაზი გოგონა დიდი, ცისფერი თვალებით და შიშნარევი მზერით, რომელიც მეხუთე კლასში ველოსიპედიდან გადმოვარდა, ძლიერ დაშავდა, სკოლა თითქმის მთელი წელი გაუცდა და მომდევნო წელს პროგრამას ვეღარ დაეწია. ამის გამო ის უკანა მერხზე გადასვეს და ასე გაატარა რამდენიმე წელი; ტრავმის შიში სხვა შიშად გადაექცა, თანაკლასელებს და მასწავლებლებს გაუუცხოვდა და მერვე კლასში დაფას თუ გააწმენდინებდნენ ან ტუალეტში გაიყოლებდა ვინმე, „სიკეთისთვის“ მადლობელი უნდა ყოფილიყო? მერე რა, რომ კარგად ხატავდა, მშვენიერ ჩანახატებს და მოთხრობებს წერდა და ინტელექტის კოეფიციენტი თავის მედიდურ თანაკლასელებზე გაცილებით მაღალი ჰქონდა!

საკუთარი გამოცდილებიდან იქნებ ისეთი შემთხვევებიც გახსენდებათ, როდესაც დასახული მიზნის მისაღწევად ყველა წინააღმდეგობა ლაღად და წარმატებით გადალახეთ თქვენ ან თქვენმა მოწაფემ, შვილმა, ნაცნობ-მეგობარმა?

მეცნიერება გვთავაზობს ამ ორი განსხვავებული მოვლენის ერთ ახსნას, რომლის თანახმად, ემოციურ და სოციალურ უნარებს მოსწავლის გრძელვადიანი წარმატების ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მაშასადამე, ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში ემოციური ინტელექტის როლი განუზომელია.

ემოციური ინტელექტის შესწავლისას არაერთი მეცნიერული კვლევა ეხება ემოციური ინტელექტის გავლენის ემპირიულ დასაბუთებას ადამიანის ცხოვრების ხარისხზე, ნებისმიერი ტიპის წარმატებაზე, სტრესისადმი მედეგობაზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე. მიჩნეულია, რომ მაღალი ემოციური ინტელექტი განაპირობებს კარგ ადაპტაციას; მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები სარგებლობენ ნდობით, პატივისცემით, თანატოლებსა თუ კოლეგებთან აქვთ თბილი ურთიერთობა, თანხმობა და საკმაოდ ეფექტურნი არიან.

ემოციური ინტელექტის ცნება უმთავრესად მოიაზრებს ემოციურ თვითშეფასებას, სხვისი ემოციების შეფასებას, ემოციურ რეგულაციას და ემოციების გამოყენებას, ასევე – გუნდურობის ეფექტიანობას [Tonioni 2015].

სხვა განმარტების თანახმად, ემოციური ინტელექტი არის ადამიანის უნარი, გაიგოს საკუთარი გრძნობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. ცნობილია, რომ ემოციური ინტელექტის დონე არ იზომება გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ემოციურ ინტელექტს IQ-სგან (გონებრივი, კოგნიტიური ინტელექტისგან) ისიც განასხვავებს, რომ **მისი ამაღლება შესაძლებელია.** მაშასადამე, შესაძლებელია იმ საშუალებების ათვისება, რომლებითაც ემოციური ინტელექტის ამაღლება მოხერხდება. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელიც კი, რადგან კვლევებმა დაადასტურა, რომ ემოციური ინტელექტი განაპირობებს ადამიანის მოტივირებულობას. ემოციური ინტელექტი ამარაგებს ადამიანს ემოციური კომპეტენციებით, რომლებიც წარმატების სანდო პრედიქტორებია.

> კვლევებით დასტურდება, რომ სოციალურ-ემოციური სწავლება არ არის მოსწავლის ძვირფასი დროის არაეკადემიური მიმართულებით ამაო ხარჯვა, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსწავლეების აკადემიური მოსწრება იზრდება, მათი სოციალური და ემოციური უნარები უმჯობესდება, ცუდი ქცევა და აგრესია მცირდება.

ვიდრე ჩვენში ემოციური ინტელექტის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამული უზრუნველ-ყოფისთვის ხარჯებს უშუალოდ გაილებს ვინმე, ამ და ასეთ კითხვებ-ზე მორგებული სავარჯიშოებით შეიძლება ჩვენც შევქმნათ სასარგებლო სას-წავლო რესურსები და ერთმანეთს სიამოვნებით გავუზიაროთ ჩვენს საარსებო სივრცეში ნაკლები ძალადობისთვის, მეტი ღიმილისთ-ვის, უკეთესი თვითშეფასებისა და აკადემიური შედეგებისთვის.



ემოციური ინტელექტის ამაღლების საშუალებები

ვინაიდან სამი წლის ბავშვებს უკვე შეუძლიათ ემოციების (სიხარულის, ბრაზის, ემპათიის) გამოხატვა, მათი პოზიტიური განვითარებისთ-ვის აუცილებელია ამა თუ იმ ემოციის შემჩნევა, აღნიშვნა, რომ ეს კარგი/ცუდი ემოციაა. ასევე მნიშვნელოვანია დადებითი ემოციების განმტ-კიცების ხელშეწყობა. მიჩნეულია, რომ ემოციური ინტელექტის სწავლება უფრო ადვილია ადრეულ ასაკში, როცა ბავშვი გაცილებით დამყოლია.

უკვე ჩვენშიც მიუთითებენ, რომ სკოლაში ემოციური ინტელექტის უნარ-ჩვევების განვითა-რება მეტად მნიშვნელოვანია. სკოლას შეუძლია, დანერგოს „ემოციური განათლების" პროგრამე-ბი. სწორედ მათი საშუალებით გახდება შესაძ-ლებელი დაბალი ემოციური ინტელექტის მქონე მოსწავლეებისთვის ბრაზით, იმედგაცრუებითა და მარტოობით გამოწვეული ემოციების მართ-ვის სწავლება, იმის ახსნა და დასაბუთება, რომ დეპრესიით, ბრაზით ან თანატოლებთან კონფ-ლიქტით წარმატებას ვერ მიაღწევენ.

კვლევებით დასტურდება, რომ სოციალურ-ემო-ციური სწავლება არ არის მოსწავლის ძვირფასი დროის არააკადემიური მიმართულებით ამაო ხარჯვა, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსწავ-ლეების აკადემიური მოსწრება იზრდება, მათი სოციალური და ემოციური უნარები უმჯობესდე-ბა, ცუდი ქცევა და აგრესია მცირდება. მოსწავლე-ების მხრივ განა ცუდი საქციელი არ არის, მაღალი ინტელექტისა და საუკეთესო გარეგნობის მქონე თანაკლასელი მხოლოდ დაფის გამწმენდად გამოიყენონ? სკოლის მხრივ განა ასეთივე ცუდი საქციელი არ არის მოსწავლის უგულებელყოფა, კომპეტენტური დახმარების ნაცვლად ასეთი შემთხვევების მიჩქმალვა და არაფრად ჩაგდება?

სასიხარულოა, რომ ზოგიერთმა ჩემმა ქართველმა კოლეგამ უკვე იცის კონფლიქტის კრეატიულად გადაჭრის პროექტის შესახებ (The Resolving Conflict Creatively Project). ეს ემოციურ ინტელექ-ტზე დაფუძნებული კიდევ ერთი პროგრამაა, რომ-ლის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს კონფლიქ-ტების გადაჭრის გზების ძიებაში, უვითარებს მათ

ინტერპერსონალურ უნარებს, ამშვიდებს გაბრაზებისას, ეხმარება მეგობრების შეძენაში, ასწავლის სხვისი აზრის გათვალისწინებით კონფლიქტების მოგვარებას, უყალიბებს ეთიკური და უსაფრთხო გადაწყვეტილებების მიღების უნარს[1].

გარდა ამისა, საზღვარგარეთ სკოლებისთვის შექმნილია არაერთი სასწავლო პროგრამა (მაგალითად, Gostrength[2], SEL (Social-emotional learning[3] და სხვა), რომლებიც მოწაფეებს სხვადასხვა ემოციურ და სოციალურ უნარს უვითარებს. ესენია ემოციური ინტელექტის, თავდაჯერების, პრობლემის მოგვარების, მოქნილობის, ოპტიმისტურად ფიქრის, შინაგანი მახასიათებელი ძალის განვითარების და სხვა უნარები.

აღნიშნული პროგრამები დაახლოებით ასეთ კითხვებზეა მორგებული:

1. რას ნიშნავს კარგად ყოფნა და ამაზე რატომ უნდა ვიზრუნოთ?
2. რატომ აკეთებ რამეს? როგორ გავიგოთ, რატომ გვაქვს ესა თუ ის ემოციური რეაქცია სხვადასხვა ტიპის გამოწვევებისა და რთული ცხოვრებისეული სიტუაციების მიმართ?
3. თვალი გადაავლე შენს ფიქრებს. იპოვე ფიქრში 8 ზოგადი შეცდომა და აღწერე, რა ავნეს მათ შენს მოქნილობას, მოიფიქრე, რით შეგიძლია მათი აღკვეთა.
4. ხუთი შ-ინი: **შეიპყარი, შეამოწმე, შეაგროვე, შეეწინააღმდეგე** და **შეცვალე**. ამ მეთოდის მეშვეობით შეგიძლია მოიპოვო ახალი ცოდნა, დააზუსტო ის სხვადასხვა მონაცემებით, შეავსო ცოდნის ბანკი, იაზროვნო კრიტიკულად და ძველი, არასწორი წარმოდგენა უკეთესით შეცვალო.
5. პრობლემის სუპერგმირულად მოგვარება. გამოიგონე 6 ნაბიჯი, რომლებითაც სუპერგმირი ამ პრობლემას აუცილებლად პოზიტიურად მოაგვარებდა.
6. რა არის მართებული სურათზე? აჩვენე შენი უდიდესი ძალა და გააანალიზე, რა რატომ ხდება.
7. დაწინაურდი პროცესში! დაფიქრდი და აღმოაჩინე, წარმატებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტად რისი გჯერა, იფიქრე, გადაამუშავე, მეტი იაზროვნე!
8. გამოიგონე ბედნიერების სავარჯიშოები! ივარჯიშე, რათა გახდე იმედიანი და ბედნიერი!
9. შექმენი მჭიდრო კავშირები! ძლიერი სოციალური კავშირი სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანური კეთილდღეობისთვის! ისწავლე, როგორ განამტკიცო მეგობრობა!
10. ადამიანობის წარმატება – ისწავლე, როგორ დაისახო მოკლე- და გრძელვადიანი მიზნები!

ხოლო ვიდრე ჩვენში ემოციური ინტელექტის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამული უზრუნველყოფისთვის ხარჯებს უშურველად გაიღებს ვინმე, ამ და ასეთ კითხვებზე მორგებული სავარჯიშოებით შეიძლება ჩვენც შევქმნათ სასარგებლო სასწავლო რესურსები და ერთმანეთს სიამოვნებით გავუზიაროთ ჩვენს საარსებო სივრცეში ნაკლები ძალადობისთვის, მეტი ღიმილისთვის, უკეთესი თვითშეფასებისა და აკადემიური შედეგებისთვის.

გამოყენებული რესურსები:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=1693
2. https://www.gostrengths com/course-details/
3. http://www.rahulkapoor.in/goal-setting-program.html

ანა ჯანელიძე

პროფესიული სწავლის თემი – სკოლამდელი და დაწყებითი განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ეფექტური გზა

> პროფესიული სწავლის თემის წარმატებული მუშაობისთვის მნიშვნელოვანია თეორიასა და პრაქტიკას შორის უთანხვედრობის დამყარება, განსაკუთრებით კი კვლევებში მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს როგორც სკოლის/ბაღის თანამშრომლების, ასევე მკვლევრების პროფესიულ განვითარებას.

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის მიღწევისა და შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, პროფესიული განვითარების მოთხოვნა ასახულია მასწავლებელთა და სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიულ სტანდარტებში. პროფესიული განვითარების გავრცელებული მეთოდები, როგორიცაა სემინარი, ტრენინგი, კონფერენცია და სხვა, სწავლების ზემოდან-ქვემოთ პრინციპს ეფუძნება და არსობრივად ნაკლებად დემოკრატიულია. განათლების მრავალი თანამედროვე მკვლევრის აზრით კი, პროფესიული განვითარების ტრადიციული მიდგომები არ არის საკმარისი მრავალფეროვან საგანმანათლებლო გარემოში მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების განსავითარებლად. მასწავლებლობა არ წარმოადგენს წმინდა ტექნიკურ, ავტომატიზებულ პროფესიას, სადაც წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ყოველი ნაბიჯი. პირიქით, დიფერენცირებული, ბავშვზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესი მოითხოვს მასწავლებელს, რომელიც მოქნილია, მუდმივად კრიტიკული თვალით უყურებს საკუთარ პრაქტიკას და სკოლის თემთან დიალოგში ეძიებს ბავშვებისთვის უკეთესი განათლების შესაძლებლობის მიცემის გზებს. ამიტომაც მრავალ ქვეყანაში დღეს უწყვეტი პროფესიული განვითარების ერთ-ერთ წარმატებულ და ეფექტურ მოდელად მიიჩნევა ე.წ. პროფესიული სწავლის თემი (*Professional learning community*). ეს ცნება შემდეგნაირად განიმარტება: *ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც უწყვეტად, რეფლექსიისა და თანამშრომლობის გზით, თანაბარი ჩართულობით, სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებით უზიარებენ ერთმანეთს და კრიტიკულად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას.* სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდებით პროფესიული სწავლის თემის არაერთ მოდელს, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისგან ადგილობრივი საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული კონტექსტის მიხედვით. იმავდროულად, მათ აერთიანებთ მთავარი მიზანი: საბავშვო ბაღებისა და სკოლების თანამშრომლების პროფესიული და ემოციური ხელშეწყობა ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საკუთარი პრაქტიკის შესახებ კრიტიკული რეფლექსიისა და მისი გაზიარების გზით.

2017 წელს გამოქვეყნდა პროფესიული სწავლის თემებთან დაკავშირებული კვლევის ანგარიში. კვლევა ევროკომისიის მხარდაჭერით ჩატარდა და მიზნად ისახავდა ევროპის მასშტაბით დაწყებით სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული პროფესიული სწავლის თემის მოდელების შესწავლას, საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებას და მათი მახასიათებლების გამოვლენას. საკითხის შესწავლის პროცესში მკვლევრებმა პროფესიული სწავლის თემის ხუთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოყვეს:

1. მასწავლებლებს, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად აქვთ სიღრმისეული დიალოგი კოლეგებთან განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. მასწავლებლები კოლეგებს უღებენ საკუთარი საკლასო ოთახის კარს, აკვირდებიან ერთმანეთის პრაქტიკას, აძლევენ უკუკავშირს, ერთობლივად გეგმავენ, გუნდურად თანამშრომლობენ ადგილობრივ თემსა და მშობლებთან.
3. სკოლის/ბაღის გაუმჯობესება გააზრებულია როგორც ერთობლივი ძალისხმევა და პასუხისმგებლობა და არა მხოლოდ დირექტორის ან ცალკეული მასწავლებლის მოვალეობა.
4. ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლებებსა და მრავალფეროვნების პატივისცემაზე დაფუძნებული ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს ქმნის.
5. ზემოაღნიშნული ასპექტების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა მხარდამჭერი ხელმძღვანელობა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სკოლის/ბაღის კულტურის ტრანსფორმაციაში.

კვლევის შედეგად განისაზღვრა ზემოაღნიშნული ხუთი მიმართულების ეფექტური მახასიათებლები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა მოკლე მიმოხილვასაც გთავაზობთ.

1. უწყვეტი დიალოგი და რეფლექსია

საკუთარ პრაქტიკაზე ერთობლივი რეფლექსია მნიშვნელოვანია როგორც სკოლის/ბაღის გუნდის შიგნით, ისე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთადაც. პროფესიული სწავლის თემი ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას უნდა უქმნიდეს ყველა თანამშრომელს, მათ შორის – დირექტორს, მეთოდისტს, წამყვან პედაგოგს, აღმზრდელს, თანაშემწეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ:

- არსებობდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების სხვადასხვა ტიპის აქტივობა სხვადასხვა დონეზე მომუშავე თანამშრომლებისთვის;
- ხელმისაწვდომი იყოს სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც პასუხობს მონაწილეთა სხვადასხვა საჭიროებას;
- რეფლექსიის ორგანიზება შესაძლებელია ინდივიდუალურ, ჯგუფურ და დაწესებულებათაშორის დონეზე მრავალი მეთოდის საშუალებით (დაკვირვება, პრაქტიკის სუპერვიზია, თანამშრომელთა კრება, სემინარები, პედაგოგიური დოკუმენტირება, გამოცდილი თანამშრომლის მეთვალყურეობით მუშაობა და სხვა).

> მნიშვნელოვანია, მიდგომა დემოკრატიულ ღირებულებებს ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს თანამშრომლების, ბავშვების, მათი ოჯახების, თემის პერსპექტივას. ამისთვის საჭიროა ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანამშრომლობა თემში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, აგრეთვე – საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა მომსახურებებს შორის.

მნიშვნელოვანია პედაგოგიური მხარდაჭერა შესაბამისი პროფესიონალის ხელმძღვანელობით. ეს შესაძლოა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე მეთოდისტი, წამყვანი პედაგოგი და სხვა;

- ინდივიდუალური და ჯგუფური რეფლექსიისთვის დამხმარე ინსტრუმენტებისა და სპეციფიკური მეთოდების შემუშავება;
- საკუთარი პრაქტიკის დაკავშირება თეორიასთან სკოლის/ბაღის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გზით.

2. კოლეგებისთვის საკლასო ოთახის კარის გაღება

კვლევამ აჩვენა, რომ კოლეგების მიერ ერთმანეთის პრაქტიკაზე დაკვირვება, უკუკავშირის მიცემა, გუნდურად დაგეგმვა, მშობლებსა და თემთან გუნდურად თანამშრომლობა ხელს უწყობს ბაღის/სკოლის გუნდს საზიარო ღირებულებების, ცოდნისა და პრაქტიკის შექმნაში და ამცირებს ინდივიდების იზოლაციის რისკს.

რეკომენდაციები

- ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს პედაგოგებს ერთმანეთის პრაქტიკის გაანალიზებაში: დაკვირვება, რამდენიმე ხანს გამოცდილი პერსონალის მეთვალყურეობით მუშაობა და სხვა;
- სხვა დაწესებულებებთან გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება (მუნიციპალიტეტში, ქვეყნის მასშტაბით ან სხვა ქვეყანაში).

3. უკეთესი სკოლის/ბაღის შექმნა საერთო პასუხისმგებლობაა

პროფესიული სწავლის თემი უნდა აცნობიერებდეს, რომ დაწესებულების განვითარება და ბავშვებისთვის განათლების უკეთესი შესაძლებლობის მიცემა მთელი გუნდის პასუხისმგებლობაა და არა მხოლოდ ცალკეული პირების ან ხელმძღვანელობის.

გამოიკვეთა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად მიდგომას, რომელიც ეფუძნება მუშაობის ქვემოდან-ზემოთ პრინციპს, სადაც თემის თითოეული წევრი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და როლს და შესაბამის ძალისხმევას იჩენს სკოლის/ბაღის განვითარებისთვის.

იმისთვის, რომ სკოლის/ბაღის თანამშრომლები საკუთარი განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეებად იქცნენ, მათ უნდა შევუქმნათ პირობები მუდმივი რეფლექსიისა და ერთმანეთისგან სწავლისთვის. თანამშრომელთა მიერ საკუთარ განვითარებაზე ზრუნვა და აქტიურობა ზრდის პროფესიულ მოტივაციას, რაც პროფესიული სწავლის თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია.

რეკომენდაცია

- კოლეგებისგან სწავლის მრავალფეროვანი შესაძლებლობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა; სხვადასხვა დონეზე და დონეებს შორის პროფესიონალების მიერ ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

4. ბავშვის უფლებებსა და მრავალფეროვნების პატივისცემაზე დაფუძნებული ხედვა და ღირებულებები

პროფესიული სწავლის თემის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, მონაწილეებს ჰქონდეთ საზიარო ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ბავშვის უფლებებსა და მრავალფეროვნების პატივისცემას ეფუძნება; მიდგომა დემოკრატიულ ღირებულებებს ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს თანამშრომლების, ბავშვების, მათი ოჯახების, თემის პერსპექტივას. ამისთვის საჭიროა ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანამშრომლობა თემში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, აგრეთვე – საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა მომსახურებებს შორის.

მნიშვნელოვანია, პროფესიული სწავლის თემი ხელს უწყობდეს თანამშრომელთა რეფლექსიისა და მოლაპარაკების უნარების განვითარებას. ამ უნარების განვითარება უფრო იოლია, როდესაც პერსონალი მრავალფეროვანია – შედგება კაცებისა და ქალებისგან, სხვადასხვა სოციალური და კულტურული ჯგუფის წარმომადგენლებისგან.

რეკომენდაციები

- პროფესიული სწავლის თემის სამუშაო პრინციპად უნდა განისაზღვროს დემოკრატიული ჩართულობა და მრავალფეროვნების პატივისცემა;
- უნდა არსებობდეს სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მრავალფეროვანი კადრების მოზიდვის პოლიტიკა.

5. მხარდამჭერი ხელმძღვანელობა

სკოლის/ბაღის ხელმძღვანელებს (დირექტორები, მეთოდისტები, წამყვანი პედაგოგები და სხვა) შეუძლიათ პოზიტიური ცვლილებების წინამძღოლობა. პროფესიული სწავლის წარმატებულ თემს სჭირდება დემოკრატიული მმართველები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოდან-ქვემოთ და ქვემოდან-ზემოთ მიდგომების შეთავსება. მნიშვნელოვანია, ხელმძღვანელობა, ერთი მხრივ, თანამშრომელთა გუნდს გაუძღვეს, მისცეს მიმართულება, მეორე მხრივ კი ხელი შეუწყოს საზიარო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. ამისთვის ხელმძღვანელები გარკვეულ კომპეტენციებს უნდა ფლობდნენ, რასაც სჭირდება პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა, თანამშრომლობა სხვა სკოლებთან/ბაღებთან.

რეკომენდაციები

- სპეციალური მოსამზადებელი პროგრამების შექმნა პროფესიული სწავლის თემის ხელმძღვანელებისთვის;
- პროფესიული სწავლის თემის ხელმძღვანელებისთვის პროფესიული ქსელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელთა მხარდაჭერას, სუპერვიზიას და გამოცდილების გაზიარების გზით მისცემს მათ განვითარების შესაძლებლობას.

სტატია მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის ანგარიშზე დაყრდნობით: Sharmahd N., Peeters J., Van Laere K., Vonta T., De Kimpe C., Brajković S., Contini L., Giovannini D.; Transforming European ECEC services and primary schools into professional learning communities: drivers, barriers and ways forward, NESET II report, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2017. doi: 10.2766/74332.

ფოტოების წყაროები:

1. http://www.uft.org/feature-stories/five-kind
2. https://www.bhcpnet.org/wp-content/uploads/2014/07/philosophynight2015.jpg

მაღინა საჯაია

კარგად სწავლის სწავლა შესაძლებელია

სწავლა ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი სიხარულია. როდესაც რაიმე ახალს ვსწავლობთ, უკეთ გვესმის საკუთარ თავისა და გარემომცველი სამყაროსი. საკუთარ გამოქვაბულში დარჩენისა და უკეთესი ცხოვრების იმედად ყოფნის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია გავიდეთ გარეთ და საკუთარ თავზე გამოვცადოთ მისი უკეთ გაგების მაგია. ამით უკეთესობისკენ შევცვლით როგორც საკუთარ, ისე გარშემო მყოფთა ცხოვრებას. სწორედ ესაა ადამიანად ყოფნა.

სიბრძნე ხშირად ბევრი შეცდომის შედეგად მოიპოვება. ფორმალური განათლება სხვათა შეცდომებზე სწავლას ნიშნავს. ეს კი უნდა ვისწავლოთ.

სწავლას იშვიათად გვასწავლიან. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია სწავლის სწავლა. საბედნიეროდ, არაერთმა მკვლევარმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა იმის შესწავლას, რა არის ეფექტიანი. თქვენც შეგიძლიათ, ისწავლოთ მათგან. ქვემოთ მოყვანილია 10 მნიშვნელოვანი უნარი, რომლებიც დაგეხმარებათ, წარმატებას მიაღწიოთ სწავლაში. თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს.

1. შეამოწმეთ საკუთარი თავი

გააკეთეთ ჩანაწერები, სთხოვეთ მეგობრებს, დაგისვან კითხვები ან თავად დასვით. დამახსოვრების საუკეთესო წინაპირობაა, რამდენად ხშირად დაგიმახსოვრებიათ ეს ინფორმაცია წარსულში. გადაკითხვა მაშინაც კი უშედეგოა, როცა ყველაზე მნიშვნელოვნის გამოსაყოფად ან ხაზგასასმელად ხარჯავთ დროს – ამით ინფორმაციას ისე ეფექტურად ვერ დაიმახსოვრებთ, როგორც საკუთარი თავის შემოწმებით. სამწუხაროდ, კვლევები ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას არ სჯერა ამის და შედეგად ნაკლებს სწავლობს. ნუ იქნებით ერთი მათგანი. გადაკითხვა პასიურია, შემოწმება – აქტიური. შეამოწმეთ საკუთარი თავი, მერე კი გამოასწორეთ შეცდომები. გაიმეორეთ.

2. განავრცეთ შემოწმება დროში

დაიწყეთ სწავლა ადრე, რათა გქონდეთ დრო განავრცოთ, დროში გაწელოთ სწავლის პროცესი. კვლევები გვიჩვენებს, რომ ერთბაშად სწავლა ცუდია. შედეგად სულ ახლახან ნასწავლიც დაგავიწყდებათ – ის, რასაც ხუთი წუთის შემდეგ ისწავლით, გავლენას მოახდენს იმაზე, რასაც ახლა სწავლობთ. ეს დავიწყების პირველი მიზეზია. ერთბაშად სწავლისას ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში არ თავსდება. ხანგრძლივი მეხსიერება მოითხოვს ცილის ტრანსკრიფციას ახალი სინაფსების ასაგებად, ეს კი ხდება მაშინ, როცა ნეირონები „მოელიან“ ერთი და იმავე ინფორმაციის დამუშავებას უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ერთბაშად სწავლა აძნელებს გაგებას, რადგან არ გყოფნით დრო ინფორმაციის ღრმად დასამუშავებლად. ერთბაშად სწავლა ძილზეც ახდენს გავლენას. დაბოლოს, ის სტრესის წყაროა. დასტრესილ მოსწავლეებში ხშირია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემე-

ბი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, ეს თავიდან აიცილოთ მშვიდი მიდგომით და წინასწარ დაგეგმვით.

რაც უფრო დიდი ხნით გსურთ რამის დამახსოვრება და რაც უფრო უკეთ – რამის გაგება, მით უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოთ მის სწავლას. შეგიძლიათ, ისწავლოთ ყოველდღე და ასეც უნდა მოიქცეთ, მაგრამ მოგვიანებით ისევ და ისევ გადაავლეთ თვალი უკვე ნასწავლ მასალას. ოც დღეზე განაწილებული სწავლის ათი დღე უკეთესია, ვიდრე ათი დღე ზედიზედ სწავლა. დაგეგმეთ საჭიროებისამებრ. და დაიწყეთ ადრე.

3. ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი რამ გააკეთეთ

ნუ შეეჭიდებით სწავლისას ბევრ საქმეს. გამონახეთ სამეცადინოდ მშვიდი ადგილი, სადაც არც ელექტრონული ფოსტაა და არც ტელეფონი და დაუთმეთ დრო იმის გაგებას, რასაც აკეთებთ. მრავალი კვლევა მოწმობს, რომ ბევრი საქმის ერთდროულად კეთების მცდელობა (multitasking) გაყოვნებთ, ქმნის დაბრკოლებას, რომელიც ბლოკავს სწავლას და, როგორც წესი, სპობს შესაძლებლობას, ღრმად ჩასწვდეთ იმას, რასაც სწავლობთ. ამასთან, ორი საქმის კეთება მეტ დროს მოითხოვს. თქვენ იხდით ე.წ. გადართვის საფასურს, როდესაც თქვენს ტვინს ხშირ–ხშირად უწევს ერთი ამოცანიდან მეორეზე გადართვა. თუ ორ ბავშვს აუზში ერთდროულად



> ადამიანს შეუძლია კარგისა და ცუდის გარჩევა. ერთ-ერთი კვლევა ეხება სასურველ სიძნელეებს, სწავლის მოქნილობის გაზრდას გაწეული ძალისხმევის პროპორციულად.

არ ატივტივებთ, მაშინ ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ რამეზე გაამახვილეთ ყურადღება.

4. აუხსენით საკუთარ თავს (და სხვებსაც)

იცით მხოლოდ ის, რისი ახსნაც შეგიძლიათ. განმარტეთ, რატომ და როგორ არის დაკავშირებული ახალი ცნება იმასთან, რაც უკვე იცით. როდესაც მეხსიერებაში უკვე მყარად არსებულს უკავშირებთ ახალს, ეს უკეთ დამახსოვრებაში გეხმარებათ. ღრმად გაიაზრეთ, რაც იცით. ეს უმთავრესი გზაა გონებაში კვალის გავლებისა, რაც მოგვიანებით დამახსოვრებაში დაგეხმარებათ. ვინც ამბობს, რომ ცუდად იმახსოვრებს სახელებს, სინამდვილეში ცუდად გაიაზრებს მათ – თუ იფიქრებენ ახალგაგონილ სახელზე, გაიხსენებენ სხვას, ვისაც იგივე სახელი ჰქვია, გაურითმავენ რამეს ან ამ სახელს ადამიანის შუბლზე ამოსვირინგებულს წარმოიდგენენ, მეტი შანსია, დაიმახსოვრონ. მეცნიერები ამას ელაბორაციას უწოდებენ.

აუხსენით სხვებს. თუ ეს ისე მოახერხეთ, რომ სხვებმაც გაიგონ, ესე იგი, მართლაც იცით.

თუ ცოდნა კოშკია, ახსნა ხარაჩოა, რომელიც მის აგებაში გეხმარებათ. არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ახსნა ამარცხებს შეჯამებას ბალახზეც და თიხაზეც. შეჯამება შესაძლოა ითვალისწინებდეს მხოლოდ თქვენ წინ, ფურცელზე არსებულის ორგანიზებას, ახსნა კი მოითხოვს ამის გახსენებას, ისევე როგორც ბებიის სახლისკენ მიმავალი ბილიკისას. ახსნა ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფაქტებს გაგების ციტადელად აქცევს.

5. გააკეთეთ ჩანაწერები ხელით

მეხსიერების კვლევის ასმა წელმა გვასწავლა ერთი უმთავრესი რამ – ვიმახსოვრებთ იმას, რასაც ღრმად ვამუშავებთ. თუ გსურთ, დაიმახსოვროთ რამე, რაც მიზეზთა გამო ნაკლებსაინტერესოა თქვენთვის, მოგიწევთ მისი საკუთარ გონებაში „მოწვევა“ მასზე ფიქრით, რამე ისეთთან დაკავშირებით, რაც უკვე იცით, მასზე საკუთარი სიტყვებით საუბრით და კარგად გააზრებული ასოციაციების შექმნით. რაც უფრო მეტს სწავლობთ თემის შესახებ, მით უფრო გიადვილდებათ სწავლა, მაგრამ თავდაპირველად გარჯა და ყოველი კონცეპტის რიგრიგობით დამახსოვრება მოგიწევთ. ჩანაწერების კომპიუტერზე ბეჭდვა ნაკლებეფექტურია, ვიდრე ხელით წერა – ბეჭდავთ მეტს, მაგრამ გაიაზრებთ და, შესაბამისად, იმახსოვრებთ ნაკლებს. ხელით წერა საშუალებას მოგცემთ, გააკეთოთ ჩანახატები, მონიშნოთ და მიუხატოთ ისრები კითხვებს, რომლებიც აუცილებლად გაგიჩნდებათ და რომლებსაც მოგვიანებით დასვამთ. თქვენ უკვე იცით, რომ ინტერნეტს შეუძლია თქვენი (და თქვენ გარშემო მყოფების) ყურადღების გაფანტვა, ასე რომ, აიღეთ ქაღალდის ბლოკნოტი და იქეცით ხელოვნად.

შინ რომ დაბრუნდებით, გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს და შეავსეთ იმით, რასაც გაიხსენებთ. თუ რამე გაუგებარია, მონიშნეთ და შემდეგ ჰკითხეთ თქვენს მასწავლებელს (ლექტორს) – მასწავლებლებიც ადამიანები არიან და სიამოვნებით ეხმარებიან დაინტერესებულ მოსწავლეებს (სტუდენტებს). კითხვების დასმით თქვენ მათი საქმიანობისადმი ინტერესს გამოხატავთ, ადამიანებს კი მოსწონთ, როდესაც სხვები მათი საქმიანობით ინტერესდებიან.

6. იკითხეთ

იკითხეთ, რათა დაინახოთ მთლიანი სურათი და გაიგოთ, როგორ უკავშირდება იდეები ერთმანეთს. იკითხეთ გასამხნევებლად. იკითხეთ, რათა აითვისოთ თქვენთვის საინტერესო თემის შესაბამისი ლექსიკონი და გაიგოთ, როგორ საუბრობენ სხვები მასზე. მონიშნეთ ან ხაზი გაუსვით, რათა მნიშვნელოვანი იდეების პოვნა მოგვიანებითაც შეძლოთ. ჩაიწერეთ, რათა გაგიადვილდეთ მოძიება და ჩაინიშნეთ კითხვები, რომლე-

> გაითვალისწინეთ ის, რაშიც უკვე მიაღწიეთ წარმატებას და გააცნობიერეთ, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი. თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ. თუ გექნებათ შესაბამისი გარემო და მოტივაცია, ნებისმიერი რამის სწავლას შეძლებთ.

ბიც სწავლისას წარმოიშვა. ნუ მოელით, რომ ეს ყველაფერი ინფორმაციას ხანგრძლივ მეხსიერებაში განათავსებს. ხაზგასმას და მონიშვნას ინფორმაცია წიგნიდან მეხსიერებაში კი არ გადააქვს, არამედ ასე გამოყოფთ იმას, რასაც მოგვიანებით უფრო ღრმად დაამუშავებთ ახსნისა და შემოწმების (გამოცდის) გზით. მაგრამ კითხვა ხშირად საკუთარი სფეროს ოსტატად ქცევისკენ მიმავალი გზაა.

7. მოძებნეთ გონიერი ბავშვები და დაუმეგობრდით მათ

თუ მართლა გსურთ რამის კარგად სწავლა, დაუმეგობრდით მას, ვისაც მსგავსი მიზნები ამოძრავებს. იპოვეთ გონიერი მოსწავლეები და სთხოვეთ, თქვენთან ერთად იმეცადინონ. მარტო სწავლა შესაძლოა კარგიც იყოს, თუ ეს თქვენი ძლიერი მხარეა, მაგრამ გარემოცვა დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე. ისინი ასევე გასწავლიან, როგორ ისწავლოთ.

8. გამოდით ინტერნეტიდან

ნიკოლას კარის წიგნი "ზედაპირულები" (the shallows) გვიჩვენებს, რატომ გვაქცია კომპიუტერულმა ეპოქამ უფრო ზედაპირულებად; რატომ აღვიქვამთ თავს არა ადამიანად, მთლიან პიროვნებად, არამედ თოჯინად, ერთი იდეიდან მეორეზე, ერთი ბმულიდან მეორეზე რომ გადახტება ხოლმე. ის ასევე აღწერს კვლევებს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ online-კითხვა „სულელის გამბიტია". ინტერნეტში დიდხანს ვერ ვკითხულობთ. აქ ბევრ რამეს შეუძლია ყურადღების გაფანტვა – მოციმციმე რეკლამას, ფეისბუქის შეტყობინებებს, შემომავალ ფოსტას, ახალ ამბებს... კვლევები იმასაც მოწმობს, რომ ინტერნეტში წაკითხული ნაკლებად გვამახსოვრდება. ყურადღების გაფანტვა თანამედროვე სამყაროს თვისებაა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, – და უნდა იღონოთ კიდეც რამე, – რომ მას თქვენი მართვის საშუალება არ მისცეთ. იკითხეთ offline, ისწავლეთ offline. დაიბრუნეთ თქვენი გონება და ყველაფერი გაადვილდება.

9. გადაწყვიტეთ, რომ ეს მოგეწონებათ

მეცნიერობა არ არის აუცილებელი იმის გასარკვევად, რომ ადამიანები მეტს სწავლობენ იმის შესახებ, რაც მოსწონთ და მოსწონთ ის, რის შესახებაც მეტს სწავლობენ. მოძებნეთ იმის მოწონების გზები, რის სწავლასაც აპირებთ და წარმატების მეტი შანსი გექნებათ. წაიკითხეთ პოპულარული წიგნები ამ თემაზე, უყურეთ TED-ის ლექციებს ან დოკუმენტურ ფილმებს. თუ არაფერი გამოგდით, გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორი – ყველაფრის უკან ადამიან(ებ)ის ისტორიები დგას. მოკლედ, თუ შეძლებთ მოიწონოთ ის, რასაც სწავლობთ, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

10. ენდეთ საკუთარ თავს

გაითვალისწინეთ ის, რაშიც უკვე მიაღწიეთ წარმატებას და გააცნობიერეთ, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი. თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ. თუ გექნებათ შესაბამისი გარემო და მოტივაცია, ნებისმიერი რამის სწავლას შეძლებთ.

ადამიანს შეუძლია კარგისა და ცუდის გარჩევა. ერთ-ერთი კვლევა ეხება სასურველ სიძნელეებს, სწავლის მოქნილობის გაზრდას გაწეული ძალისხმევის პროპორციულად. დაფიქრდით, როგორ გააადვილა GPS-მა მოგზაურობა და... როგორ შეამცირა ჩვენ მიერ გარემოს ცოდნა. დაფიქრდით, რა ადვილია სიტყვის განმარტების პოვნა google-ში და რამდენად მეტია მისი დამახსოვრების შანსი, თუ მასზე თუნდაც ერთ წუთს იფიქრებთ.

ნუ შეგეშინდებათ შეცდომების. შიში ცუდი თანამგზავრია. ენდეთ საკუთარ თავს („მე"-ს უკეთეს ნაწილს) და ის ყოველთვის თქვენთან იქნება, როცა დაგჭირდებათ.

წყარო:

https://www.psychology-today.com/blog/statistical-life/201701/top-10-science-based-study-skills-the-classroom

ნესტან რატიანი

ცოცხალი ხარ? მაშ, გახსოვდეს სიკვდილი!

ყველამ ვიცით, რომ ანალიტიკური უნარების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ლიტერატურის მასწავლებლებს, მაგრამ ამისთვის საპროგრამო მასალის გაცნობა და მასზე მსჯელობა არ არის საკმარისი. საპროგრამო მასალა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს და არა მარტო მათ. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენასაც შევაჩვევთ და ისეთი ფილმების ყურებასაც, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტებზე ნაკლებად არ გვეხმარება საინტერესო დისკუსიის წამოწყებაში. ამ გზით მოსწავლეები ხელოვნების შედევრების ერთმანეთთან დაკავშირებას ისწავლიან და მიხვდებიან, რას გულისხმობს დიდ მოაზროვნეებს შორის საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე დიალოგი; გაიგებენ, რომ ამგვარი დიალოგის დროს საკითხის წამომწევი და მოპასუხე მხარეები ხშირად სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის შვილები არიან. მაგრამ სანამ მოსწავლეებს ხელოვნების ამა თუ იმ შედევრის გაცნობას ვურჩევდეთ, ჩვენც კარგად უნდა მოვემზადოთ, რათა ზუსტად ვიცოდეთ, რა მიზანი გვაქვს და რა შედეგის მიღება გვსურს. კარგად მომზადებაში ვგულისხმობ ჩვენს სინამდვილეში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების გაცნობასაც, უკეთ რომ გავიაზროთ, სად ვიყავით, სად ვართ, რა უძღოდა წინ ამა თუ იმ თემის დამუშავებას, როგორ ესმოდათ ის მანამდე და როგორ გვესმის ახლა.

ნაწარმოების სწორად გაგებას, როგორც წესი, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური კონტექსტის გათვალისწინება სჭირდება სხვა, ასევე მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად. როცა ქართველი მწერლის წიგნს ვკითხულობთ, ამ ასპექტებზე იშვიათად ვფიქრობთ, რადგან ისინი საკმაოდ ნაცნობია ჩვენთვის. საქმე მაშინ რთულდება, როდესაც უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს ვეცნობით, ტექსტებს, რომლებიც სხვა ქვეყანაში, სხვა დროში დაიწერა. თუ მოსწავლეებს ვაცნობთ საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშებს ან შორეული წარსულიდან მოღწეულ ტექსტებს, აუცილებლად ვუყვებით ან ვთხოვთ, მოიძიონ ინფორმაცია იმ ასპექტების გასაგებად, რომლებიც ნაწარმოების კონტექსტს ქმნის და რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ტექსტის სიღრმეებში წვდომა. დღეს, როდესაც მსოფლიო იმდენად დაპატარავდა, რომ ინტერნეტით ყოველგვარი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, თითქმის არ არსებობს ისეთი ასპექტი, – კულტურული იქნება ეს, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური თუ სხვა, – რომელიც თავისი განსხვავებულობით ან უცნაურობით გაგვაკვირვებს, ამიტომ ტექსტის გაგების ეს მხარე საკმაოდ გაიოლებულია და მკითხველის გზიდან აცდენაც - თითქმის წარმოუდგენელი.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ალბათ ყურადღებით ადევნებენ თვალს სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსს, მარტო უცხოეთში კი არა, ჩვენთანაც. ერთი მათგანია „საბა“. შარშან ჟიურიმ ნომინაციაში „წლის

საუკეთესო რომანი“ გამარჯვებულად ალეკო შუღლაძის „გადამალვა“ გამოაცხადა. ჩემი ახლობლები, ფილოლოგებიც და არაფილოლოგებიც, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც და ლიტერატურის მოყვარულებიც, დიდხანს განიხილავდნენ ამ რომანის ავკარგიანობას. ნაწილს, როგორც ხდება ხოლმე, არ მოეწონა ტექსტი და ჟიურის არჩევანი დაიწუნა, ნაწილმა კი მოიწონა. ვინაიდან რომანი გამოქვეყნებისთანავე ვერ წავიკითხე, დისკუსიებში ვერ ვერთვებოდი, ხმას ვერ ვიღებდი და ვერც ერთ მხარეს ვერ ვემხრობოდი. მერე ერთმა მეგობარმა არ დაინანა და წიგნი მათხოვა. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც აღმოვაჩინე, რომ „საბაში“ გამარჯვებული რომანი სწორედ იმ კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვდა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ჩვენში გამჯდარისგან.

ახლა ორიოდე სიტყვით მოგითხრობთ ნაწარმოების შინაარსს, ზედაპირულად, რომ არ ჩაგიკლათ ინტერესი, თუ ის ჯერ კიდევ არ წაგიკითხავთ.

ტექსტი, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულ ამბავს ჰყვება. ამ ამბავს ფონად ეკონომიკური სიდუხჭირე გასდევს, რომელიც გაუგებარი ვერ იქნება თანამედროვე ქართველი მკითხველისთვის. რომანის ცენტრალური პერსონაჟია დედა, რომელიც კვდება. არა და არ დადგა მოახლოებული სიკვდილის წამი და ლოგინად ჩავარდნილი მშობლის ტკივილს, ტვირთად რომ დასწოლია ოჯახის წევრებს, ყოველდღიური ჰიგიენური პროცედურებით გამოწვეული აუტანელი სირცხვილის გრძნობაც ემატება. ხუმრობა ხომ არ არის, პამპერსისთვის გამოყო თანხა, როცა ლუკმაპურისთვის იბრძვი; ხუმრობა ხომ არ არის, მომაკვდავ დედას სასთუმალთან დაუჯდე, როცა გახვრეტილი გროშიც არ გიგდია ჯიბეში და საშოვარზე უნდა გახვიდე.

როცა ამ უმძიმეს თემაზე დაიწყებს ფიქრს, მკითხველს უამრავი მაგალითი გაახსენდება. სხვადასხვა კულტურა სხვადასხვანაირად გამოხატავს მშობლის მიმართ პატივისცემას. არავინ მოსულა ამქვეყნად სამუდამოდ. ყველამ იცის, რომ ადრე თუ გვიან მოკვდება, დაიხოცებიან მშობლები, ახლობლები. დიოგენე ლაერტელის ცნობით, როცა ფილოსოფოსმა ანაქსაგორამ შეიტყო, რომ მასაც და მის ვაჟიშვილებსაც სიკვდილით დასჯიდნენ, არც დამწუხრებულა, ისე თქვა: დიდი ხნის წინ მოგვისაჯა ბუნებამ მეც და ჩემს მსაჯულებსაც სიკვდილი, ხოლო შვილები რომ მეყოლა, მაშინვე

ნაწარმოების სწორად გაგებას, როგორც წესი, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური კონტექსტის გათვალისწინება სჭირდება სხვა, ასევე მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად. როცა ქართველი მწერლის წიგნს ვკითხულობთ, ამ ასპექტებზე იშვიათად ვფიქრობთ, რადგან ისინი საკმაოდ ნაცნობია ჩვენთვის. საქმე მაშინ რთულდება, როდესაც უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს ვეცნობით,

ვიცოდი, რომ ისინი უკვდავები არ იყვნენო. ჰოდა, როცა ამ სამწუხარო რეალობას თვალს გაუსწორებს, მკითხველი ხვდება: არ ღირს იმაზე წუხილი, რასაც ვერ უშველი; უფრო მნიშვნელოვანია, სიკვდილთან მებრძოლი ადამიანის აქაური ყოფა გაახალისო და აჩვენო, რომ მზად ხარ, ღირსეულად გაისტუმრო იმქვეყნად. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, სასიკვდილოდ განწირულმა იცოდეს, რომ მისი სახელი ემახსოვრებათ, არ დაივიწყებენ. ეს კი უკანასკნელ გზაზე შემდგარს მხოლოდ მაშინ ეცოდინება, თუ დაინახა, რომ მომაკვდავის მომავალ ჭირისუფლებს სიკვდილისადმი სწორი დამოკიდებულება აქვთ. „სწორი“ იმას ნიშნავს, რომ ახლობლები ხვდებიან: სიკვდილს ვერ გაეჯიბრები, ვერ გაუძალიანდები, ვერ აჯობებ, ლამაზად უნდა დანებდე.

ლიტერატურაში გარკვეულ ადამიანს, რომელიც ამ სამზადისის ამბავს კითხულობს, უილიამ ფოლკნერის „სული რომ ამომდიოდა“ გაახსენდება. გაახსენდება, როგორ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა, როცა აღმოაჩინა, რომ დედამიწაზე არის ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს, მისი ოჯახის წევრები კი უკვე ისეთ დავალებებს ასრულებდნენ, ტაბუდადებული რომაა და მომაკვდავს პირდაპირ რომ არ ეუბნებიან ხოლმე. ფოლკნერის პერსონაჟი, ედი ბანდრენი, ხუთი შვილის დედა, ლოგინად ჩავარდნილა და სიკვდილს ელოდება. ბანდრენების ოჯახში, როგორც ალეკო შუღლაძის რომანში, სიმართლეს არ ერიდებიან და მოურიდებლად აშიშვლებენ. მომაკვდავი ედის შვილი, დურგალი, კუბოს თავისი ხელით რანდავს ლოგინად ჩავარდნილი დედის ფანჯარასთან, ხერხავს და აჭედებს. უნდა თუ არა, დედა ხედავს კეშს, რომელიც თითქოს ეუბნება, შემომხედე, რა კარგ კუბოს გიკრავო. წყეული ხელეჩოც უფრო და უფრო ნელა გადის და გამოდის. კეშიც გულმოდგინედ მუშაობს, რომ ედიმ დაინახოს და ნახელავი მოუწონოს. ხანდახან კარგად გაშალაშინებულ ფიცარს კმაყოფილი სახით ასწევს ხოლმე და დედას ფანჯრიდან დაანახებს, ხომ მაგარი ბიჭი ვარო, თავისუფალი ხელით კი მომავალი კუბოს კონტურს ხაზავს ჰაერში. თუმცა ეს ყველაზე უწყინარი მოქმედებაა. უფრო შემაწუხებელი ის ხმაა, კეშის საქმიანობას გულისცემასავით რომ გასდევს: ხან – ფიცრების ხერხვის, ხან – მათი გაპრიალების, ხანაც – ლურსმნების ჩაჭედების. ეს ხმა, მთელ არემარეზე რომ გაისმის, ყველას აწუხებს. მთელ რომანში „ისმის“ ეს ხმა, სანამ სულამომდინარი ედი ამ ქვეყანას არ დატოვებს. მკითხველი თავდაპირველად ედის მეზობლებივით უკმაყოფილოა, მაგრამ მალე ხვდება, რომ ამაში არაფერია საძრახისი, რადგან ყველა ადამიანი მოკვდავია და ყველას ცხოვრებას დაბადებიდან აედევნება სიკვდილი. ზოგს ადრევე ესმის ადევნებული სიკვდილის ხმა, ზოგი ბოლომდე სმენადაქვეითებული რჩება, ზოგი განგებ წაუყრუებს, ზოგი კი თავის ცხოვრებას ამ ხმას უწყობს. ედი ის ადამიანია, მამამ რომ ასწავლა, სიკვდილისთვის მოემზადეო. ამიტომაც ლოგინად ჩავარდნილი ქალისთვის ეს გაბმული პულსირება ბუნებრივი რამაა: „მზერა არც სამდურავს გამოხატავს და არც მოწონებას“. თუმცა ალბათ შვილის მადლობელი უფროა, დედის დროებითი საცხოვრებლისთვის მაინცდამაინც გულმოდგინედ რომ არ ზრუნავდა, სამუდამო საცხოვრებელს კი ასეთი რუდუნებით რომ უმზადებს. ედიმ იცის ის სიბრძნე, რომელიც იცის ყველამ, მაგრამ ბევრი ჯიუტად იცილებს თავიდან და ისე გაურბის, თითქოს ამით მართლა უშველიდეს თავს; იცის, რომ „ადამიანი თავისი სახლის ან ქალაქის მხოლოდ მდგმურია და ბოლოს აქედანაც მიდის“, ამიტომ ის, ვინც „ვერ ხედავს“ დურგალს, „არ ესმის“ მისი ხელეჩოსა და ხერხის დაჟინებული ხმა, თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს.

ფოლკნერის რომანში დურგალი მეტაფორაა – ერთი შეხედვით, სიკვდილისა. მაგრამ სინამდვილეში ის სიცოცხლეა, რომელიც სიკვდილის სამზადისისკენ მოუწოდებს გარშემო მყოფებს. სიკვდილისთვის სიცოცხლეშივე უნდა მოვემზადოთ. ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილისთვის მზადება. სიცოცხლე თუ მოგვეცემა, სიკვდილისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. სიკვდილი სიცოცხლის საბოლოო განაჩენი

რომ არ ყოფილიყო, „დურგლის“ საქმიანობას ფასი დაეკარგებოდა. აი, სიკვდილის ნამდვილი მეტაფორა კი ალბათ ხმაა. მას, სიკვდილს, ვერ ხედავ, ხელით ვერ ეხები, ამიტომაც ხმა საუკეთესო მხატვრული ხერხია სიკვდილის აღსაწერად. როგორც ვიცით, ხმას ყველაზე ადვილად ეგუება ადამიანი, იმდენად, რომ ის თითქოს აღარ ჟღერს მისთვის. ასეთი ხმაა საათის წიკწიკი, რომელიც თავდაპირველად გვაღიზიანებს, მაგრამ ბოლოს ისე ვეჩვევით, რომ ვეღარც კი ვგრძნობთ მის არსებობას. ასეთივე ხმაა გულისცემა. მარტო დარჩენილები, თუ მივაყურადებთ, გავიგონებთ, რა გამალებით ძგერს გული, მაგრამ ცხოვრებისეული საზრუნავით გადატვირთულებს გვავიწყდება და აღარ ვუსმენთ საკუთარ გულისცემას, თითქოს სულ უნდა პულსირებდეს, არ აქვს გაჩერების უფლება. საათიც და გულიც სიცოცხლეს გვითვლიან; როდესაც საათი მართლა გაჩერდება და დადუმდება, როდესაც გულისცემა შეწყდება, სიცოცხლეც დასრულდება. სიკვდილის ხმა სიცოცხლესთან ერთად არსებობს.

„ადამიანის ცხოვრება სიკვდილისთვის მზადებაა“ – ეს სიტყვები, რომლებიც ედი ბანდრენს ოდესღაც მამამისმა უთხრა, რომანის ლაიტმოტივიცაა. იგივე სიტყვები ბევრ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებსაც გასდევს ლაიტმოტივად, ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ ვურჩევთ ჩვენს მოსწავლეებს ზემოხსენებული ორი რომანის წაკითხვას და ერთ გაკვეთილს მაინც დავუთმობთ სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე საუბარს. პირადად მე, სანამ ამ თემაზე გაკვეთილს ჩავატარებდი, მოსწავლეებს ვთხოვე, ენახათ იაპონური ფილმი „ლეგენდა ნარაიამაზე“. თუ ამის საშუალება არ არის და არც თქვენ გინახავთ ეს ფილმი, არა უშავს. ფილმიდან ვიგებთ, რომ მშობელს ურჩევნია, ახლობლების გარემოცვაში კი არ მოკვდეს, არამედ შვილმა ზურგზე მოიკიდოს და

> სანამ მოსწავლეებს ხელოვნების ამა თუ იმ შედევრის გაცნობას ვუჩრევდეთ, ჩვენც კარგად უნდა მოვემზადოთ, რათა ზუსტად ვიცოდეთ, რა მიზანი გვაქვს და რა შედეგის მიღება გვსურს. კარგად მომზადებაში ვგულისხმობ ჩვენს სინამდვილეში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების გაცნობასაც, უკეთ რომ გავიაზროთ, საღ ვიყავით, საღ ვართ, რა უძღოდა წინ რომელილაც თემის დამუშავებას, როგორ ესმოდათ ის მანამდე და როგორ გვესმის ახლა.

მთაზე მარტო დატოვოს. ურთულესი გასავლელია ეს გზა. მოხუცი მშობელი ვისაც ჰყავს, ის არც თავადაა ახალგაზრდა და ძალ-ღონეც აღარ ერჩის. შვილებს სულაც არ უხარიათ ამ გზის გავლა, მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა. ზოგ ქვეყანაში ქელეხში მოწვეულ სტუმართა რაოდენობა განსაზღვრავს მშობლის პატივისცემას, ზოგ ქვეყანაში კი ის, გაივლი თუ არა ზურგზე მოკიდებული მშობლით მთის წვერისკენ მიმავალ აღმართს. ამ გზის გავლა მარტო იმას კი არ აჩვენებს, რამდენად სცემ პატივს მშობლებს და რამდენად ღირსეული შვილი ხარ, არამედ იმასაც, რა რთულია ორივე მხარისთვის ტრადიციის შესრულება: ერთს სირცხვილი წვავს ფიზიკური უძლურების გამო, მეორეს კი - ბრაზი, რადგან უძლურია ტრადიციასთან. ყველა საზოგადოებას მშობლის პატივისცემის განსხვავებული საზომი აქვს. არაერთგან ის იმით კი არ იზომება, როგორ ექცეოდი სიცოცხლეში მშობელს, შეძელი თუ არა მისთვის სიღარიბის არიდება, სიხარულის მინიჭება, არამედ იმით, შეძლებ თუ ვერა, საიქიოში სწორად გაისტუმრო საყვარელი ადამიანი. ნარაიამის გზაზე შემდგარ შვილს საგზალიც კი დაამძიმებს, ამიტომ მთაში მარტო დატოვებული მშობელი ულუკმაპუროდ რჩება. ბედნიერებაა, თუკი მთაში გათოვდება. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მოხუცი მალე გაიყინება და არ მოუწევს, მშიერ მხეცებს ჩახედოს თვალებში ან სიკვდილთან პირისპირ შეხვედრა არ გაუგრძელდება. როგორ ჰგავს ამ ფილმს „გადამალვის“ ის ეპიზოდი, როცა რომანის პერსონაჟი დედას მოიპარავს (ნუ გაიკვირვებთ ამ სიტყვას) და სხვა მხარეში გადამალავს. ვის ან რას უმალავს შვილი მშობელს? პასუხი სიღრმისეულ დაფიქრებასაც კი არ მოითხოვს.

დასასრულ, იმასაც გეტყვით, რომ სანამ სიკვდილ-სიცოცხლის თემის განხილვას დავიწყებდით, მოსწავლეებს კლასში ჩავურთე გიორგი სვირიდოვის მუსიკალური ნაწარმოები „დრო“ სხვადასხვა შესრულებით. ნაწარმოების სათაური არ გავუმხილე, ვთხოვე, თვალები დაეხუჭათ და ეთქვათ, რას წარმოიდგენდნენ მელოდიის მოსმენისას. ვიღაცამ მატარებელი წარმოიდგინა, ვიღაცამ - ადამიანი, რომელიც გარბოდა. სწორედ ეს პასუხები მჭირდებოდა, რომ გაკვეთილი დამეწყო. როგორც კი სათაური ვუთხარი, დავურიგე ტერენტი გრანელის ლექსი „ღამის სტრიქონები“ და ვთხოვე, ყურადღება მიექციათ სტრიქონებისთვის: „ალბათ ჩემთვის ამზადებენ კუბოს... მინდა ავდგე, გავიხედო გარეთ და გავაღო დაკეტილი კარი... ალბათ მოვა ჯიბგირი და ქურდი... იმ ოთახში კვლავ საათი რეკავს... და მე რა ვქნა, შეზღუდული რომ ვარ, რა ვქნა, მეტი გასაქანი მინდა!“

სიკვდილის თემაზე შექმნილი ნაწარმოები უამრავია. სიკვდილის განხილვა მოჭრილი დროისა და სიცოცხლის კონცეპტთან ერთად, ამ საკითხების სწორად გასააზრებლად დამატებითი მასალის გაცნობა და დისკუსია გააფართოებს თქვენი მოსწავლეების ცოდნას და საშუალებას მისცემს, სიღრმისეულად დაფიქრდნენ ისეთ თემებზე, რომლებიც არაერთი მწერლის შემოქმედების ამოსავალია. ალბათ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დიდ მწერალს, რომლის სათქმელიც საბოლოო ჯამში სიკვდილ-სიცოცხლის თემატიკას არ უკავშირდებოდეს. სიკვდილი ხომ სიცოცხლეს ფეხდაფეხ მისდევს: ჩნდება სიცოცხლე - იქვეა სიკვდილიც. არ გაჩნდება სიცოცხლე - არც სიკვდილი გამოჩნდება. სიკვდილი ხმასავით აედევნება ადამიანს, ხმასავით, რომელსაც ისე ეჩვევი, რომ ვეღარც კი ამჩნევ. საიქიო ცხოვრებისთვის მზადებაა სააქაო ცხოვრება. ამაში კი მოკვდავს (ანუ ნებისმიერ ადამიანს) დახმარება სჭირდება და ამას ახლობლებზე – ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე, მეზობლებზე, მეგობრებზე (ჭირისუფლებზე) უკეთ ვერავინ გაართმევს თავს.

დაუთმეთ დრო ამ თემებზე საუბარს ლიტერატურის ნიმუშებისა და ხელოვნების შედევრების დახმარებით და მენდეთ, თქვენ მიერ ჩატარებული გაკვეთილი დაუვიწყარი იქნება.



დავით ბოლქვაძე

ვახშამი გადაღლილ მასწავლებელთან

> ისტორიის სწავლების პაუელ ლომანისეულ არცთუ ინტერესს მოკლებულ მიდგომას და დირექტორის გულწრფელ, ნაკლებად სასიამოვნო მოსაზრებას მასწავლებლის საქმიანობის შესახებ ცოტა ხნით გვერდზე გადავდებ და თქვენს ყურადღებას პროტაგონისტის კიდევ ერთ „საგმირო საქმეზე“ შევაჩერებ.

ბოლო სტატიის დაწერიდან სამი წელი გასულა. არადა, რამდენჯერმე თემაც მოვინიშნე, მაგრამ... ჩვენი ინტერნეტგაზეთისთვის წერა უდავოდ დიდი პატივია და დიდი პასუხისმგებლობაც (ყველა, ვინც წერს ან წერდა, დამეთანხმება). დრო, ძალისხმევა, ფიქრი არაფერია იმ უკანასკნელ წუთებთან შედარებით, როცა სტატიას ელექტრონულ ფოსტას მიაბამ და ერთი დაწკაპუნებაღა გრჩება, მერე კი იწყება გამოხმაურებების შიშნარევი მოლოდინი - მერე რა, რომ წინა სტატიები მკითხველმა თითქოს მშვენივრად მიიღო; ყოველი ახალი სტატია ხომ ყველაფრის ხელახლა გამეორებაა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თავს უფრო კომფორტულად გრძნობ, როცა მხოლოდ სხვების სტატიებს კითხულობ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ისევ მივუჯექი ლეპტოპს, მგონი ჯოჯოხეთის წრეების გასავლელადაც მზად ვარ. აქვე გეტყვით, რომ არ ვაპირებ წერას ყველაზე მნიშვნელოვან რამეზე, რაც ამ ხნის განმავლობაში მომხდარა (ასეთს მაინც ვერ გავიხსენებ). ჰო, კიდევ, რაღაც წინა სტატიებისგან განსხვავებულის დაწერა მინდა, ოდნავ მაინც მოთხრობას რომ ჰგავდეს.

თემის შერჩევაში ჩემი ჰობი, კითხვა, და ახლახან წაკითხული წიგნი – „წლის ბესტსელერის“ სერიით გამოცემული შესანიშნავი ჰოლანდიელი მწერლის ჰერმან კოხის „ვახშამი“ დამეხმარა. საკმაოდ ჩახლართული სიუჟეტიდან მოულოდნელად ირკვევა, რომ პროტაგონისტი პაულ ლომანი ყოფილი მასწავლებელია, თანაც ისტორიის მასწავლებელი, რაც ჩემთვის, თავადაც ისტორიკოსისთვის, მნიშვნელოვანია. წიგნის შინაარსის მოყოლას არ ვაპირებ (ასეთი რამ ცოტათი დანაშაულადაც კი მიმაჩნია). სტატია სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის საუბარზეა, რომელსაც ნაწარმოების შუაში რამდენიმე გვერდი უკავია. პაულ ლომანი სკოლიდან ნებით არ წასულა – აიძულეს. მას შემდეგ, რაც სცადა, მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალა არაორდინარული კუთხით ეჩვენებინა, თამამი კითხვები დასვა და მოსწავლეებს მათზე დაფიქრება სთხოვა. ალბათ, უკვე სიმპათიით განიმსჭვალეთ მასწავლებლის მიმართ. შევთანხმდეთ, რომ პირველი შთაბეჭდილება შესაძლოა შეგეცვალოთ. პაულ ლომანისთვის საბედისწერო გაკვეთილი მეორე მსოფლიო ომს ეხებოდა. ომის მსხვერპლთა უზარმაზარ რაოდენობაზე საუბრისას მასწავლებელმა მოსწავლეებს მოულოდნელად ჰკითხა: როგორ ფიქრობთ, რამდენი ნაძირალა იყო დაღუპულებს შორისო? მძიმე კითხვაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. სანამ გაკვეთილზე დასმულ სხვა კითხვებზე გადავიდოდე, საკუთარ პრაქტიკას გავიხსენებ. შარშან ჩემებს „წიგნის ქურდი“ წავაკითხე – წიგნი თავშესაფარში შეყუჟულ ადამიანებზე, სიკვდილის შიშს რომ აუტანია. მათი ამბების წაკითხვის შემდეგ ასეთივე კითხვა მეც დამებადა: როგორ ფიქრობთ, იმსახურებდნენ თუ არა ჩვეულებრივი გერმანელები ასეთ სასტიკ დასასრულს? პასუხები არაერთგვაროვანი აღმოჩნდა: ზოგი ალბათ ღირსი იყო, უმეტესობა – ალბათ არაო, ბავშვებმა საერთოდ რა დააშავესო... საბედნიეროდ, ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

პაულს კი არ გაუმართლა. არც არის გასაკვირი – მოსწავლეების აზროვნებისთვის ფრთების შესასხმელად მოაყოლა, მაგრამ რა კითხვები მოაყოლა: აბა,

გამოთვალეთ, ყოველ ას კაცში რამდენი ისეთი მამა იქნებოდა, შვილებს რომ ამცირებსო, რამდენი იდიოტი, პირიდან საშინელი სუნი რომ ამოსდის და ამის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებსო... ახლა იმაზე დაფიქრდით, თქვენი ოჯახის წევრებიდან და ნათესავებიდან სულელური თავაზიანობით ან სისასტიკით რამდენი გაღიზიანებთო, ალბათ გულზეც მოგეშვებოდათ, ზოგიერთს ბომბი რომ დასცემოდაო, როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია ამ ვირიშვილების მოხსენიება ღირსეულ ადამიანებთან ერთად – ისინიც მსხვერპლთა შორის უნდა მოვიხსენიოთ თუ არაო?

ნათესავების თავზე დაცემული წარმოსახვითი ბომბისა რა მოგახსენოთ, მასწავლებლის სიტყვები კი ნამდვილად მეხივით გავარდა საკლასო ოთახში. ექომ დაზაფრული ბავშვებიდან – მშობლებამდე, მშობლებიდან კი დირექტორამდე მიაღწია. სკოლის დირექტორმა – ბევრი რამის გამო გვიჩივიან მშობლები, მაგრამ გაკვეთილების შინაარსის გამო – იშვიათადო (?!), ჰოდა, ერთი გაიხსენე, ბავშვებს ასეთი რა უთხარიო. პაულსაც არაფერი დაუმალავს. მათი უსიამოვნო საუბარი იმით დასრულდა, რომ მასწავლებელს, გადაღლილობის მოტივით, სკოლიდან წასვლა შესთავაზეს. პაული ერთი პირობა გაბრაზდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დათანხმდა დირექტორის წინადადებას.

ისტორიის სწავლების პაულ ლომანისეულ არცთუ ინტერესს მოკლებულ მიდგომას და დირექტორის გულწრფელ, ნაკლებად სასიამოვნო მოსაზრებას მასწავლებლის საქმიანობის შესახებ ცოტა ხნით გვერდზე გადავდებ და თქვენს ყურადღებას პროტაგონისტის კიდევ ერთ „საგმირო საქმეზე“ შევაჩერებ. სანამ კარისკენ მიუთითებდა, დირექტორმა ერთი მოსწავლე გოგონას სახელი და გვარი შეახსენა პაულს: ხომ არ გახსოვს, ამ გოგონას რა უთხარიო? პაული მეხსიერებას არ უჩიოდა, არც მომხდარის შელამაზებით შეუწუხებია თავი. გაიხსენა, როგორ ისაუბრა გაკვეთილზე ისრაელ-პალესტინის ომებზე, ისრაელის საშინაო-საგარეო სირთულეებზე, ქვეყანაში მომხდარ ტერაქტებზე და როგორ მიუტანა ამის შემდეგ ერთმა მხიარულმა გოგონამ ესე ისრაელში ფორთოხლის კრეფაზე, უდაბნოში ყვავილების მოშენებაზე, ბედნიერ და მხიარულ ცხოვრებაზე.



> პაულ ლომანი სკოლიდან ნებით არ წასულა – აიძულეს. მას შემდეგ, რაც სცადა, მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალა არაორდინარული კუთხით ეჩვენებინა, თამამი კითხვები დასვა და მოსწავლეებს მათზე დაფიქრება სთხოვა.

მოსწავლის ნამუშევარმა ვერც დირექტორი მოხიბლა, მე კი ისე დამაინტერესა საკითხის ამ კუთხით დანახვამ, სიამოვნებით წავიკითხავდი გოგონას შესაძლოა სუსტ და დავალებასთან შეუსაბამო, მაგრამ უდავოდ ორიგინალურ ესეს. პაულს სინანულის გარეშე გაახსენდა, როგორ უთხრა გოგონას უარი დავალების ჩაბარებაზე და კითხვაზე: „რატომ?“ – ნაგავია და იმიტომო, მიახალა. თვალწინ დაუდგა, როგორ გაებზარა სახე თხუთმეტი წლის მუდამ მოცინარ გოგონას... ავტორმა პაულ ლომანი ბოლომდე არ გაწირა და მის ფიქრებში მშვენიერი ფრაზით სინანული გააღვიძა: „იტყვი რაღაცას გონებამახვილურს, ამოხეთქავ, ის კი, ვისაც ეუბნები, შენს ნათქვამს ტვირთივით აიკიდებს და მთელი ცხოვრება დაატარებს“. „ენით დაკოდვის“ ნაცნობი ჭეშმარიტების ახლებური და მძაფრი გადმოცემით კიდევ ერთხელ გავიაზრებთ სიტყვის ძალას, სიტუაცია კი მტკივნეულად ნაცნობია: მოსწავლის სუსტი ნამუშევარი და მასზე რეაგირება ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

დასასრულ, პაულ ლომანის მონოლოგს გავეცნოთ, რომელიც, ჩემი აზრით, სახალისო კაზუსია მასწავლებლის მართებული და უმართებულო მიდგომებით. ტექსტში წინადადებების ბოლოს დასმული სამი (დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური) ემოციის გამომხატველი სმაილები ჩემია და, შესაბამისად, ჩემსავე დამოკიდებულებას გამოხატავს, რომელიც შესაძლოა თქვენსას არ დაემთხვეს.

„ჩემთვის პირველ ადგილზე ყოველთვის მოსწავლეები იყვნენ ☺, ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი საგანი რაც შეიძლება საინტერესოდ მიმეწოდებინა მათთვის ☺. ვცდილობდი, ჩემზე ჰქონოდათ სწორება 😐. არასოდეს მიცდია მათი ყურადღების უფერული და მოდური ამბებით მიპყრობა ☹. ყოველთვის საკუთარი თავი მედგა თვალწინ ☹. კარგად მახსოვს, უფროს კლასებში რა მაინტერესებდა და რა – არა ☹. სწორედ ამაზე ვაგებდი მოსწავლეებთან ჩემს ურთიერთობას 😐“.

დაბოლოს, ვისაც ჰერმან კოხის რომანი ჯერ არ წაგიკითხავთ, გირჩევთ, წაიკითხოთ. არა მგონია, წიგნის გმირებთან ერთად ვახშმობა მოგინდეთ, მაგრამ მშვენიერი ფსიქოლოგიური წიაღსვლებით გაჯერებულ ნაწარმოებს კი გაეცნობით, კიდევ ერთხელ დაფიქრდებით მოზარდებში დაბუდებულ და უეცრად ამოხეთქილ ძალადობაზე, შეეცდებით დანაშაულისა და სასჯელის მუდმივი დილემის თქვენეულ გადაწყვეტას და არც სხვა საინტერესო თემები მოგაკლდებათ.